ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბრიძე

თხზულებანი

K 23217/2

საბჭოდ

გალაკტიონ
ტაბიძე



ოცხულებანი

სახელგამი
1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პ/მგ. რედაქტორი შ. რადიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი სიმღერა

ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს — კინოვარი,
ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი რამე, კარგზე მგლოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ბარათი, სისხლის ცრემლ-ნატბოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,
წიგნი რამ, ომით მონაპოვარი.
საფერფლე, მამის დანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

შენი, სამშობლოვ, მსასოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დღევანდელი დღის
თვალი და ფიქრი
უმხურვალესი
გრძნობით და რწმენით, —
ეს მხედარია,
რომელიც მიჰქრის,
რომელიც მიჰქრის
ფოლადის ცხენით.

იგი რეკაა
ელექტროდენით
გავარვარებულ
ცეცხლმდინარეზე,
გახმაურება,
როს შორეულ ძმებს
ეძახის მოძმე
უწინარესი.

ის ჩვენი სოფლის
არის ამინდი,
ჩვენი ქალაქის
არის სვეტედი,
რიგს შუაზე ჰყოფს,
ვით დინამიტი
და აკავშირებს
როგორც ცემენტი.

რა საარაკო
დრო მიგვაქანებს,
რა საამაყო
ამბებს ვესწრებით,
ცა დაუფარავთ
ჰაეროპლანებს
და მოედნები
ჰქუხს ორკესტრებით.

მზე, ის ბრწყინვალე
მზე ამოენთო
და ნაკადებად
გადმოიღვრა,
რომ ეს სიმღერა
არის პოეტის,
გამარჯვებული
ბრძოლის სიმღერა.

რომ მსოფლიოის
ხმათა ხვეული,
ყოველნაირი,
იძროდეს მარად

ერთ მთლიან ჰიმნად
გადაქცეული,
გადაქცეული
ერთ მთლიან ქნარად.

რომ იგი ქნარი
და ეს ჰიმნია,
რომელიც მედგარ
ხმით იზეპირებს,
ბევრს საამაყო
ომში დაცემულს—
კიდევ მეომარ
და ცოცხალ გმირებს.

რომ მათ მარადისს
უკვდავ შინაარსს,
მომავალისთვის
მლელვარე, ზვავი—
დიდს, გენიალურს
ჰარმონიის აზრს
დაუნანებლად
შესწირეს თავი.

რომ იმათი გზა
რაც უნდა ღირდეს
ჩვენი ძალაა,
ჩვენი ღონეა,
რომ ჰარმონია
იგი დამკვიდრდეს,
ის ჰარმონია,
ის ჰარმონია!

წამი, რომელიც
თავს არ იზოგავს,
გრძოლის ალებში
არის ნალესი
და ამიტომაც
დიად ეპოქას
ჩემი სალამი
უმხურვალესი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინისა და სტალინის გზით!

მიზანს, რომელთაც
მე ამ ლექსს ვიწყებ,
ნისლს არ ვაკარებ
იოტის ოდენს.
გახსოვდეს მარად,
ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ატარებ
ლენინის ორდენს!

ვლადივოსტოკით,
ბათუმის ცამდე,
მხარეს ურყეველ
კედელს ვადარებ.
შენ გამარჯვებ
ყოველ დროს, გრწამდეს,
რადგან ლენინის
ორდენს ატარებ.

არხანგელსკიდან
აშხაბადამდე
მე ახალს ვხედავ
მთებსა და კორდებს
და ყველაფერი
ქვეყნიდან ცამდე
გრჯის, რომ ატარებ
ლენინის ორდენს.

დღე ხვალინდელი,
დღე დღევანდელი
აღფრთოვანებას
როგორ არ გრძნობდეს!
დე, ანათებდე,
როგორც კანდელი,
რადგან ატარებ
ლენინის ორდენს!

შენ შენი ქვეყნის
ხარ მტკიცე, მკვიდრი
ბატონ-პატრონი
მობინადარე;
ვაშა დიდ სტალინს,
მას გრძნობდე, ვიდრე
შენ უბრწყინვალესს
ორდენს ატარებ.

შენი გულია
უდიადესი
ქნარი, რომელიც
ფანტავს აკორდებს;

ხუთი ათასი,
ხუთი ათასი
ეს ჩემი ლექსიც
ლენინის ორდენს.

კაცობრიობის
დიდი ოცნება
სტალინის დროშით
მიგვიძღვის ოდეს,
როგორც უმაღლეს
პატიოსნებას
იცავს უდიდეს
ლენინის ორდენს.

რა მშვენიერი
ალიონია!
მას ჩემი ჩანგი
იცავს აფთარებრ,
მრავალზე მრავალ
მილიონიან
ხალხის — ლენინის
ორდენს ატარებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთვარის ნაამბობიდან

ვიცი, ცაო გულმავიწყო,
მე ზრუნვა ვარ, შენ ოცნება.
არ იქნება — არ დავიწყო
ოცნებათა შემოწმება.

„ბევრი მხარე მოვიარე —
ასე იწყებს ამბავს მთვარე —
მაგრამ საქართველოსთანა,
არ მინახავს არსად მხარე.

ბრწყინავს მისი ძველისძველი
უძლეველი მთა და ველი.
მისი წყალი, მისი სივრცე,
მისი შოთა რუსთაველი!

დიდი ხნიდან მალარიით
მოშხამული ატმოსფერა,
ახალ ჩაით, ახალ იით
ახლად გააოქროსფერა.

(რუსთაველი მახსოვს ბავშვი,
ოცნებობდა ოქროს ნავში,
მიცქეროდა და თან თრთოდა,
ვით ფოთოლი თრთის ნიავში).

ვიცი ცაო, ფანტომიდან
ზრუნვა ვარ და შენ ოცნება,
მრავალ ახალ კარგს მომიტანს
ოცნებათა შემოწმება.

აგერ მძლავრი და ტიტანი
მოჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭული აქ იყო და
აქ აეშვა ამირანი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 33217
2

მ თ ე ბ შ ი

კავკასის მთები. ვერთობი
ალპიურ ველით. არც ყინავს.
თოვლიანია ფერდობი,
ჩადის ფერდობი და ბრწყინავს.

სვანმა გაშალა ნაბადი,
დაენდო და მისრიალებს,
ქვევით მიღელავს ნაკადი,
ზევიდან ზეცა კრიალებს.

შეთანხმებულან კლდე-ზვავნი,
უშბა, კოშკები და ლილე.
იმღერის მფრინავი სვანი.
მისი მზე და სიყმაწვილე.

ყველა წიგნები დავხურე,
ოცნება იწყებს მთოვრებას
ვდგევარ, მაღლიდან დავყურებ
სხვას, სულ სხვანაირ ცხოვრებას.

იყო მთლად შეუმოსავი
კაცობრიობის აკვანი,
იყო ერთ მუჭა ბრბოსადმი
მრავალთ-მრავალის თაყვანი.

იყო ბორკილი მონობის,
გზა უამური შრომისა,
იყო ცა უპატრონობის,
ვით ნისლი შემოდგომისა.

ადამიანმა დაჰკარგა
სიხარული და მზე ტკბილი,
ცხოვრებამ გადააქარგა
მწარეზე მწარე ღიმილი.

ბევრი დაღლილა ჯალათი
მებრძოლთ თავების წარკვეთით,
იყო ომი და ღალატი
და ყოფნა სასოწარკვეთით.

ჯალათი იგი ქვა-გრძნობის
და ბნელი სულისკვეთების:
ღიმით სწვდა კაცობრიობის
სხივოსან შემოქმედების.

დღეს კი მსოფლიოს მეექვსედს
ჩემს სამშობლოში სვიანი,
სხივმოსილი და მოლექსე
დამკვიდრდა ადამიანი.

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი!
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!

ასწია დროშა მაღალი
კაცთა შრომის და გონების,
მსოფლიო აზრის, ძახილის,
მიღწევის, გამოგონების.

მიჰყავს — ვით სიმაღლეების
არწივთა ხმობა ალური —
ჩვენი უბადლო დღეების
მსვლელობა გენიალური.

ულევი — დროს ეუფლება
ვეფხვთა ნიჭი და გენია,
უმაღლეს თავისუფლებას
სამშობლო აღუდგენია.

და ხანა უხვად ამდიდრებს
არნახულ ბედნიერებას:
ჩანგს, მახვილ კალმებს, პალიტრებს,
სიმღერას, მეცნიერებას.

უმდიდრეს მემკვიდრეობის
საგანძურია ნახული —
სადმე მთისა თუ ხეობის
ქლდეებში გადანახული.

მოლივლივებს და ითლება
სხივტეხილების ფენობა,
ხალხის არ გამოითვლება
სიმღერათ რაოდენობა.

იმათი რაოდენობა
ვარსკვლავთა რიცხვს თუ ედრება;
ჩვენი ქუჩა და შენობა,
ანთება, გადათეთრება.

შეტრიალებულ რკინიდან
ალი მოლვივის ფერადი,
შრომის ეცემა მინიდან
ნათელი ათასჯერადი.

მარადი სიმაისეა
ჩვენი ქუჩა და შენობა
და სიხარულიც ისეა
როგორც ტყის ფოთოლფენობა.

და თუ რომ მტერი ფიცხელი
მოგვეტბორება ღვარებად,
ჩვენი ლითონის სიცხელის
შეხვდება გავარვარება.

სვანო! აქ მტერი ვინ არი?
დალეწილი გაქვს ხუნდები,
წამით ნაბადით მფრინავი
მთას თვითმფრინავით ბრუნდები.

იფრინე, ფრთა მოიღერე,
მიჰყევ სიმღერებს ანარჩევს,
რომ გადაედოს სიმღერა
მსოფლიოს ნაწილს დანარჩენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იფრინე, შენთვის ეს ღია
სივრცე მშვენიერ ფერებით
ცხოვრების უხვი ბალია,
ალსავსე ბედნიერებით.

სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიადესი.
ხარტიით გაადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს წელიწადი

მოვითხოვ სიტყვას!
კვლავ იმას ვიცავ,
სულით და გულით
რასაც ვიცავდი.

მაინც რას ნიშნავს,
მშობელო მიწავ,
ეს დღე, საათი,
ეს წელიწადი?

ეს არის წლების,
ეს არის მასის
უზენაესი
მარშით ვლინება!

ეს არის ოცის —
როგორც ათასის —
წლის ბრწყინვალებით
დაგვირგვინება!

ეს წელიწადი
    მჭიდრო ფუძეა!
შეუდარებელ
    წლებს გადარჩება —

მზე: სტალინური
    კონსტიტუცია!
სოციალისტურ
    მზის გამარჯვება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ო ლ ი

ჩვენი ლიახვი, თხრობის
    გადაქცეული ჟინად,
დიდი ბელადის ყრმობის
    მხარეს აშვენებს. წინად
აქ ცეცხლში ბრძმედილ რკინად
    იდგა ტოლი და სწორი:
ომი მიაჩნდათ ლხინად,
    ასეთი იყო გორი.

გზებად—ველები მტრობის,
    ციხის კედლები—ბინად,
ალყა მრავალი ხნობის,
    დარტყმა მეხად და გრგვინვად;
ძვლებს, აქ მიმოყრილს ზვინად
    ფრთებს აზომებდა ქორი.
ომი მიაჩნდათ ლხინად,
    ასეთი იყო გორი.

ალბად უყვარდა კობას
აქ დაფიქრება ხშირად:
სამშობლო მხარის, ძმობის
მცველებს სამარეთ სძინავთ!
მტერთან გარედ და შინად
არა ერთი და ორი
თავს დასტეხია გმინვა,
ასეთი იყო გორი.
კაცობრიობის ბრწყინვად
სჩანდა ვარსკვლავი შორი,
ყრმა გასცქეროდა: „სძინავთ“!
ასეთი იყო გორი.

სწუხდა ლიახვი: „თუ მხარეო,
დიდიხნის წინად
წინაპრებს ჩვენსა ცხარე ომი
მიაჩნდათ ლხინად.
ეს იყო ომი—არა ლხინით
გულხელდაკრეფა,
იერიშისთვის ძახილი და
გულგამაგრება.

მაინც, რა ვიცი, დასაბამით
დღესასწაულობს
კაცთა ცხოვრება თავის ყოფნას
უსამკაულოს.
წამება, შიში და სიკვდილი
მიდამოს აკრავს,
ლარიბს და მცირეს—ულმობელი
ძლიერი ჩაგრავს.

მტაცებელთ ომი მხოლოდ მისთვის
მოიღრუბლება,
რომელს აქვს ხალხზე ბატონობის
მეტი უფლება,
მათთვის რა არის ხალხის სისხლი?
დეე, იღვაროს
ოღონდ მტარვალმა იბატონოს
და გაიხაროს.

მაგრამ ცხოვრება უნდა მისწვდეს
იმ გასახსენებს,
კაცობრიობის დიდ მეგობრებს
რომ არ ასვენებს.
და გვასწავლიან სიკვდილისაც
არ დარიდებას,
რომ ბნელი მოსავს სიმართლეს და
ჭეშმარიტებას!

ჭეშმარიტების დიდის
ნისლს დაებურა ზღვარი,
არალეგალურ რიდეს
იხვევს დღეების ჯარი.
ჩნდება სტალინის მხარი:
რაზმთა ჩამოჰკვეთს მკვრივი,
შეკამათება ცხარე:
ჭეშმარიტების სხივი.

ციხე, მუშათა ხიდი,
მშვიდი ბათომის მთვარე,
კიდევ კასპიის კიდე,
გადასახლების მხარე.

ლტოლვა ციხიდან. არე
ტამერფორსისკენ ჰლვივის,
ლენინის ნახვა. ფარი
ჰეშმარიტების სხივის.

რა მძიმე გზებით ვლიდი—
პრაგა, ლონდონის კარი,
ხან ტურუხანის მიდის,
ხან პეტერბურგის ქარი.
ტყე, გაფიცვების ღვარი,
ციხე, ციმბირი ცივი.
ყველგან იმედად არის
ჰეშმარიტების სხივი.
ცხრაას ჩვიდმეტის გარეს
მზე სწვდა მილიონმხრივი
და მოეფინა მხარეს
ქეშმარიტების სხივი!

ლენინთან ერთად, ოქტომბერის
ბრწყინვალე დროშით
სტალინი ბურჯი—განახლების
გაეშვა დროში.

როცა მშრომელებს ახალ ხანად
და ახალ ჟინად
დაუნდობელი ომი მტერთან
მიაჩნდათ ლხინად.
მას შემდეგ ხალხთა გამარჯვების
უძლვის დიდებას,
რევოლუციას, მის უმაღლეს
ჰეშმარიტებას.

შემდეგაც, როცა შავი ძაძა
ჩაიცვა მზემა,
როს მძლავრი შესწყდა ნებისყოფა
და მაჯისცემა,
როცა გაისმა უმძაფრესი
სიტყვები ფიცის
(მსგავსი არც წინად, არც აწმყოში
მხარემ არ იცის),
შენგან დაწყებულ მოძრაობას
სდევს მოძრაობა,
შენით ფოლადის იჭედება
დიდი თაობა.

გზა არა ერთი მოგონების
სიმძაფრეს ხვდება,
თუ როგორ სურდა ახალგაზრდა
თავისუფლება
სისხლის მორევში რომ ჩაეხშო
საზიზღარ ჯალათს—
რანაირ ხერხს არ მიმართავდა,
რანაირ ღალატს.
წყევლა და კრულვა! მას ჰყოფნიდა
გამბედაობა...
გამარჯვებული წინ მიიწევს
მძლავრი თაობა.

შეგნებამ კაცთა სიკეთის და
მოვალეობის
შემეცნებისკენ გახსნა არხი
ყოველდღეობის.

შემოქმედება—სიხარულის
    და შრომის ბალთა
თავმოწონების და სახელის
    ემბლემად გახდა.

დიდიხანია გაჰქრა ძონძი,
    სუსხი კატორღის,
საცოდაობა, სიბეჩავე
    დაკარგულ ქოხის,
უნაყოფობა, სულიერი
    არარაობა.
ქვეყნად ფოლადის წინ მიიწევს
    მძლავრი თაობა.

თვალუწვდენელი ღამის შემდეგ
    გათენდა დილა,
ცოდნით აივსო და ბუნება
    დაიმორჩილა.
მოძრაობანი, სინათლის ზღვა,
    სითბოთ ბუნება,
მდინარეთ დენა—მას მორჩილად
    ედუდუნება.

ადამიანი თვალუწვდენელ
    ნოხად დაიგებს
პოლარულ ტუნდრებს და ციმბირის
    ულრან ტაიგებს,
ჭაობის ნაცვლად განახლებულ
    გულში ჩაისვა
სურნელოვანი ყვავილები
    რამის, ჩაისა.

ნარინჯის ველად გადაიქცა
ლაქაშთა ქაფი.
პალმა, ლიმონი, ევკალიპტი,
პალმა და დაფი.

თვალუწვდენია ჩვენი სივრცე,
ველნი და ტყენი,
უანგარიშო, ულევია
სიმდიდრე ჩვენი,
სულით და გულით ჩვენთან არის
სიცოცხლე ლაღი,
სილრმე მთებისა, ციხის წიაღი,
მიწის წიაღი,
ლრუბელთ ვარდები, მთის სიმშვიდე,
ზღვის ქანაობა.
მიდის, ფოლადის წინ მიიწევს
მძლავრი თაობა.

უბრწყინვალესი არის დღეთა
ჩვენთა მსვლელობა.
უმწეოს—შველა, სუსტს—სიმშვიდე
და მფარველობა.
მსოფლიოვ! როს სჭვრეტ თავისუფალ
შრომის სასახლეს,
როგორ არ გრძნობდე აღტაცებას
და სიამაყეს?

გადაილახა მიუდგომი
საზღვრები ბედის.
კაცობრიობის ცხოვრებაში
სიცოცხლე შედის

ჯანსაღ, მშვენიერ, სრულყოფილი
ადამიანის.
დღეგრძელობა და ვაშა სტალინს!
დიდება სტალინს!
მას კომუნიზმის მიჰყავს გემი
გენიის სინჯვით,
ჭაბუკურ ნებით და ჭარმაგის
სიბრძნე-სიდინჯით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

საბჭოთა ხალხის გმირული
აქ ეპოქა სჭედს ხელოვანს—
იგი გმობს, გულმოპირული
სიცოცხლეს არსახელოვანს.

კარგია ლექსი, მაშინ როს
ნათელია და ხალხური,
არ მოაკლდება არასდროს
მასსის მღელვარე თვალყური.

სიმართლე, წრფელი იდეა—
აი რა არის პირველი,
გრძნობა კი დიდი ხიდეა
აზრთან ბჭით გადამკირველი.

მაშ, შენი ზვირთი რას იცდის
სიმღერავ, გულში ფარულო,
აქუხდი! მოგვეც არტისტის
განცდები სასიხარულო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ფერი მზესა და ქარს მოჰყავს
გაზაფხულის სადარი,
შენ კი ლოყას
გადაგკროდა ზამთარი.

მიდიოდი, როგორც მკვდარი,
როგორც მკვდარი სანანი,
ჰქროდა ქარი,
თრთოდა იასამანი.

ხალხის ზვავთა და გლეტჩერთა
გარს ბრუნავდა მდინარე;
არ შეჩერდა,
არ იკითხა: ვინ არი?

ეხლა სხვაა. კაცის თვალი,
ქალს სიხარულს აჯარებს,
სადაც ქალი
ქალის სახეს ატარებს.

სალამი ამ მშვიფობისთვეს!
მზე რომ სჯერა მკინარი.
ყველა გისმენს...
და კითხულობს: ვინ არი?

ფერითმზესა და ქარს მოჰყავს
სიხარულის შევსება
და შენს ლოყას
გზნება ეალერსება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰოეზიის ინტეგრალები

ლურჯ ფანჯრებს იქით, ოცნებაო,
სიმძლავრით დგება
სამშობლოს ჩემის ხმაურობით
სავსე ცხოვრება.
მე კი ვუზივარ ისევ წიგნებს;
ვებრძვი ყოველ წუთს,
ვებრძვი და ვიპყრობ მასალათა
სიმძლავრეს ჯიუტს.
როცა უბრალო სიდიდეთა
რჩება რკალები
უმაღლესი გზა წინ მეშლება:
ინტეგრალები.
რთულ ინტეგრალებს მე ვადარებ
ეხლა მეორეს
მსგავსებას მათსა და პოეტის
ცხოვრებას შორის;
მას ხომ ჯერ ისევ ბავშვობის დროს,
დიდი ხნის წინად,
სიტყვებთან ბრძოლა და დაძლევა
ჰქონია ჟინად.

ეხლა კი მის წინ გაიშლება
ფერნაალები—
უმაღლესი გზა: პოეზიის
ინტეგრალები!

ინტეგრალები! სიმებს მარად
ესახსოვრება
სამშობლოს ჩემის ხმაურობით
სავსე ცხოვრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლოს

სამშობლოს წინსვლა
    გასაკვირველი,
მზის მხურვალება
    გარს რომ ავლია,
აი პირველი!
    აი პირველი—
რის სიყვარულიც
    მე მისწავლია.

შენს გამარჯვებას
    ჩანგო, მოველი!
ოჰ, შენთან დღენი
    ჩემნი წარვლიან,
მედგარი ბრძოლა!
    აი ყოველი
რის სიყვარულიც
    მე მისწავლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავშლი ძვირფასი
ლექსების კონებს:
რა სიუხვეა!
რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს—
ნორაკინ ჰვონგბს—
რის სიყვარულიც
მე მისწავლია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომა და მოსვენება

როს ხელს გიშლის ხეობები
ცივი კლდე და ხმელი ნერგი—
შენ მიდამოს ეომები—
და ხმაურობ—როგორც თერგი.

და ყოველ წუთს, ყოველ მხრიდან
გამოძახილს ისმენს ხევი—
რომ სიმძიმეს მკერდით იტან
და ზეცამდე მიირხევი.

მე ვხარბდები ხმაურს ხმოვანს
მქუხარებას, წინსვლის გრძნობას,
მასში ვხედავ ყვავილოვანს
სიხარულის მუდმივობას.

ცად—ფოლადის გედებია,
ძირს ჰქუხს თერგი და რიონი
მთვარე თითქო ედემია
საყვარელნი გარემონი!

ხომ შენია, ხომ ჩემია
ეს მდინარე და ეს მთვარე—
დიდ ზრუნვას რომ მისცემია
მშობლიური არე-მარე.

სამშობლო—თავს გვადგას დედა—
მოსვენებულთ მყუდრო ძილით—
რომ სიცოცხლით აღსავსე და
ბედნიერნი ავდგეთ დილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამხიარულდი, ბუხარო

თოვლი და ქარის ფაფარი, გაფითრებული მთაბარი.
ქოხმახი მიუსაფარი, უსახურავო, უკარო.
ისიც გადასწვეს ცხრაასშვიდს (აბობოქრებულს, განა
მშვიდს,
შენ-ღა იხდიდი პანაშვიდს, თავმონგრეულო ბუხარო!).
ის გაჰქრა! იმ სამწუხარო, გზისკენ ვერ გადაუხარო,
გამხიარულდი ბუხარო, ბუხარო თვალებ-გიზგიზა.
ოც წელს (ყოველ წელს) თრთის გული: მოზღვავდა
ბავშვთა კრებული,
და თავის გახარებული სიცოცხლით გადიკისკისა.
ცხოვრება — მზის თანაბარი, გაცოცხლებული მთაბარი.
ვართ დიდი ცეცხლით გამთბარი—ტიტანის ჯუღაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი მეჭვლე

კარგია გრძნობით ნთებული, ბრძოლების მკაცრი ჯახება
და შემდეგ გამარჯვებული სიმღერის შემოძახება.

ეს მე ვარ, რწმენა-მახვილი ნებისყოფა და ძალღონე
ბევრი ქარიშხლის მნახველი, ბევრი გრიგალის გამგონე.

ჩემი ხმაც სმენამჭევრია, გული წმინდა და მაგარი.
საქმე კვლავ ბევრზე ბევრია, წინ, გაბედულად დაჰკარი.

მშრომელო! მარად გიყვარდეს, ვით გიყვარს შრომის სიალე.
პოეტო! ბასრი კალამი ხმალივით დაატრიალე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აწმყოს დიდება დიდი

ჩემო ლექსებო მარად
გქონდეთ მსუბუქი ფრთები...
აყვავებული მდელო,
გასაოცარი მთები!
რუსთაველი და მშვიდი?
დამშვიდება და ვაჟა?
აწმყოს დიდება დიდი
და დღეს მომავალს—ვაშა!

ჩვენი სტალინის მარად
ძლევამოსილი დროშით
წინ, ახალახალ ნათელ
გამარჯვებისკენ, მხარევ!
განადგურებულს ძველი
ყინვით, სუსხით და თოშით
აწ მარგალიტად გთვლიან,
სხვა ქვებში რომ ვერ გარევ!

გალაკტიონი ხედავს,
რა სასწაულებს ახდენს
ის გამარჯვება, რითაც
სუნთქავს მშობელი ერი.
იმ უბოლოოდ მედგარ
და საიმედო საყრდენს—
წინსვლას, რომელსაც ვერ სძლევს
ვერავითარი მტერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

წყალტუბოდან ქუთაისში,
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს—ვინა ხარო,
უპასუხე—რომ სუნთქვა ხარ—
არ უთხრა კი—ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

ნიავი, ია, ნარგიზი,
ავტომობილი კრიალა—
დილამ ასფალტის სარკეზე
ნავივით გაისრიალა.

აგერ მზის ამომთოვრება,
მაღლა ღრუბლების გარდავლა,
მან ერთი ჩემი ცხოვრება
ათას წელს გადაამრავლა.

გადაამრავლა, უმალი
მსგავსი წუთისა, ჩრდილისა
და მესმის ხმა იდუმალი:
წამოდექ, ძეო დილისა!

ო, ძეო დილის! აწ განვლის
გრძნობა სიბნელის ნაფლეთის
აღმოსავლეთის, დასავლის,
ჩრდილოეთის და სამხრეთის.

მზემ, ხმალი რომ არ დაჰკიდე—
    რაც ფერებია, რაც დავლა,
ცხოვრება კიდევ და კიდევ
    ათასზე გადაამრავლა!

მზემ, ლაჟვარდში რომ შეზრდილა
    თავისი სახე ნახა და—
ეს ყვავილები, ეს დილა
    მარადისობად გახადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

მე ხომ სხვა ვარ. დღე ცისმარე
მახვილს ვფერავდი;
შენ კი გქონდა დღეთ სიზმარი
ფერად-ფერადი.

მიყვარს ამ ხმის გაგონება
რადგან ვერრათი—
ვერ წავშალე მოგონება
ფერად-ფერადი.

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი
ბედისწერამდი,
სად არ დამდევს მისი ჩრდილი
ფერად-ფერადი.

იყოს ისე, როგორც დარჩა,
ამიერამდი
ჩემთვის ძონძი. შენთვის ფარჩა
ფერად-ფერადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

მთაგორების ზემო,
განდგომილთა ახლო
არ გაშენებ ჩემო
მშვენიერო სახლო!

მირჩევნიხარ სადმე
კვლავ ღარიბად მდგარი,
ვით დავთმევი, დათმე
შენაც ზენა-ქარი.

და ვიცხოვროთ ასე,
დაყრდნობილი მარად
მხოლოდ ჩანგის ხმაზე,
მხოლოდ ხალხის კარად.

მთაგორების ზემო—
განდგომილთა ახლო,
არ გაშენებ ჩემო
მშვენიერო სახლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრის გემი

ქართ სცადეს და ვერ
    გაანადგურეს
გემი მებრძოლი,
    გემი მართალი;
აჰა, მოვედით
    გემთა სადგურის
ჯებირთან, სადაც
    სარკეობს წყალი.
დადგა მედგარი
    უტეხი ფერდით,
წყალში დასცქერის
    თავის ხერხემალს
რამდენი ტალღა
    უტევდა მკერდით
მის წინგაწევას,
    ან შეფერხებას!
სქლად დასდებია
    მის ტანს ნიჟარა
მრავალწლოვანის
    ნიშანი ცურვის!

სად არ უვლია!
        მაგრამ მშიშარა
ის არ ყოფილა,
        არც მსხვერპლი არვის.
და ვგრძნობ თვისებას
        ჩვენში საერთოს
როცა ვუყურებ
        ამ მაგარ ძვლების
სილუეტს ზღვაზე
        და წინაერდოს,—
უცხოს — სიმშვიდის
        და მოსვენების...
და თუ მღელვარე
        ტალღები აღსდგა—
გემთან მებრძოლი
        შორი ზღვისანი—
ჩვენც გემთან ერთად
        ვიბრძოლებთ, რადგან
მზეებრ ნათელი
        გვინათს მიზანი!
ჩვენ ყველაფერი
        გავიგეთ ხვალის,
ჩვენ ყველაფერი
        გავიგეთ ზეგის,
არ დავიშურებთ
        ბრძოლათა ხალისს,
რომ ვიყოთ მტერთა
        წინააღმდეგი.
აღარ დაცხრება
        ეს სიმფონია,

აელვარება
სტალინური-მზით!
გაეშურება
მთელი მსოფლიო
ოქტომბრის მიერ
გაკვალული-გზით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჰქუხდა ხმოვანი
ქარი მრავალი
აჰ ასწლოვანი
კაკლისხის კარად;
ასე: მიმავალს
სდევს მომავალი,
დრონი მიჰქრიან
მარად და მარად;
ჩვენი შავი ზღვის
ხმაურის გვარად
აქ ხმაურია
არა ნაკლები,
ხიდან ჩამოდის
ხვავიან ღვარად
მხოლოდ და მხოლოდ
სავსე კაკლები.
დიდებულია
წლის მოსავალი
იგი სრულიად
გადიქცა ქნარად;

ბავშვი კისკისებს
    როგორც მზით მთვრალი:
ის მჭმუნვარეობას
    არა სთვლის არად!
როგორც იმედი--
    თან დააქვს მარად
გული: არც მეტი
    და არც ნაკლები!
კაკლებს უგულოს
    დასწონის მარად
მხოლოდ და მხოლოდ
    სავსე კაკლები!
ყოველ, მარადდღე,
    სავსე კაკალი
ახალ ცხოვრებას
    ედება კარად,
სილალეს სწორი
    აეღო კვალი
და არსებობა
    შეიგრძნო მყარად;
მოდის სიტყვების
    მგზნებარე ჯარად
ლექსი, რომანი
    და სპექტაკლები,
მასა კი არჩევს:
    მას უნდა მარად
მხოლოდ და მხოლოდ
    სავსე კაკლები!
ო, მეგობრებო!
    კარგთ თანაბარად

ვინ სთქვა ფუჭები
        და საძაგლები?
სოციალისტურს
        სჭირდება მარაგს—
მხოლოდ და მხოლოდ
        სავსე კაკლები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალამი ახალგაზრდობას

ბედნიერების ახალი წიგნით
შეაღებთ კარებს.
თავდადებითაც შეაღეთ: შიგნით
აზრი ელვარებს!
გვაქვს საგანძური: მეცნიერება,
რომლის სიმდიდრე
არ დაილევა—ქვეყნიერება
არსებობს ვიდრე.
ყოველი წვეთი დაღვრილი სისხლის
გვითითებს ფარად
წიგნთან სიფხიზლეს, ომში სიფხიზლეს,
სიფხიზლეს მარად!

ვეფხვებს სალამი! ვძლიეთ სიძნელე
გზად რომ დაგვედვა.
ვძლიეთ სხვა მტერიც: ვძლიეთ სიბნელე
და კარჩაკეტვა.

აზრს—თვით ბუნება—უამურ იჭვით
რომ იბურება
უანგარიშო მადლით და ნიჭით
ემსახურება.
ხალხისთვის, როცა ის ასეთნაირ
შრომას ჩაერთო,
მეცნიერება, როგორც ჰაერი,
გახდა საერთო!

თქვენ, როგორც ახალ დროის სიალე,
მომავლის სახე,
იმ კარგ მომავლის იმედი, ძალა
და სიამაყე—
მიჰყვებით ჩვენს დიდს მშობლიურ სტალინს.
მიჰყვებით სტალინს!
მისით დიდების საქმეა სწავლა
და ცეცხლი სწავლის,
მისით წყვდიადის შავს სადარაჯოს
ძალა ეცლება.
ბრძნულს, სამართლიან აზრს გაუმარჯოს,
ძირს უმეცრება

1939 ᲬᲚᲘᲡ 31 აგვისტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადღაც, ყინულზე

სადღაც ყინულზე ცეცხლი ანთია
და ადის ბოლი,
სადღაცა შორი ჩანს გრენლანდია—
ტიტანის ტოლი.

იმ ყინულებზე დროშა ფრიალებს
მიზანის დიდის,
ამოდის ქარი, დათვი ღრიალებს,
დრეიფი მიდის.

მაშ ამოდუღდი სიმდიდრეების
უხვო მარაგო;
ველად ფრიალებს დროშა დრეიფის
მხნე, საარაკო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ოდეს იყრების ომად ლაშქარი,
არ რგებან გზანი,
ჩემო სიმღერავ, მაშინ ჩქარ-ჩქარი
ჰანგი დასძარი.

ოდეს სასმელად ლაშქარს არ ჰყოფნის
ზღვა ატლანტიის,
იწყე მოტივი—არა არყოფნის,
არამედ ტყვიის.

თუ რომ სადგომად არ ეყოფიან
სივრცე ხმელეთის,
ჩემო სიმღერავ, მაშინც სჯობიან,
სიმღერა ჰკვეთის.

გადაერიე, ლაშქარო, გასწი
გაფანტე მტერი,
წუნკლებს მიუზღავს თვისას ათასწილ
საბჭოთა ერი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლო

სამშობლოის გზას მრავალფერს,
შარაა თუ ვიადუკი—
გამარჯვებებს თანაბრად სწერს:
თმაჭალარა და ჭაბუკი.

მოხუცი არ გულმავიწყობს,
ახალგაზრდას ძალა სწვდება—
და ორთავეს სურს დაიწყოს
ერთმანეთთან შეჯიბრება.

მოხუცს ქუდი წარბზე ხურავს,
ახალგაზრდას ცოტა გვერდათ,
მაგრამ კედლებს და სახურავს
თავს ევლება ორივ ერთად.

სამშობლოის გზას მრავალფერს
შარაა თუ ვიადუკი—
გამარჯვებებს თანაბრად სწერს
თმაჭალარა და ჭაბუკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩანგო, ბევრი კარგი დრო

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ქვეყნად გვიტარებია,
მძიმე, ძველი ცხოვრება
ჩალას გვიდარებია.

საქართველო—პარიზი
სხვადასხვა ქნარებია,
ჩანგო! დამიმტკიცე რომ
სიმართლე გყვარებია.

ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისთვის
ბრძოლა არ გვზარებია.
მოღრუბლულხარ, ეშხითაც
გამოგიდარებია.

ასი, ასი და კიდევ
ას სიმღერის ხმებია,
რაც კი თვალს დაუნახავს
და გულს გაჰკარებია.

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ერთად გვიტარებია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი მოტივებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამძლეობა

ათასფუთიან ჩაქუჩის ცემით
ვერ გატყდა გმირი,
გრწყინვალე შუქით და დიადებით
სდგას—ვით ქვითკირი.

ზეცაზე გრწყინავს ვარსკვლავი შენი,
ძველი დიდება;
ბუნება—დედა, ნუგეშთა მფენი
მზედ გეკიდება.

გული, ვით მიწა, სურდათ რომ ეხნათ
მკაცრ სარაზეთი—
მე გამძლეობა მინახავს ქვეყნად...
მაგრამ... ასეთი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ ა რ ი

თავგანწირული
მოჰქროდა ქარი
სისინით, შხამით.

კოკისპირული
წვიმა და ღვარი
მოვარდა ღამით.

მივდივარ. მკრთალი
სანთელი გაჰქრა
ჯერ ისევ გზაში;

ელვამ კლდეებზე
სინათლე გაჰკრა
და ჩაჰქრა მთაში.

იქ საარაკო
ქოხის საბური
ხომ არა ჩანდა?

არა! გორაკი
რამ უდაბური,
ელვამ გალანდა.

შორეულ სახელს
მე ვიჭერ სმენით,
ხმამ მიმიტაცა.

ვილაც მეძახის
მშობლიურ ენით,
მეძებს ვილაცა.

მაგრამ, ო, არა,
ეს მგლოვიარე
ქარი ცახცახებს.

მედგრად იარე
აქ შენ არავინ
არ დაგიძახებს.

კოკისპირული
წვიმა და ღვარი
გადივლის ღამით.

თავგანწირული
ჩადგება ქარი,
ჰგრძნობდე სიამით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტბა ალპიურ ზონაზე

მივდიოდი ყვავილების ველით,
გზაზე, ოსტატ ოქრომჭედლის ხელით.

ბეჭდის თვალში ჩაჭედილო ტბაო,
შენს ნაპირად ჰშვენის ბზა და ბაო.

სწორი ნაძვი არის ალვის მსგავსი
და ნაძვებს ქვეშ დაყრილია ხავსი.

მწუხარება ველის აქ არ არის,
არ ჰყვავიან ყვავილები ბარის.

სპეტაკია, როგორც სარკის ბროლი,
შარშანდელი, გაუდნობი თოვლი.

სისპეტაკით და სიწმინდით სავსე
ფერადდება მშვენიერი ხავსი.

მომტყდარი ხე ახალ ხავსზე მოწვა,
მეხმა მისი გული ცეცხლით მოწვა.

და გაშალა თეთრ-ყვითელი გზნებით
მონადირეთ გასავლელი გზები.

ალპიური ყვავილების კონა —
ასეთია მშვენიერი ზონა!

აქ პოეტის მგზნებარების საგანს
ის ფერი აქვს, რაც არაა სხვაგან.

მარად რჩება მოგონება ვრცელი —
მაღალ მთაზე დაფენილი ველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“

მარად ისმის: მარადისი
სიყვარული ძნელია.
ვის ისარი მოხვდა მისი
მუდამ ცრემლის მღვრელია.
ვარდთა კონის, ბნედა გონის,
ტავერნების ნდომანი...
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

დღენი ევრის და პარიზის,
უდაბნოთა ჩვენება,
მწუხარება კიპარისის,
ყვავილთ შემოშენება.
ველად გაჭრას, ხელად რონინს
ცვლიან შემოდგომანი...
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

ყველაფერი იგი გაჰქრა,
ვით სიზმარი გვიანი,
დრომ ახალი ძალით დაჰკრა:
სხვაა ადამიანი.
რუსოს ხანა, ოხვრა რონის,
ტრიანონის ცდომანი...
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

მაგრამ წიგნი მაინც დარჩა
ვაჟისა და ასულის,
როგორც სარკე, როგორც ფარჩა
დროის ფერ-გადასულის,
და იწონის წიგნთა დონეს,
წიგნთა მრავალ კვდომანი...
დე-გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჩამავალი მზის ფერადო კიდევ,
ჩემს ხსოვნაში არ დაშლილხარ კიდევ.

თითქო იქ, შორს, სამი დღეა, იწვის
მშვენიერი მწვერვალები წიწვის.

ვეკითხები ხეთა შენთა ფოთოლს:
რამემ ასე უნდა შეგაშფოთოს?

ეს უბადლო სალამოა მთაში,
მართლა ცეცხლი რომ დაინთოს, მაშინ?

ჩამავალ მზის ფერადების მორევს
იგი ცეცხლი შორით უამბორებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავდარი

რა საშინელი ტალღები,
რა საშინელი გრიგალი,
ცასაც ჩაუცვამს თალხები
ტყვიისფრად ჩანარიგალი.

ნაპირთან გადატყდომის დროს
ჭრიალებს ფიჭვი მაღალი,
ელვამ კვლავ უნდა იელვოს,
გრგვინვამ ჰკრას მეხი ახალი.

ტყე ტყვიისფერი ნატბორის,
გაქანებულად მგლოვარე,
ხანდახან ღრუბელთა შორის
გამოანათებს მთოვარე —

და განათდება უეცრად
გაოხრებული, პარტახი
უეზოო და უეწროდ
ოხრად შთენილი ჩარდახი—

სადაც მთებისა და ხევის
გზით წამოვსულვარ ყარიბი —
ელვათა შუქი მეხვევის —
ქარს მეხსნას—ვემუდარები.

ნაპირთან გადატყდომისას
ფიქვი მეორე ქრიალებს,
ცა ელვას ისვრის წყრომისას
გრიგალი ისევ გრიალებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც ალპებია, ველად

სადაც ალპებია—ველად
ცხვარი სვლას არ დაყოვნდება.
მე კი ისევ, განუყრელად
ჩემი მხარე მაგონდება:

მსგავსად ზვავთა და გლეტჩერთა
რომ დაიძრა მთიდან ფარა,
მწყესი ველად ვერ შეჩერდა,
ვერც სად თავი შეაფარა.

ერთს სოფელში ითვლის ორმოცს,
მეორეში ორმოც ათასს
ცხვარს, რომელიც უთხრის ორმოს
ყოველნაირ მგლების მადას.

ფერიც მზესა და ქარს მოჰყავს,
დროც სარკეა, როგორც სახე—
გამარჯვებულ მწყესის ლოყას
გადაეკრა სიამაყე.

არ ეცემა, ხედავს, დოლი...
ემატება ცხვარი ჯაგებს—
აქებს სწორი, აქებს ტოლი
ყველას თავის საქმე აქებს!

ველად—სადაც ალპებია
სალამურით მოდის მწყესი..
დროს არ გაუყალბებია
ძველებური ხმა და წესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი ე რ ი

იყო დილა მშვენიერი,
დილა ფერადი,
მაგრამ უცებ წამოვიდა
ცაიერადი.

ასე იყო შენი დილაც
ბედისწერამდი.
სანამ ყოფნის არ დაგკრავდა
ცაიერადი.

რომ იჭექა, გზა დაჰყრუვდა
სერით-სერამდი,
და მაისის წამოვიდა
ცაიერადი.

ეჰ, წამოდი, ჩემო წვიმავ,
მგონი, მელირსა,
მოთმინებით მეგრძნო რისხვა
შენი მეხისა —

რომ შენს ელვას შეუერთდეს
ლურჯა მერანი,
ცაიერადს ჩემი ჩანგი,
ცაიერადი.

იყოს ქროლა მარადისი,
მაგრამ ვერრათი
ვერ დააცხროს დროთა ჩვენთა
ცაიერადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ცაზე მიდის ერთად-ერთი
მოღუშული ღრუბელი.
იქ არ არის ეხლა ღმერთი,
ის ორთქლია გუბელი.

აი, ვრცელი მინდორ-ველი
იქ აღარ სდგას მრავალი,
ფეოდალი ძველის-ძველი,
მეფეთ შთამომავალი.

მორბის მთების ნაკადული
და მის კიდეს აწვება
სწორი, ნაბდით ჩახატული
მშვენიერი ნაძვები.

და გაისმის შორით-შორი
იდუმალი ქუხილი,
მოსდებია ველს ტრაქტორი,
არის შრომის დუღილი.

ცელქი ბავშვი მღერის ლილეს
არ სჯის უთამაშობა,
რა კარგია სიყმაწვილე,
რა კარგია ბავშვობა.

ატლანტიით ნიავი ჰქრის,
ის დაება ჯაგებით
ცას მიეცა ფერი ჯიგრის,
ნაზი მოფარდაგებით.

მე ვუყურებ შემკრთალ შუქებს
მიდის, მზე ესვენება
წლოვანებას მიმსუბუქებს
მთა და ბარის შვენება

ჩქარა მოვრჩე, თორემ რას ჰგავს,
კმარა ველის ტრიალო,
დავუბრუნდე, მინდა დაზგას,
ჩარხი დავატრიალო.

გამოვჭედო, მინდა ბედი
მიწას მივსცე მიწადი —
ოცნებები, დასავლეთი,
ეს მთა, ეს წელიწადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანატორიუმში

ო, შრიალით ეშვება
შემოდგომა სნეული.
ჩვენს ბაღს არ მოეშვება
გაყვითლება გრძნეული.

ერთმანეთს ემოძმება
ხანით მხარ-შექცეული,
ავადმყოფი ოცნება
და მზე ლანდად ქცეული.

მოაქვთ ჩემთან ყოველდღე
მშვენიერი ვარდები,
მოკრეფილი ტყედატყე,
ყვითლად ნაფერადები.

თრთიან ხელშეუხები,
ოცნებების კვართები,
ის წაბლები, მუხები —
იმ ტყის მილიარდები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრის სიმღერა

რამდენ მდინარეს არბევს
ეს დატეხილი მთები,
დემონისას ჰგავს წარბებს
მძლავრი ნიაღვრის ფრთები.

სუნთქვა მაღლიდან მორბის,
როგორც ქარული რაში,
და ბუდეები ორბის
მიჯგუფებულა მთაში.

უუძველესი ციხის
ჩანს ნანგრევები შორი,
ჩქარი მდინარის რიყეს
რგოლებს აზომებს ქორი.

დგება საღამო ჟამი,
მთებს ეპარება რული;
ჩქარა დაეშვი, ღამევ,
და დამიმშვიდე გული.

ჩქარა დაეშვი, ბინდო,
ფიქრი მომეცი წმინდა,
ვისაც ვენდე და მინდო
კვლავ მომაგონდეს, მინდა.

მინდა ახალი გზები,
მინდა ახალი რამე,
გაბრწყინვებული მთები,
განათებული ღამე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი

ტბა მოდის. ჭია-მაიის
ფერი ფერადი მოყვება,
ამ გაზაფხულზე, ამ მაისს
სამშობლოს ამბებს მოჰყვება.

და გრძნეულ ხიდზე ვჭვრეტ სცენას —
ვაჟი ქალს ვარდებს უწოდებს.
ის წუთის ასეთ გაფრენას
მარადისს რასმეს უწოდებს.

ზაფხულს მთვარიან ფერიებს
სიმშვიდის რული ერევა,
იფერებს, ხავერდს იფერებს
ბინდის და ღამის შერევა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ზღვა წყნარია ნამეტანი,
თითქო სძინავს.
და ბრინჯაო—ბავშვის ტანი,
მზეზე ბრწყინავს.

მებადური მოსდევს ბადეს,
ჟრჟოლავს წყალი.
აღტაცებას ბავშვში ბადებს
თევზთ ფართხალი.

გაქანება და დაცემა
ისმის მისი,
ისმის მისი აღტაცება
და კისკისი.

ნაპირებზე თეთრი ნავი
ხედავს კარვებს,
როგორ არხევს წყალს ნიავი,
გულს იქარვებს.

ილრუბლება ეფირები,
ნისლით მთებზე.
„მგონი, ავდარს ეპირება“!
სწუხს მეთევზე.

ქლიავისფრად შლილნი ფრთანი
ჰგვანან მინას;
ზღვა წყნარია ნამეტანი
თითქო სძინავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოცოცხლება

ხარობს გული,
ხარობს გული იმას,
რომ დაშორდა
გრიგალსა და წვიმას.

რომ ლექსთა ცეცხლს
გადაშორდა ფერფლი,
(იყო მსხვერპლი,
მაგრამ მსგავსი მსხვერპლი?).

სევდიანი
თვალს მოშორდა რული,
გამოცოცხლდა,
გამოცოცხლდა გული.

სიხარულით
კვლავ წკრიალებს ქნარი
(იყო მკვდარი...
მაგრამ მსგავსი მკვდარი?).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღემატება ყოველგვარ ძალას

აღემატება ყოველგვარ ძალას,
რომ სიხარული დასცალოს ჭიქით;
რაც ამოძრავებს სიზმარულ ჭალას
შორს, სასიმინდე ყანების იქით.

აღემატება ყოველგვარ ძალას —
სთქვა ისტორია ერთი ოჯახის,
სიმაღლე, რაიც აძლევს სიალეს
თავდადებასა და სიყოჩაღეს.

სიცოცხლე დილის სინათლით მიდის
ელექტრონებით ავსებს ფიალას;
სთქვა გაღვიძება მორევის დიდის...
აღემატება ყოველგვარ ძალას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალპები

კარგია, კარგია
მაღალი ალპები,
როს ნისლი ეხვევა,
ან ქარის აფრები,
ან როცა სიმშვიდის
იპყრობს ლეტარგია,
ან როცა იღვიძებს —
კარგია, კარგია!

ასე პოეზიის
მაღალი, მახვილი
იმ მზისა თუ ნისლის
სწორედ ამსახველი —
ღამით თუ ცეცხლია
მშვიდ დროში სარკეა
თანაბრად დიდია,
თანაბრად კარგია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მატარებლიდან

შორით გამოჩნდა ფოსტა,
იჭერს წერილებს მაღლით,
გაჩერებული ხბოსთან
ბიჭი პატარა ძაღლით.
გვიან ყვავილთა რიგით
ბალი თანდათან სცხრება;
აქეთ სადგური. იქით
მშვიდ სოფლელების კრება.
მოდის სოფელი როგორც,
დამსვენებელი ჩრდილი.
რაღაცას მღერის გოგო
მშვენიერი და ზრდილი.
აჰა, ღამდება. ბიჯი
და აქვე არის სახლი.
მიდის წერილით ბიჭი,
ხბო და პატარა ძაღლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ ღ ვ ა ზ ე

ამ სტრიქონებს ვსწერ...
ზღვა იღვიძებს ვით ფიქრი ჩემი.
მის ხერხემლებზე
ყორნის ფერი ქანაობს გემი.

ზღვა იშმუშნება,
როდესაც ვწერ მე ამ სტრიქონებს,
თითქო რაღაცა
აგონდება, და ვერ იგონებს.

უფრო და უფრო
იღუშება ზღვა ტყვიისფერი
ზღვას მრისხანების
ემატება ტალღა ძლიერი.

მაღლა, სულ მაღლა
იწევს მძაფრი ტალღათ კრებული
ღმუის, ნაპირებს
ეხეთქება გააფთრებული.

ლრიალებს, გმინავს,
როგორც მხეცის ხახა გმირული
დაუნდობელი
უშიშარი და განწირული.

უსაზღვრო არის
ზღვის ბრაზი და თავგამეტება
შორეულ მანძილს
გადამტეხი მეხი ედება.

დაუცხრომელი, შემზარავი
მისი განგაში,
ისმის სახეთა მოლრუბლვაში,
ვემთა კანკალში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახლიდან გავიდა
და
აღარ დაბრუნდა

საღამოს სხივები—
ღრუბლებში დაგროვდა,
აიმღვრა, აიმღვრა,
დაიძრა, დაბრუვდა.
და სხივი, რომელიც
სარკმელთან გამრუდდა,
სახლიდან გავიდა
და აღარ დაბრუნდა!

გაჰქრა! წინანდელი—
ჩავაქროთ სანთელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზამოწნაკლისი

ცეკვაში თითქო ფრთებია
შენი ხელების მტევნები;
მე თვალს გადევნებ. მე მხოლოდ
ოცნებით დაგედევნები...

ახალგაზრდობა შენს ირგვლივ
ფერად ფერხულში ჩაება,
შენთვის უცხოა დარდი და
გულგამყინველი ვაება.

ახალგაზრდობას შენს ირგვლივ
საამური აქვს მსვლელობა
(სადღაც კი თვალებს აცეცებს
გულგამყინველი მკვლელობა).

ახალგაზრდობას, რომელმაც
შენ აღტაცება დაგარქვა
არ განუცდია რა არის
გულგამყინველი დაკარგვა.

და ფრთები, მხოლოდ ფრთებია
შენი ხელების მტევნები,
ეგ სიხარული, ეგ ღიმი,
ეგ ბაღი ეგ შადრევნები.

სხვისთვის კი ბედმა არც ვარდი,
არც გაღიმება ინება,
გიცქერ და გულნაღვლიანად
წარსულზე გამეცინება.

რად ვერ ისწავლეს ღიმილი
და თავისთავის დანდობა,
საკუთარ ხელით რად მოჰკლეს
თავისი ახალგაზრდობა?

გიცქერ და ვფიქრობ, მზიანო,
გიცქერ და გულით ვევნები—
რომ ფრთები, მხოლოდ ფრთებია
შენი ხელების მტევნები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი ქალაქი

ქალაქი იმნაირია—
წამით არა აქვს სვენება,
ხანდახან მასში ძლიერი
აჩრდილი მომეჩვენება.

რამდენი დიდი ქუჩაა,
რამდენი დიდი შენობა—
ადამიანიც ისეა,
როგორც ტყის ფოთოლფენობა

ღამით მუსიკა ნელდება
და მიდუდუნებს როგორც რუ:
რა-რა-რა,-რა... რა,—პაუზა.
და ისევ: რუ-რუ, რუ-რუ-რუ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

— ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი—
ამბობდი შენა,
ვრცელ უდაბნოში, სადაც ქვიშის
ისმოდა ქშენა.
როგორ გვახსოვდეს? ავიხედეთ
ჩვენს სწორად, თითქო
ცაზე მსუბუქი,
მშვენიერი ღრუბელი იდგა.

— დავიმახსოვროთ ეს ადგილი,
ამბობდი კიდევ;
როს შენს ბაგეებს ვერ მართმევდა
ცისფერი რიდე.
როგორ გვახსოვდეს? იმ ადგილას
ჩვენს სწორად, ნელი
იგივე მსუბუქი, მშვენიერი
იდგა ღრუბელი.

ადგილს, დანიშნულს ასე ნათლად,
და ასე ზუსტად,
ამაოდ ვეძებ... მახსოვრობა
შემექნა სუსტად,
თუ გადინაცვლა არე-მარემ?
გუშინ კი თითქო—
ცაზე ჩვენს ზევით ამ ადგილას
ლრუბელი იდგა.

მაგრამ ყოფნაზე ბევრმა ქარმა
გადაიარა,
გადაიტანა ბევრი დარდი
ბევრი იარა,
და ბევრი რამე, უდარდელად
მჭვრეტი ციდანა,
ლრუბელთან ერთად, ამაოებამ
თან წარიტანა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ალბად, იმიტომ—ხომალდის აფრით
იდუმალ წყენით და გულდიდობით,
ვერ მოახერხებს გული ვერაფრით
უკანასკნელი გითხრას მშვიდობით!

რომ დრომ ზვირთები მხარით გადიშვა
და დააჯახა ერთი მეორეს,
რომ საბოლოოდ მოხდა გათიშვა
სინამდვილეს და ოცნებას შორის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტო-მოტო-ველო

ავტო-მოტო-ველო
შენ მიჰქრიხარ, ქალო,
დარჩა სადღაც ლელო,
ქორი, მთვარე, კალო.

—

უზრუნველია
ყვავილები მდელოსი
აქაც
მწვანე ველია
ავტო-მოტო-ველოსი.
რა ბევრი რამ ითქვა
სიტყვა, ფიქრო ძველო,
სიმბოლოა თითქო.
ავტო-მოტო-ველო:

—

სისწრაფის და სივრცის
არის სამფლობელო,

—

ავტო-მოტო-ველო!
ავტო-მოტო-ველო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ულრმეს, ურთულესს
მწველს შეეჩვია
განცდებს მახვილი
და მკვეთრი ჩანგი;
სხვისთვის რომ შრომა
მხოლოდ ეჭვია,
ჩემთვის ქმედითი
არის უზანგი.

ახალი გრძნობა
მოვარდა მიწად,
ახალი ქვეყნის
შენების გრძნობა,
მე უფრო ნათლად,
და უფრო მტკიცედ
მესმის დიადი
სიტყვა: გმირობა.

ამ გრძნობას მოაქვს
რაც დიდხანს მალა,
თავისუფლების
დინება დიდი—
შეუჩერებლად
მბორგავი ძალა:
ძალა უძლევი,
ძალა ქმედითი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგოგონებები ევროპაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ

რას, რას იპოვი
აქ საზღვარგარეთ
რომ ის ჩასთვალო
მზედა და მთვარეთ.
არ ღირს მსოფლიოს
მთელი სიმდიდრე
ერთ გაქროლებად,
სამშობლო მხარეთ.

იქ ხომ გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შეღამება;
ჩვენში არც მწარე
მარტოობაა,
არც სასიკვდილო
არის წამება.

სტუმართმოყვარე
ჩვენ გვაქვს სახლები,
მათ ხალისიან
ლიმს ეახლები;
დეე შორიდან
კივოდეს ჭოტი
და თავგადაკვლით
ყეფდეს ძაღლები.

ჩვენი გზა ცრემლით
არ ინამება,
არც სივრცეებზე
სწუხს შელამება.
დიდი ხანია,
გათენდა, გულო,
დიდი ხანია
გაჰქრა წამება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონება მშობლიურ მხარის

მისცემია ძილს ბრეტანი,
ალივლივებს ზვირთებს მთვარე:
„ნამეტანი, ნამეტანი
შორი გზები მოვიარე“,

მისცემია ძილს ბრეტანი—
მე კი მახსოვს მსხმოიარე
ჩვენი მთა და მოედანი,
მშობლიური არე-მარე.

იქ ჭაობი იყო. გაჭრა
უამური, სიმწრის ჯაფა,
შფოთიანი ძველი გაყრა,
უმკაცრესი პაპის-პაპა.

ოცი ათას ჰექტარ მინდორს—
ციტრუსების გვინდა ვარდი,
მილიონი კი არ გვინდა,
მილიარდი, მილიარდი!

ასეთ მილწევაზე სწუხდა
ხანისწყალი და რიონი,
და ძვირფასად აზურმუხტდა
ხე, მრავალი მილიონი.

გრეიფრუტი, მსგავსი მთვარის,
მისი ფერი და ამინდი,
გრეიფრუტი კი არ არის
ყუმბარაა, დინამიტი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიქრები სამშობლოზე

ნავთსადგური დიდი, ვრცელი,
ტვირთებს ზიდავს კაცი-მონა.
შორს გაჰყურებს ზღვას მარსელი
და ისტუმრებს გემებს რონა.

გამახსენდა! დაბადება—
განთიადით შუქს აპკურებს,
სხვა ახალი ემატება
ჩვენი ქვეყნის ნავთსადგურებს.

სიყვითლით და დაობებით,
რომ ბორგავდა წინად ფოთი,
შრება ძველი ჭაობები
და რიონის სცხრება შფოთი.

ცხრება მისი მავნე შფოთი,
გადალეკვა ვეღარ ართობს—
გასჭრეს სულ სხვა კალაპოტი
ძველი—ძვირფასს სტოვებს ფართობს.

სად ხვდებოდენ: ზღვა ძლიერი
და რიონი მედიდური,
მშვენიერზე მშვენიერი
დაფუძნდება ნავსადგური.

აქ კი ულონობა ვრცელი...
ტვირთებს ზიდავს კაცი მონა
შორს გაჰყურებს ზღვას მარსელი
და ისტუმრებს გემებს რონა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ დღეს რომ იყო

იმ დღეს რომ იყო
კოხი და თქეში,
პარიზზე ქარის
რომ ჰქუხდა სვეტი,
მძლავრმა გრიგალმა
ბულონის ტყეში
ხე ამოგლიჯა—
ექვსასზე მეტი.

ძირფესვიანად
გულ-ალმა დაწვა
გადალეწილი
ალვა და წაბლი,
თანაბრად გრძნობდა
სიტყვას: თავდაცვა!
უბრალო ჩიტი
და დირიჟაბლი.

ვერსალისაკენ
განადგურების
აზვირთებული
ტბა მიედინა,
შემდეგ ეკვეთა
რადიო-სადგურს
და კაბინებს ხმა
გააკმედინა.

როგორც ქალს, შიშველს
სულით და ხორცით,
ბულვარს ის სეტყვა
სცემს კმაყოფილი;
აცურდა ქუჩა
ნაგები ტორცით,
ნიალვარს მიაქვს
ავტომობილი.

რა საოცარი
ისმოდა მარში,
როს ქარი ჩადგა
და გზები მოშრა.
ამგვარ პარიზში,
ამნაირ ქარში,
ავაფრიალეთ
კონგრესის დროშა

1935 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე

ბრწყინავს დარბაზი;
სინათლე ნაზი
როგორც ნანატრი
რამ ფეერია—
იატაკიდან
ჭერს შეერია
და ელვარების
მისცა სიახლე.

როგორც სიზმარი
რამე ნანატრი
გადაეხვევა
ათასფერ მინას—
ასე დიადი
სასახლე ბრწყინავს,
შეთანხმებისა
ბრწყინავს სასახლე.

რა მორიდება
და დიდი ხათრი
რა სიყვარული
ხალხის სწერია
გამოძახილში:
მშვენიერია
ბარბიუსის სიტყვა,
მისი—მეტადრე.

ამ გამოძახილს
იმ მომენტს ვადრი
როდესაც ცეცხლი
ადულებს რკინას;
დიდ იდეებით
თეატრი ბრწყინავს,
გამარჯვებული
ბრწყინავს თეატრი.

პრეზიდიუმში
ჩემს გვერდით წყნარი
და მოღიმარე
ზის ბარბიუსი;
მას აქვს ღიმილი
დაუვიწყარი—
თვალებშიც ნაზი,
ლურჯი ბურუსი;

პარიზთან მჭიდროდ
გადაზრდილია
ბარიკადები
წითლად ნაბანი,

ეს პერ-ლაშეზი,
ეს ბასტილია,
ზარბაზნების ხმა
და ბარაბანი.

გარედ კი მტერი
დადის იოლად
სადაც პალმების
მწვანე ქაფია,
მას უნდა არა
კარმანიოლა,
არამედ დუჩეს
ბიოგრაფია.

სახალხო ფრონტს და
ინტერნაციონალს
სურს ხალხში მკვიდრად
გაიდგას ფესვი,
მის ბრწყინვალე და
მზიურ მომავალს
ეხმაურება
ჩვენი კონგრესი.

ამაოდ კი მტერის
სურს დაარბიოს,
ის სიცოცხლესთან
თამაშს ვერ იგებს,
არა ერთს და ორს
ჰანრი ბარბიუსს
დაუკავშირებს
მებრძოლთა რიგებს.

ამაოდ სიკვდილს
სურს დასცეს გმირი
და ამოგლიჯოს
საგულეს გული,
თვით დაეცემა
გულგანაგმირი,
სიცოცხლის ცეცხლით
შემობუგული.

ახალი გზისთვის
ჩვენ მიგვიგნია—
მსოფლიო ცეცხლით,
მსოფლიო ცეცხლით!
წიგნით სტალინზე!
ეს ის წიგნია,
სად დინამიტი
ელავს ნაკვერცხლით.

1935 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეზუვი

მხოლოდ მთა იგი...
იდგა მთა იგი
დემონის ხელით
მძლავრად ნახატი;

იწვა კლდე კლდეზე,
იდვა ქვა ქვაზე,
და იყო მხოლოდ
ქვათა ღაღადი.

ქვას გული არ აქვს.
(როგორც შენ არ გაქვს
ამაოებავ,
დაუვიწყარო).

უცებ ქვა გასკდა
და მის სიღრმიდან
ამოჩუხჩუხდა
ცეცხლების წყარო.

ასე, პოეტის
ბედიც: დუმილი
დიდ ხანს აწვალებს
ქვათა სიმძიმით.

უცებ მოსკდება
გრძნობათ ნაკადი
და სიბნელეში
შედის ციმციმით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

უცვლელად საერთო
ისმოდა ჩივილი:
„ეს არის ჩვენი ხმა
და გულის ტკივილი —
მასის და კულტურის
მწუხარე გათიშვა.
წიგნები რად გვინდა,
თეატრი რად იშვა?
ამაოდ აგებენ
მშვენიერ თეატრებს,
ჭუდი რომ შეუგდონ
კაცს ვერვინ შეათრევს.
ამაოდ აწყვია
ყდა კარგი წიგნების,
მნატვრელი ვინაა
იმათი მიგნების?
ვინაც ჰქმნის კულტურის
რაიმე შვენებას
იგი ხალხს გაურბის
ვით სასტიკ ჩვენებას.

და ხალხიც: რა გვნახეთ,
რა მათი საფერი?
ეს ხომ გათიშვაა
და სხვა არაფერი.
კულტურის გზა ხალხთან
არაა ადვილი,
არ არის შეხვედრის
საერთო ადგილი.
ინგლისში ქურდების
აყვავდა რომანი,
პარიზში (ამაზე
სწუხდა ლენორმანი)
არსებობს შეძლებულ
წრეების ფართობი,
თეატრი სჭირდებათ
როგორც გასართობი.
ეს არის მაძღართა
უგულო სკეპსისი,
მაგრამ თუ ასეა—
ვისია მერმისი?
და მძლავრი ხმა ისმის:
მუშათა მასების!
იქ დიდი კულტურის
წყურვილი არსებობს.
წავიდეთ. დიადი
გვექნება მგზავრობა;
თუ ხალხის ამ მხარეს
არ იცნობს მთავრობა,
ცენზურა სასტიკი
ცხადი, ან ფარული—

ჩვენ გვიცდის შეხვედრის
დიდი სიხარული!
ჩვენ გავგლეჯთ საზიზღარ
ეკლიან მავთულებს
გულწრფელად ჩვენ მისვლას
ხალხთან რომ ართულებს“.
და მართლაც მიდიან...
რამდენი ხანია...
— ვინ არის ის, ხალხში?
— რომენ როლანია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოელი პოეტი

უმცროსმა ჩემზე
რამდენიმე წლით
ცხოვრებას ადრე
კვალი უძია.
როცა ჰკითხავენ:
საით, რომელ გზით?
ის ამბობს: სადაც
რევოლუცია!

გულით ამტანი
მრავალთა ბედის,
იგი ერთგული
პოეტთა რაზმით,
სამოქალაქო
გრიგალში შედის
ჯერ არსმენილი
ენტუზიაზმით.

როგორ უყვართ ის!
ის ჩვენთან არის,
ის, ვისაც მედგრად
და უანგაროდ
ცეცხლში და წყალში
ახალგაზრდობა
რომ თან გადაჰყვეს—
მზადაა მარად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე

კარგი ოსტატი,
შემომქმედი უმწერვალესი,
ვინც სიტყვას მისცა
ყინულის და ცეცხლის ხალისი—
ენა ფრანგული
ჰქმნა დიადი და სრულყოფილი,
უდარეგელი,
იშვიათი, კეთილშობილი.
მხოლოდ გუგუნი
იყო მისი ხმის რეზონანსი.
ანატოლ ფრანსი,
მშვენიერი ანატოლ ფრანსი!
მწარე დაცინვა,
მოელვარე როგორც მახვილი
მათდამი ზიზღის,
უმწარესი გამომსახველი,
ვინც მარგალიტით
და ოქროთი მოავარაყა,
ბურჟუაზიის
ბატონობის მთელი მარაქა.

ის იყო ციცხვი,
წინაპარი მოვლენის დიდის,
რომელიც ეხლა
ახალი გზის ძიებით მიდის.

მხოლოდ გუგუნი
იყო მისი ხმის რეზონანსი—
ანატოლ ფრანსი,
მშვენიერი ანატოლ ფრანსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმუშევარი

შენ ჰკარგავ გრძნობას. ეხლა შენ გძინავს
    დაღლილი ძილით,
რომ სენის ნაპირს, ელვარედ მბზინავს,
    დახედო დილით.
თუ არ გასვენებს ქარის გრიგალი,
    არ უთმობ შენცა.
შენ გესიზმრება დროშათ შრიალი —
    ახალი ზეცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ვერ გიხსნის გენიალობა,
ვერც ნერვიული თითები.
შენ, როგორც დროის მწყრალობა
ბრძოლას ნუ მოერიდები.

ძლიერი, უანკარესი
რომ გქონდა მგრძნობიერება,
მხოლოდ ამიტომ პარნასი
არავის მოეფერება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტ ი რ ი ფ ი

დარგული ალფერდ-დე მიუსსეს სამარეს თან.

ტირიფი ტირის,
მდინარის პირის
და თავის გმირის
თავგადასავალს.

(აქ მრავლობითი
იდგა კოპიტი
მარადყოფითი
შრიალით სავსე)

ფერმკრთალი მუზა,
შემკრთალი მუზა,
ნამდვილი მუზა
დე-მიუსსესი,

ტირის რომ დღემდე
მიუსსეს შემდეგ...
ოცნებავ, შესდეგ!
აი მიზეზი.

ტირიფი ტირის.
მე ცრემლის ხშირის,
არა ვარ მომხრე:
არაა წესი.

დრო ანთებს რკინას,
დროს აღარ სძინავს
და ჰქუხს, და გრგვინავს
ჩვენი კონგრესი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲓᲘᲡ

გამოვიდა ომიდან
მკაცრი ცხრაას თვრამეტი,
პოეტების ტომიდან
არ დარჩა მესამედი.

ვინაც შიმშილს, ზამთარის
ძნელ სიცივეს გადარჩა,
ნახევარი რა არის—
ნახევარიც არ დარჩა.

რა ხანა გაიარეს
ცივი და უნდობარი,
მათი, დალუპულების,
ვინ სთქვა შესანდობარი?

მშვიდი, კათოლიკური
სადღაც გაჰქრა მესია
მათი მყუდრო სავანე
ეხლა პერ-ლაშეზია.

მაგრამ მოდის მეორე
ურჩი, მძლავრი თაობა
და ახალი ცხოვრების
მოაქვს მიმოძრაობა.

ძალა მოექანება
გულისა და გონების,
არა ერთეულების—
ბევრის, მილიონების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა პიერი

სანაპიროს ნაგვის ყუთში
გულსაკლავად სძინავს პიერს;
მოკუნტული წვიმით ბავშვი
სიზმარშია: ერთ მშვენიერ
მინდვრად თითქო სოფელია,
აქ, ქალაქის შორე-ახლო
საცოდავად იყურება
პიერისა სამოსახლო.
ალიონზე ქალაქისკენ
მიაქვს ძველი მას კალათი
იქ არაფრით მიმავალი
შინაც მოდის არარათი.
პიერს ეზოს ბოლოს უდგას
ერთად ერთი ძირი მსხალი
მისი ბედი და ნუგეში,
მისი მზე და მარჩენალი.
მსხლის თვისება ზღაპრულია:
ზამთარ-ზაფხულ, ყოველ დილით
მადლიანი ხის ტოტები
იტვირთება მწიფე ხილით.

მით საზრდოობს. პიერისთვის
ხე მფარველი არის ხატი.
მაგრამ ერთხელ საღამოთი
ცრემლით ხვდება ხე მარადი.
ვერა ხედავს მწიფე ნაყოფს,
გაუძარცვავთ მძიმე მსხალი,
ვინ მოვიდა, ვინ დაამხო,
რომ არ დარჩა ნატამალი?
და ყველაფერს მიხვდა პიერ,
ხედავს პიერ, რა ეჭვია,
რომ დღეიდან დაიღუპა,
რომ მას ქურდი შეეჩვია.
გაიღვიძა აქ პიერმა.
და წამოხტა ვით შურდული
ბავში, როგორც სიცხადეში,
სიზმარშიაც გაქურდული.

* * *

აგერ შემოდგომობის
ცივი გრძნობა ამდორებს,
უმძიმესი ტომების
გენიალურ ავტორებს.

სული სცდება ამ სოფელს,
სიჩუმით და წიგნითა
ვერ პოულობს სამშობლოს,
თუნდაც გადაწიგნვითა.

ამ დროს უცხო ბედიდან
რეკავს ქუჩის ფიქალი—
გისვრის კაბინეტიდან
უცნაური გრიგალი!

გრძნობა ხალხში მიილტვის
გავიწყდება წიგნები,
და ახალ სიცოცხლისთვის
სწრაფად გარდაიქმნები!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვოლტერის ძეგლთან

ცის კარები ენთება,
დილა შუქმფინარია,
მოხუცს გაახსენდება
ძველის ძველი არია.
ქვეყნად ბევრი არ არის
ვინც ამ ბალთან იწვალა,
მწარე სუსხი ზამთარის,
სხივით გამოიცვალა.
აქ ბავშვების თითებით
ბურთი გულებს ახურებს
და ვოლტერიც დიდებით
აღმოსავლეთს გაჰყურებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარელიეფი

მარჯვენა მკლავზე დაყრდნობით გძინავს
ვიწრო გვირაბის ქვაზე მჯდომარეს,
აქ არასოდეს მზე არ გიბრწყინავს,
გამოლვიძების ასე მდომარეს.

და მაინც წერაქვს, რომ გდია გვერდით,
ველარ შორდება ხელი მშრომელი;
ძილშიაც მასთან ისვენებ მკერდით.
დღეც ასე მიდის... მაგრამ რომელი?

გამოიღვიძე! გამოდი ბალში,
მაგრამ იქ, სადაც ჰყვავის იები—
შენ მშრომელი ხარ, შეჭრილი თალში,
ვით პოეტური ბარელიეფი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოტიეს რომანიდან

ჩვენ ვიგონებდით
ბოტიეს გმირ ქალს,
ქალიშვილს ლაძაზს,
მადლენ-დე-მოპენს,
რომლის წკრიალა
და უდარდელ ხმას
რომანტიული
ელერა მიმოფენს.

იცით ეს ქალი?
მან ერთხელ მხოლოდ
და ერთი კოცნა
გასწირა ლამით;
ამით წააგო,
მან საბოლოოდ,
საბედისწეროდ
წააგო ამით!

არვისთვის ამ ქალს
რაც მისმა ხვითომ
სამარადისო
დასტოვა ხსოვნა
არ უკოცნია.
არა იმიტომ
რომ ალერსი არ
ესიამოვნა—

არამედ მისთვის,
რომ შეუშინდა
განმეორებულ
კოცნათ მოწყენას,
იმ ერთ სიყვარულს
დაარქვა წმინდა,
შეუდგა მართალს
და გმირულ თმენას.

მან თავის გულში
კოშკი ააგო
და თავგანწირვას
იტანს ქალურად.
რა მოიპოვა
ან რა წააგო,
ასე დიდათ და
ასე მალულად?

მადლენას უყვარს
ჭიქა ციმციმა,
ცეცხლთან იმის ბროლს
უცქერის ლამაზს—

სანამ გულწრფელად
არ გაუღიმა
ოქროს ღაინოში
ნაპერწკლის თამაშს.

ეჰ, ნუ ვიგონებთ
გოტიეს გმირ ქალს
ქალიშვილს ლამაზს,
მადლენ-დე-მოპენს
რომლის წკრიალა
და უდარდელ ხმას,
რომანტიული
ჟღერა მიმოფენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟელანქოლიური მოსიმღერე

მშვენიერი მახსოვს ბაღი,
მებაღე მას არ თარგავს
დავკარგე და ვიგრძენი, რომ
კარგი რამ დამიკარგავს.

უნაზესი სიყვარულიც
გულს ვარდებით არ ქარგავს.
დავკარგე და გული მტკივა—
კარგი რამ დამიკარგავს.

ჯანმრთელობა არის განძი
სხვა განძებს რომ არა ჰგავს,
დავკარგე და ვიგრძენი, რომ
ბევრი რამ დამიკარგავს.

მქონდა დიდი ნებისყოფა
მუხას ჰგავდა, კლდეს ნარგავს,
დავკარგე და იმავე დღეს
სიცოცხლეც დამიკარგავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალარ მიყვარს, ო, ქალაქო,
ცხოვრების სიავკარგე—
არ ვამბობ რომ, ყველაფერი,
ყველაფერი დავკარგე!

ნურც ვინ მეტყვის: გულს ნუ იტეხ,
გული ხომ ქვას არა ჰგავს.
არაფერი, ან სულ ცოტა,
ცოტა რამ დაგიკარგავს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმოვანი კინო

საღამო წყნარი. ულრუბლო სახეთ
ახალი ღვინო.
ოცდაათი წლის წინად რომ ვნახეთ
პირველი კინო.

ზღვა ხმაურობდა. ეს იყო ქვიშის
ხმოვანი ჯადო.
მონტევიდეო, ლურჯი პარიზი
და კოლორადო.

მას შემდეგ ხანა ორად გაიყო—
გული ამ გულში.
(ეს ოცდაათი წლის წინად იყო,
და არა გუშინ).

არ გაიარა მას შემდეგ ჯადომ
ხანა წუხილის.
ისევ ის განგი და კოლორადო
ვნახე წუხელის.

და ფრანგულის წილ (გზა უისროთა)
როგორც სინანულს—
ხმოვანი ფილმი სიტყვებს ისროდა
ამერიკანულს.

გაჰქრა მსუბუქი შრიალი ქვიშის
ალ-მოფერადო
მონტევიდეო, ლურჯი პარიზი
და კოლორადო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსთაველი პარიზში

ეს წელი ჩემთვის
არის კანდელი
უფრო ელვარე,
ბადრი, წითელი,
უფრო მხნე, ვინემ
გზა შარშანდელი,
თუმც არა, როგორც
შარშანწინდელი!

ეს წელიწადი
და ეს საათი
შარავანდედი არის
მთელ დროთა!
ეს არის შვიდას
ორმოცდაათი
წლის მოზღვავება:
ეს არის შოთა.

უმშვენებს კედელს
სურათი მისი
ერთს პოეტს, ვინაც
ქართლში ყოფილა,
რა საოცრებებს
ფარავს პარიზი,
ქვეყნად ყველაფრით
უკმაყოფილო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პუშკინი პარიზში

პარიზი. კაფე. პალმების ბუჩქის
ტოლის და სწორის
პოეტი ამბობს: ვუსმინოთ პუშკინს,
რომ დგას ჩვენს შორის: —

„გადავერიოთ ბახუსის ალებს
შორს სევდა-დარდი.
ეს გაუმარჯოს მშვენიერ ქალებს,
ჩვენ რომ ვუყვარდით!

„სავსე თასების ცბიერ ძალაში
ნუ დაეჭვდებით,
ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში
ჩვენი ბეჭდები:

„ასწით თასები, გადავკრათ უცებ
გადავცდეთ ჩარჩოს,
ეს გაუმარჯოს მგოსნების მუზებს,
აზრს გაუმარჯოს.

იბრწყინე მარად დიადო მზეო,
იბრწყინე მარად.
ვით ეს სანთელი ჰქრება უმწეო
მზის შუქის კარად.

ისე—ცრუ სიბრძნე უკვდავ აზრის ბჭეს
ვით ნისლს რამე,
იხრწნება, ჰქრება. გაუმარჯოს მზეს,
ძირს ბნელი ღამე!"

მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის,
მომეცით—თასით.
ეს გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას პუშკინს!
თამამად ასწით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მზადა ვარ მარად
მღელვარე თვალით
გათენებამდე
ვუცქირო რუბენსს,

ამოსვლას მზისას
მგზნებარე რკალით,
საოცარ ფერებს,
მშვენიერ ღრუბელს,

კარგია უბის
გარღვევა ალით,
ლუვრი საყვარელს
მაგონებს უბეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ვით მეომარმა
ხმალი დაჰპიროს
და ელვარება
უჩვენოს მზეზე.
ისე ამ ქუჩას,
ამ სანაპიროს,
შუაგულს ხიდი
წამოდგა ზეზე,
და მიმითითებს
ლუვრს: სადაც ამ დროს
რაფაელია
და ვერონეზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ვით პაპის-პაპა გოლიათი
შვილების წინა,
ალმართულია დიდებული
მაღლა მონ-ბლანი.

შვენებამ მზიურ ელვარებით
დააგვირგვინა—
და ვერრას აკლებს ქარიშხალთა
ხმა გამყივანი.

ისე—ის წიგნიც! ცეცხლისათვის
მარად ქვითკირი!
მისი სახელი ძველებურად
არის შექსპირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

რაც ბედმა გითხრა: არ შეშინდე,
ფრთხილად დაჰკარი!
მას მერე კაცთა ბუნებისა
ხარ დოსტაქარი.

მის სულთან ბასრი დანით ხელში
დგეხარ მოხრილი;
ვით ხელის გულზე, თვალწინ არის
მიყრილ-მოყრილი.

ათასი ვნება, მისწრაფება...
ნუ ჩაიკეტე,
პოეტო! შენი ასეთია
დიდი სიკეთე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲚᲮᲣᲪᲘ ᲛᲬᲘᲒᲜᲝᲑᲐᲠᲘ

დადის უბის წიგნაკებით,
დადის ძველი რვეულებით,
თან მიჰყვება მოგონება,
მოლხენით თუ სნეულებით.

ეგულება იმედები
მშვენნი რიდე-ხვეულებით,
გულგაშლილნი მარტოობით
და მარტონი წვეულებით.

და ძილშიაც ესიზმრება
წიგნი მძიმე ტანიანი
ოდისეი, ილიადა,
ბოკაჩიო, ან ყურანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუმანიტე

მეტი გზა არა
დარჩენია-რა!
თვეზე მეტია
სად არ იარა,
სამუშაო კი
ვერსად ვერ ჰპოვა,
გულის სიმხნევემ
ის მიატოვა.

მზადაა ეხლავ
წყალს მისცეს თავი,
მან გადასწყვიტა.
და უცებ ზვავი,
ხმათა მოვარდნა:
„იყიდე!
„ლუმანიტე!
„ლუმანიტე!

„ლუმანიტე!
„იყიდე
„ლუმანიტე!“
და შეიცვალა
დღე სულ სხვაგვარად,
ახლა იმედთა
მძლე ნიაგარად.

როგორც დაცემის
და ავზნეობის
რცხვენია თავის
სულმოკლეობის.
მეტი გზა არა
დარჩენია რა
ბრძოლით დააცხროს
გულის იარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქალაქისაკენ

წავალ—იფიქრა და ამ ფიქრთან
გრიგალმა უმალ—
სიცოცხლის ახლო გაიარა
წყნარად, იდუმალ.

ის გამოვიდა ძლიერ ადრე,
ვით სიყვარული—
მთვარიან ტყეზე მიდიოდა
გზა დაცვარული.

ბური. ოცნებას სიხარული
გადადნობია,
გარშემო ტყეა, ზევით ვრცელი
ცის ტატნობია.

ყვითელ ხაზების სინაზეში
სულ ნელი ქარის,
ნელი სიგრილის მოქროლებით
მიმოიჩქარის.

უცებ გამოჩნდა ქვაფენილთა
და სახლთა ლანდი
ყველას მიესწრო: „ერთად-ერთი
მე დავგვიანდი.

„ცხელმა ქალაქის ქვაფენილმა
მე ვერ მიშველა
შუადღის მტვერში, როს უქუდო
და ფეხშიშველა.

მივდიოდი და გამწარებით
ვიმტვრევდი თითებს,
ვინ გაგიგონებს, ვინ მოგხედავს,
ვინ დაგამშვიდებს.

მაინც აღმომხდა: დედამიწავ,
ო, მერამდენჯერ
უნდა დავემხო, გეამბორო,
რომ ასე შემჭერ,

ჩემთვის უცნობ და მიუღებელ
ცხოვრების ზვავში—
ოდესმე ნაზი, ზამბახივით
ულრუბლო ბავშვი.

ო, მერამდენედ უნდა გითხრა
კიდევ მადლობა
ცისკრისთვის, რასაც დილის ჰქვია
მოსინათლობა.

იარებისთვის, ჩემს დასისხლულ
ფეხს რომ აჩნია,
ყველაფრისათვის, რაც არა მაქვს,
რაც გამაჩნია.

ჩემო ძვირფასო დედამიწავ,
ძვირფასო დედა,
მხოლოდ შვილურმა სიყვარულმა
აქ მომახედა.

პირქვე ვემხობი, ვიყრი მუხლებს
და ასე ვამბობ:
გმადლობ, დედაო, ყველაფრისთვის
უზომოდ გმადლობ.

რომ აშრიალდენ ჩონგურები,
როგორც ტყეები,
მიტოვებული, დავიწყებით
სავსე ტყეები.

რომ მიჰყავს სიმთა ოქროს ნავებს
სიმსუბუქეში
ჩამავალ მზეთა ნაყოფიერ
მინდვრის ნუგეში.

რად მინდა გავყვე შენს ეთერის
უბეში ტრიალს,
იქ, სადაც ქარი თავისუფალს,
მღერის ხეტიალს.

მივალ უცნობ და მიუღებელ
ცხოვრების ზღვაში,
ოდესმე ნაზი, ზამბახივით
ულრუბლო ბავშვი.

ბური. ოცნებას სიხარული
გადადნობია
გარშემო ტყეა, ზევით ვრცელი
ცის ტატნობია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიკვდილი უმუშევარისა

შენი ცხოვრება
(არა სიმაღლე!)
რომელიც ჰკვდება
ცივი, ბებერი.
მისთვის არ არის
ამ ქვეყნად სახლი,
არც კარებია
შესაღებელი.

შენი ცხოვრება
არის ეს ბუჩქი,
ჩამოფლეთილი
ყოფნის კარამდის,
სადაც სიკვდილი
და სადაც ჭუჭყი
განუყოფელად
მიდის მარადის.

შენი ცხოვრება
ლონემიხდილი
არის ტალახი,
ბოსელი, ქართა.
ვერ შეგაშინებს
თვითონ სიკვდილი.
გრძნობ, არვინ მოვა
შენთან, მის გარდა.

სადმე ვერაგი
გადიხარხარებს,
როცა გაიგებს
სიკვდილის ხველას.
შენი სიკვდილი
იმას ახარებს—
როგორც ცხოვრება
ახარებს ყველას!

ამის მნახველი—
ვით არ ვიქნებით
უკმაყოფილო—
შექმნილი წესით?
წავალთ დროშებით,
წავალთ წიგნებით,
წავალთ მქუხარე,
ჩვენი კონგრესით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოელი გავშვი

შორს გაფენილო
მინდვრების ტილო
გიგანტური
ღრუბლების ჩრდილო!

ნისლების მძიმე
მტევნები მთაზე
რა სიმდიდრეა
რა სილამაზე.

ნარინჯის ვრცელი
და ფართო ხალი
თურინჯი, თუთა
თუ ფორთოხალი.

მძივები ნაზი,
ცვარი კამაზე...
რა სიმდიდრეა!
რა სილამაზე!

ეს ოცნებაა
ოცნება ლალი.
შენ რა, პატარავ?
სხვისია ბალი.

სხვისია მძიმე
მტევნები მთაზე
შვება, სიმდიდრე
და სილამაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭუჩის მოკმლერალი

მან ეზო-ეზო
კარიდან კარად
ბევრი ლამაზი
სიმღერა ხარჯა.

მაგრამ არავინ
ჩასთვალა არად:
მას ძონძი მოსავს,
მდიდრებს კი ფარჩა.

ქამანჩა, ქმნილი
ცრემლების ღვარად—
აი სულ—რაც მის
ცხოვრებას დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უბინაო დედა

როს შეგხედე
გულს მოედო სევდა.
რალაც მწარე,
თვალს ბურუსი ხვევდა.
იმ ყოფაში
არ მენახე, ნეტა
ბავშვის დედა,
უბინაო დედა!

მთელი ქვეყნის
რას გიზამდათ მტრობა,
რომ გქონოდათ
ერთი მტკიცე გრძნობა,
საარაკო
ბრძოლის ნებისყოფა
ბავშვის დედა,
უბინაო დედა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისტერია წვიმაში

დღეს ნოტრ-დამთან (სნეგიან
ფანტაზიის ნახატი!)
კალენკორის ფრთეგიან
ანგელოზებს ნახავდი.

ლია ცის ქვეშ—მტვერია,
კარებს აღებს მისანი—
და მიდის მისტერია:
ვნებანი უფლისანი.

სცენა გამოხატავდა
სამოთხეთა შვენებას
და გარშემო ფანტავდა
რაღაც საშინელებას...

მაღლა ტიტანიური
იყო ღრუბელთ თეთრობა,
საიდანაც ციური
ეშვებოდა მხედრობა.

მარჯვნივ უზარმაზარი
დევი მწვანე თვალებით,
კოშკი, როგორც ტაძარი,
ედგა ზურგზე ბრჭყალებით.

და კოშკის კბილებიდან
ცბიერი და ხელ-შმაგი,
როგორც შორი მთებიდან
იზრდებოდა ეშმაკი.

კოშკიდან კი დროდადრო,
კრთოდა ცეცხლის ენები
თითქო ცეცხლმა დაათრო
ჯოჯოხეთის ფენები.

ირეოდა გალობა
შორი, ხმა დაბუგული
ორგანოთა მკრთალობა
და ზარების გუგუნი.

წაიშალა ეს გრიმი,
არც თუ ისე გმირული
წამოვიდა რა წვიმა
ჩქარი, კოკისპირული.

ამიდი გაკვიმატდა,
დამამ ქოლგა გაშალა,
წვიმამ უფრო იმატა —
მისტერიაც ჩაშალა.

და შემდეგ კი (სნებიან
ფანტაზიის ნახატი!)
კალენკორის ფრთებიან
ანგელოზს ვერ ნახავდი.

მაღლა ტიტანიური
გაჰქრა ღრუბელთ თეთრობა —
საიდანაც ციური
ეშვებოდა მხედრობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

საღამო, ჩვენს სუფრას
უხვსა და განიერს
მოაწყდა სიუხვე
ბანანის, ატამის.
რატომღაც იგონებ
სხვა მრავალ-ჟამიერს—
მეოთხე, მეხუთე
მუხლამდე ატანილს.

ბევრგვარი უნახავს
მგზავრ პოეტს მწვანილი,
ამჟამად მას მხოლოდ
ერთი რამ აოცებს—
რაგვარად მიაგავს
ქართველს ესპანელი—
არც ბორდო ათროობს და
არც ცეკვა აოსებს.

სწორი ხარ, სწორი ხარ!
ნეტავი მსგავსება
იყოს და კიდევაც
სჯობნიდნენ ერთმანეთს.
იმგვარის დროშებით
და შრომით ავსება
როგორიც ჩვენშია
ვუსურვოთ ესპანეთს:

წელან კი ამ კაფეს
ზმანებას ვადრიდი
ესმისთ კი? ესმისთ კი,
როდესაც ჯაზია,
რა ალში ეხვევა
ლამაზი მადრიდი,
ის კატალონია
და ანდულაზია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონ-პარნასი

თქვენი დროის ზღაპარი
ძველებურად ნაზია,
თქვენი თავშესაფარი
ისევ „მონ-პარნასი“-ა.

ბროლში ელვის კამკამი
ელვარება იმ ღვინის,
პროვანსი და შამპანი
მშობლიურად გიღიმის.

თმახუჭუჭა თუთუნის
ბოლი თვალებს ედება,
ისმის ჩუმი დუდუნი—
ძველი შემოქმედება.

ლანდი. შეფარებული
იმა დროთა ყოვნებას,
უნებურად გაგონებს
უკანასკნელ ომნიბუსს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

შუქი ღრუბელთა შორის,
ალი ცეცხლთა ნათების
იყო ჩვენთვის პარიზი—
ძველი ბარიკადების.
ცეცხლი რევოლუციის
მსოფლიოზე მთოვარი.
ეხლაც დარჩა საფრანგეთს
ძველი მონაპოვარი!!.
რამდენი გაქანებით
ქუჩა იყო სოველი
როგორც ფანტასტიური
გზის რაიმე ქსოვილი.
და იმ დღეს კი პარიზი,
სავსე იდუმალებით,
ურცხვად იყურებოდა
დელაროკის თვალებით.
მაგრამ უცებ ინათებს
სიმბოლო თავდადების,
შუქი აღმოსავლეთის
ცეცხლი ბარიკადების!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონმარტრზე

მონმარტრზე სადაც ჩვეული
იფერფლებიან ღამენი,
ხელიხელ გადახვეული
იმღერის ორი გამენი:

„პარიზში ნუ ეძლევი დარდს,
რომ დავაშინოთ სნობები,
ჩვენ ყველა აფრიკაში ვართ,
ყველა ვართ ეთიოპები.“

ულევი, უანგარიშო,
შიშის და ჟრჟოლის ამტანი—
შენს არე-მარეს, პარიჟო,
აშუქებს კაფე-შანტანი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთხელ დილით

ბრწყინავს დილა
როგორც სარკე,
ცა გაშლილა
როგორც თარგი.
დილაც კარგი,
ზეცაც კარგი,
აქაც კარგი
ლუნა—პარკი.

ისიც კარგი
რომ ამ დილით
ლამარტინით
და დე-დილით
უბრუნდები
გადასულ წლებს,
ხან ცრემლებით,
ხან ლიმილით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

ეხლა, ძვირფასო მოგონებავ,
გიამბო მინდა,
გაგიზიარო ყოველივე
მინდა, გულახდით.
ჩვენში როგორ რთავს გაზაფხული
ქალაქს და მინდორს
თუ როგორ ბრწყინავს აღტაცებით
და შრომის ტახტით.
მსოფლიო გლობუსს საგულეში
თამამად ვიტევ
გული არა მაქვს უდარდელით
სავსე სიმღერით...
წყნარად, ნოტრ-დამო! თითქმის ორმოც
წელზე მეტია
ღმერთს გავეყარე, რას მაშინებ
ეხლა ქიმერით?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეიფელის კოშკზე

არის მთასავით
კოლოსალური
მარსის მინდორზე
მდგარი შენობა:
მე ავდიოდი
ვით მოხარული
სვეტებზე ადის
შუქთაფენობა.

ოთხკუთხიანი
ეს პირამიდა
პარიზზე ასე
განით მჭვრეტელი,
ესლაც იგონებს,
როგორ ავიდა
ამ სიმაღლეზე,
აკაკი წერეთელი!

(ვიღაცა სწუხდა
მგონი ლექსებით,
რომ გვიან შეხვდა
უეცარ ალებს,
რომ დაუძლურდა,
რომ ექსცესებით
ვეღარ გაართობს
პარიზელ ქალებს)

მე ამ კოშკს ჩემი
შევსწირე მსხვერპლი
და შევიწირე,
ვით სახსოვარი
ზრუნვის საათი,
ჩუმი საფერფლე,
ერთიც იდეა
სწორუპოვარი:

რომ ეიფელის
მწვერვალზე დადგმულს
რადიო სადგურს
უსმენს პარიზი:
უთანაბრობა
დროებამ შთანთქა,
ეხლა ჩვენია
ეს ასპარეზი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკვლელების კაფე

შეწუხდა და თქვა:
    რა ამაში?
ერთი ბნელი დგას,
    როგორც ნაღველი.
რაც იქნეს, შევალ
    ამ აკლდამაში
ვერ წავალ მისი
    მე უნახველი.

შევალო, ეს სთქვა
    და შესავალი
შეაღო კარი
    მძლე განზრახვითა,
ერთი ბნელი სდგა,
    რომ კაცის თვალი
პირველად ვერას
    დაინახვიდა.

ის დღე და ღამე
ეარა. გროვა
იფანტებოდა
ლანდთა სადარი,
ბევრი ეარა
და ბოლოს ჰპოვა
მკვლელი, დიდი ხნით
აქ ბინადარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანანები

ბანანებს ჰყიდის
ელვარე ზანგი.
ის მართალია,
ის არ შეცდება;

მუდამ ერთი და
იგივე ჰანგი,
ნირ-შეუცვლელი
როგორც წესდება:

მჭლევდება ფილტვი,
სივდება ფრანკი,
ყოფნა დღითი-დღე
უარესდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ არე-მარეზე

ოყულ ამ არე-მარეზე
უცნაური ის არის:
გადაწევა უქმია
რკინის გზების ისარის.

საბარგო მატარებელს
თვალი ვერ დაინახავს.
ალბად ინდუსტრიალურ
საიდუმლოს ინახავს.

ჩვენში, აბა, უსმინეთ
აღტაცებას მიცემულს`—
მრავალთ-მრავალ ბორბლების,
გრგვინვას გრიგალისებურს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ უ რ ი

რური! რამდენ რამეს ამბობს
მხოლოდ ერთი სიტყვა: რური.
ქვანახშირის მრავალ ამბავს
თან სდევს ბრძოლა უამური.

რა ოფლის და სისხლის ღვრაა,
რა ხვნეშაა განახშირი,
აქ მტაცებლის ოცნებაა:
ქვანახშირი! ქვანახშირი.

ჩვენს მთებში კი გმირი, შრომის
გზით გვირაბს რომ დახაროდა
მას ბელადის სახელობის
ქვანახშირის მაღაროთა

უთვლის სამას პროცენტს, გეზი
თვიურ გეგმით ამონაგებს;
ეს საქმეა უდიდესი
და ამ გმირსაც საქმე აქებს!

ჩვენში შრომა დიადია
სასახელო, საამური,
არა სისხლის ნაკადია
ან საარი, ანუ რური.

ჩვენში სიხარულის ზღვაა
აღტაცება განა ხშირი—
დიდ შენობის ერთი ქვაა
და აგური—ქვანახშირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე ი ნ ი

შეღამებულ ჟრუანტელით
და კოშმარულ ძილით
ვერ ძლეული — კვლავ ამაყი
ყოფნას ვხვდები დილით.

არის მხოლოდ სინამდვილე
რომ არა ვარ ბავშვი,
რომ რეინიც მიდუდუნებს,
გახვეული შავში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უცხოელ პოეტს

მშფოთარებაში დინჯი,
და გამართული ბიჯი,
შენ შენი შრომის ნიჭი
და შენი საქმე გაქებს!

შენი კი ისევ გჯერა,
რომ პოეტს არ ჰყავს მტერი;
კიდევ ბევრია, ბევრი
ჩასაფრებული ჯაგებს.

ხან მშვიდი სენა, ხან კი
შეშფოთებული განგი, —
შენი მქუხარე ჩანგი,
შენ შენი ჩანგი გაქებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰეინეს სტრიქონის გამო

რომანტიული
ქნარის წვიმაში
ნირ-შეუცვლელი
იყო გალობა:
ბედნიერება
არის მირაჟი,
უბედურება
კი რეალობა.

უბედურება —
სწუხდა ჰეინე —
დინჯი, მოხუცი
არის ქმნილება,
თუ ერთი გნახა
და მოეწონე
სიკვდილი დღემდე
ქნარს გეცილება,

ასეა, ასე:
მხოლოდ სიზმარში,
სიუბრალლე
და სიადვილე —
უბედურება
არის მირაჟი
ბედნიერება
კი სინამდვილე.

მე არას ვიტყვი:
ბევრის ვარ მოწმე
უბედობით და
ბედნიერებით;
პირად საკითხში
ამ ორი მოძმის —
ნურავინ ქვეყნად
ნუ ჩავერევით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგელი და ცხვარი

თითქმის ორი
ათასი წლის
წინ ცხოვრობდა ფედრი.
მან დასწერა
ბევრთა შორის
ეს არაკი მკვეთრი:

იყო სიცხე.
მოხდა ისე
რომ წყურვილით ხელი,
ნაკადულთან
წყალს მიაწყდა
ბატკანი და მგელი.

თავთავისი
წყალსასმელი
არე ჰქონდა მათგანს:
მგელს სულ მაღლა
სულ დაბლა კი
იმ უბადრუკ ბატკანს.

მაშინ მგელმა
მრისხანებით
რომ დაიღრ ხახა
დაიძახა:
წყალს რად მიმღვრევ,
შენ მართლაც რომ გლახავ!

შეკრთა კრავი,
ძლივასა სთქვა:
შენ და შენი ღმერთი
მე ქვევით ვარ,
შენ კი ზევით,
რის ამღვრევა — ერთი!

ამ სიმართლის
გაგონებით
ჯერ დაიბნა მხეცი,
მერე კი სთქვა:
შენ არ იყავ,
შარშან აქ რომ მეცი...

— სულ არა ვარ
დაბადებით
იმ ხნის — ამბობს კრავი.
მგელი ეტყვის:
მაშინ მამა—
შენი იყო ავი.

რაღა ბევრი
გავაგრძელოთ,
მსწრაფლ მივარდა მგელი,

არც აცივა
არც აცხელა,
ბატკანს გაჰკრა ხელი.“

მაგრამა სთქვით:
ეს ამბავი
რითი არის ძველი,
ბესინელ
კრავს თუ ერჩის
იტალიის მგელი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეაპოლში

სიკვდილს მე როდი
შევუშინდები
იგი, ძმა, მუდამ
ჩვენს მხარეზეა;
მე მეშინია
იმგვარ სიცოცხლის —
სიკვდილს რომ ჰგავს და
უარესია.

აქ გაზაფხული
არავის ჰკოცნის,
არც ეს მაისი,
არც პოეზია.
მაშ გაუმარჯოს
იმგვარ სიცოცხლეს
სიცოცხლეზე რომ
უტკბოესია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბისინელი ჯარისკაცი

ორნი ძმანი ვიყავით,
მე მჯობნიდა პირველი,
სიმამაცით, გატანით
შრომით გასაკვირველი.
მე ვიყავი კეთილი,
ის — სხვა სულისკვეთების,
მკაცრად ჩამოკვეთილი
რისხვა მძლავრი ქედების.
ძმა წამართვა ზუზუნმა
მომხდურ მტერთა ტყვიების,
აწ გულს ცეცხლად ედება
გრძნობა შურისძიების.
ვისიც სისხლის დალევის
სურვილი მაქვს ძლიერი
მხეცი, დაუნდობელი
არის იტალიელი.
დაიღუპა ჩემი ძმა,
სოფლებსა და სადგურებს,
ცეცხლი უფრო და უფრო
ლეწავს და ანადგურებს.

ბრძოლა, თუნდაც გათავდეს,
ვინ რომელს გაასვენებს,
მე კი სისხლის აღების
ფიქრი არ მომასვენებს.
მე დროს ვუცდი შესაფერს,
ის დროც მალე დადგება,
ჩემი თოფ-იარაღი
მაშინ გამომადგება.
დაიღუპა ჩემი ძმა
ცა მას ცრემლებს აპკურებს,
სისხლიანი გრიგალი
სამშობლოს ანადგურებს.
ვისიც სისხლის დალევის
სურვილი მაქვს ძლიერი —
მტერი, დაუნდობელი
არის იტალიელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ბ ა რ უ რ ი

დაავიწყდა, თუ, დროებას
რაა [illegible]მ[illegible]ის სიბრალული?
მთელ ქვეყანას მის საშველად
უწოდებდა იბარური.

„ქალებზე და მოხუცებზე
სურს იძიოს მხეცმა შური“,
თავდადებით დაიცავს მათ,
უმძაფრესი იბარური.

არ დასცხრება ესპანეთის
და მსოფლიოს გულისყური
გაიმარჯვებს ხალხი, ვისაც
ჰყავს ასეთი იბარური!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ე ვ ი ლ ი ა

ელანდება სევილიის
შეღამება ჩქარი,
ძლივს ანათებს ქალაქს მთვარე,
გარედ გრგვინავს ქარი.

ბორგავს ბავშვი ავადმყოფი
ღამის სწურავს ბნედა—
და იდუმალ მწუხარებით
თავთან უზის დედა.

მაგრამ ეს ხომ სიზმარია
და სიზმარი ტკბილი,
ულვიძარი არის დედის
სამუდამო ძილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა ბარსელონის და ვალენსიის

ჟღერს ეს კაბინა,
ძაგძაგებს მინა,
ხმაურობს რკინა,
მანქანა კვნესის.
გრგვინვა-ელვა
სიბნელის ცელვა,
მუდმივი ღელვა
ზღვის უშორესის.
გამქრალი ალი,
მტირალი ქალი,
ქარი, გრიალი,
სიწყნარე წუთის,
და ისევ შორი
მოტორის თქორი,
რომელსაც სწორი,
რიტმი ამტუტებს,
დღეს ჩემი ლექსის
ძაგძაგებს მინა,
ხმაურობს რკინა,
ხარობს და კვნესის.

თენდება, წყნარი
ილვიძებს ბარი—
გზა ბარსელონის
და ვალენსიის.

მტრობით და ზიზღით
ჩვენი და სხვისი
სად ილვრის სისხლი
ფიქრით მივდივარ.
განქრეს ნიავით
თუ დარჩეს მწვავედ,
რაც დრომ სიავით
მოატივტივა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვადალკვივირი

რომ გაჰქრა სხივის
ალერსი ძვირი—
შფოთავს და ჩივის
გვადალკვივირი:

„რად მინდა ვაზის
ნაზი ოცნება,
ან სილამაზის
გაჯადოსნება?

„ანუ ჩრდილები
მძიმე მტევნების,
ან ყვავილები
ძველ ხეივნების?

„ზვირთების სუნი,
მეთევზის მღერა,
ფუტკრის ზუზუნი,
ნიავის ბგერა.

„ლაჟვარდი ელვით
მშუქარე ტბები,
ზურმუხტის ველით
ვერა, ვერ ვტკბები!

„მე მფარავს ისლის
შავბნელი სვეტი:
ჩემს ზვირთებს სისხლის
დაეცა წვეთი.

„მას შემდეგ მეტი
არ მეფერების,
თუნდ ერთი წვეთი
ბედნიერების!“

ხშირი ზეფირი
სტირის ვით სირი,
ჩივის და ოხრავს
გვადალკვივირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

TABES D'ORSALIS

ქვევით მილების
ურიცხვი ხე-ტყე,
ზევით კოშკები
და კიოსკები.
მათში მიმოდის
ქალი ყოველ დღე,
რომლის სახელი
არის როსკიპი.

არარა ისე
არ მეცოდება,
როგორც მონმარტრის
ვიწრო გალია,
მისი მწარეა
სახელწოდება,
მისი შემქმნელი
კაპიტალია.

თრთის კავალერი:
ეს დალალ-კავი
და ეს ბიუსტი
აღელვებს სავსე.
გინდა ჩემს მკლავზე
მედოსო თავი
და გინდა ცოლის
დამღალველ მკლავზე.

და როცა ასე
სჯის გრძნობა მისი
უცებ შეკრთება
დარბაზი ლალის,
შემოიხედავს
ომი, კრიზისი,
და შავვეშაპა:
tabes d'orsalis!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს

არ შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს
ო, რა ხანია
ეხლა კი შევხვდით
აგე კაფე „მანჰატანი“ა.
ეხლა ჩვენ შევხვდით, ნუ უყურებ
დროთ უხსოვრებას,
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!
გახსოვს ავდრები ნათესების,
და საძოვრების?
ეს იყო სევდა და ბურუსი
ძველი ცხოვრების
გახსოვს შორი გზა... ცდა მოგების
და საშოვრების?
ეს იყო ბნელი გვირაბები
ძველი ცხოვრების.
გადავივიწყოთ—სილარიბე,
გამათხოვრება—
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!

არ შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს,
ო, რა ხანია,
ნამეტანია, მეგობარო,
ნამეტანია!

ის მოგონება გავატანოთ
დროთ უხსოვრებას—
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს,
ახალ ცხოვრებას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მეგონა: ღამე ფლობს იუნგ-ფრაუს
და ვიღაც კვნესის.
მეგონა: კვნესა იმ სასაფლაოს,
მხოლოდ მე მესმის.

მეგონა: ჩვენსკენ არვინ წამოვა
სიბნელის შიშით.
რომ ბნელი ღამე, საფრთხე რამეა
ტალახით, ქვიშით.

რომ მოვიხედე: ვით ჯარი მხლებლად
მწყობრი, დას-დასი
ამ გზით მოჰქროდა მოსაშველებლად
ბევრი ათასი!

* * *

მეტყვი: როგორც ეს გრიგალი
დამივიწყე მეცა.
გაიხსენე შენ დუნაის
მშვენიერი ზეცა.

მეტყვი: იგრძენ მუხის ჟრჟოლა
შორი მინდვრიდანა,
როგორ მიდის, როგორ მოდის,
როგორ ღელავს ყანა.

მაგრამ ეს ხომ სიზმარია,
აქ ვერ ვხედავ ბალახს.
ქვის სიმძიმე სამარედ ხდის
უზარმაზარ ქალაქს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონ-ბლანი

ლაჟვარდის გული,
მდევივით ტანი!
გაბრწყინვებული
მოჩანს მონ-ბლანი
იგი დგას მშვიდად
და უმოძრაოდ—
მშვიდი სიდიდით,
მშვიდი—საოცრად.

ადიდებული
მოგრგვინავს რონა,
გააფთრებული
ვეფხვი მეგონა,
ჰქუხს ტალღად რიგით
რისხვად და მოსვრად
მწყრალი სასტიკად,
მწყრალი საოცრად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სადღაც დარჩა, შორს, სტოკჰოლმი
მჭლე გლეხობა, ფიორდები.
ისევ დავფიქრდები ხოლმე:
ჩემს სამშობლოს ვერ ვშორდები.

იქ თვლა არ აქვთ ამანათებს,
სიუხვეა და სიმღერაც,
კოლმეურნის ოჯახს მატებს
სიხალისეს ფერად-ფერადს.

სხვათა მოჯამაგირობით
რომ სწყევლიდა ბედისწერას
თავისუფალს, თავის შრომით
ბედს აწვდიან ფერად-ფერადს.

მშრომელს საბჭოთ ქვეყანაში
ვერ დააკლებს მტერი ვერას,
ათასობით ითვლის სახლში
გამარჯვებებს—ფერად-ფერადს.

სიხარულით იწყავს ხორბალს
გოგრებს, მწვანილს და ჩხავერას,
ატრიალებს ღერძი ბორბალს
მხიარულს და ფერად-ფერადს.

დრო მიდამოს აკამკამებს
შეძლებული სხივით ფერავს
პიანინოს, ფარდებს, დგამებს
და ხალიჩებს ფერად-ფერადს.

და ითვლიან აწ თვითეულს,
როგორც ნანატრ რამე ბგერას,
დღეებს, როგორც ამ ჩითეულს
საამურს და ფერად-ფერადს!

სადღაც დარჩა, შორს, სტოკჰოლმი
მჭლე გლეხობა, ფიორდები,
ისევ დავფიქრდები ხოლმე:
ჩემს სამშობლოს ვერ ვშორდები.

მუშის სიტყვა

უეცრად მუშა წამოდგა ერთი
    და ჩვენ მოგვმართა.
დეე, გარდიქმნეს ეს უცხოეთი
    და ამას გარდა—
თქვენი ქალაქის და თქვენი დაბის
    რომ სცვლის სიარულს,
დეე, გაუმარჯოს იმ მტკიცე ნაბიჯს
    ინდუსტრიალურს.
ჩვენს სიახლოვეს, მეგობრობას,
    არა სიშორეს—
გაუმარჯოსო საბჭოთა კავშირს
    გმირთა უსწორეს.
მოპოებული არაა უცებ,
    რაც ხდება ჩარჩოს
იმ ძლევამოსილ რევოლუციის
    აზრს გაუმარჯოს!
ელექტროშუქი ისეთია დღეს
    ვით ღელვა რამე,
მაშ გაუმარჯოს თქვენს მილიარდს მზეს,
    ძირს ბნელი ღამე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ ე ი მ ს ი

ცისკრისას თოვლის
ეკიდა ქსელი
იჩხვლიტებოდა
ყინვა ვით ნემსი.

მოლუშულიყვნენ
ქუჩები სველი,
ბურუსში ძველი
ჩანდა რეიმსი.

თითქო სტიროდა
რეიმსის ზარი,
რომ ღიმილისთვის
დრო აღარ არი.

რომ მთელ ევროპას
ჩუმად ედება,
რაღაც ახალი
თავგამეტება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ილიადა

ნაწყვეტი

არის ევროპის
ზღუდეთა თანა
ერთი მცირეზე
მცირე ქვეყანა.
ქვეყანაც მცირე,
ცხოვრებაც მცირე!
დაჯექ, იტირე...
იტირე, ნანა.
პატარა ქვეყნის
სუნთქვაც კი ხშირი
სულ შემკვრელია,
და მწირზე მწირი...
ასე ფიქრობდა,
ფაფარს მიჰკვროდა,
და შორს მიჰქონდა,
შორს, ჩემი გმირი.
მართლაც პატარა
ქვეყანა ყოველს

სულს უხშობს ათას
ძლიერ იოველს.
ბუნებას გმირულს,
კაცობას გმირულს,
ოცნებას გმირულს
და ბევრის მთხოველს.
იმის დიდების
და ძლიერების
გატაცებულ დროს
არა ერთფერი,
არა ჭაობთა
სანახაობა—
სხვა მოძრაობა
და გზა შეჰფერის.
როგორც თქვენ ხედავთ,
ფიქრობდა, მარა
გამოსავალი
არა ჰქონდა-რა!
ოხრავდა გმირი,
კვნესოდა გმირი,
ბორგავდა გმირის
ცხოვრების შარა.
ის ვის ეგონა,
ის ვინ იცოდა
თუ რა ნელ ცეცხლზე
გმირი იწვოდა.
სურდა კარავი
ფიქრთ შემფარავი,
მაგრამ არავინ
არ შეიცოდა.

სინამდვილეს რომ
არ დაებნიდა,
ის ოცნებაში
შვებას სძებნიდა.
უთხრა ბევრი რამ
მას გმირულმა ხმამ
მაგრამ, ვაი ამ
ხსნას ვაებიდან!
რამდენად უფრო
სულს შეეთვისა
ჟინი გმირობის
და დიდებისა
იმდენად მწყრალი,
აღმოჩნდა რკალი
შეუბრალებელ
ცეცხლთა დებისა.
ბრაზს ულვიძებდა
უხმარად მყოფი
ჯაჭვი, ჯავშანი,
ხმალი და თოფი.
და ეხლაც, ეხლაც
დადის ამ ქვეყნად
როგორც აჩრდილი
და ავადმყოფი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი ძალა

მზე ჩადიოდა
და აქ კი წვიმად
იწოდა ვარდის
ლრუბლების მსგავსად,
გადაქცეული
მრავალფერ სიმად
ცისარტყელების
მშვენიერ ხავსად.

ხავერდის მინდვრად
გავიდეთ რომა
მძლეთ შთავისუნთქოთ
ხალისით ზეცა,
რომ სიმღერებად
ვაქციოთ შრომა,
რამაც სიცოცხლე
გაგვიორკეცა.

იცოდეს ყველამ,
რომ ორი ძალა
ადგას ამ არეს
და ყოველს ხედავს.
ერთი მზე—ცოცხალ
სოფელს და ქალაქს,
მეორე—მკვდარი
წარსულის ცხედარს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

შენ აღარ ხარ. შეიქმენი
იმნაირად უბედური,
რომ ქვეყანას მწარე შენი
არ ასვენებს საყვედური.

შენი ლანდი მეწამული,
თვალთა შენთა ბოროტება,
შენი ასე მოწამლული
სიყმაწვილე მეცოდება.

თორემ ბევრს რა? როცა ჰყრია,
გზად ცხედრები სისხლიანი —
მათთვის მხოლოდ სეირია —
და სიცილი გესლიანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემონსტრაცია ომის წინაალმდეგ

ხმაურობს ქუჩა
    გრიალებს ქუჩა,
ხმაურობს როგორც
    თვითონ ჟორესი
მზემ დაანათა,
    დასწვა, დარუჯა
უახლოესი
    და უშორესი.

ავტომობილის,
    ეტლის, ტრამვაის
აქ სვლა აღარ ცვლის
    ერთი-მეორეს.
მშვენიერ—მაისს,
    მომავალ მაისს
აწოდებს ხალხში
    მიმავალ ჟორესს.

ახალ სასახლის
ალმავალ ხე-ტყეს,
ზეცის დაჰხარის
ლურჯი კამარა,
ვინემ თოთხმეტში
უფრო ძლიერ, დღეს
რომ გაისმოდეს
თამამი „არა“!

ხმაურობს ქუჩა,
გრიალებს ქუჩა
და მიდის, როგორც
თვითონ ჟორესი.
ყვავილებს ისვრის
გზა მუჭა-მუჭა,
დღეს ულრუბლოა,
ცა უშორესი.

*
* *

უცხოეთის გზიდან-გზამდე
მიმავალო შარავ,
მგზავრმა იცის, გულში რამდენ
საიდუმლოს ფარავ!

შენს ფენილზე მიდი-მოდის
ათასგვარი მგზავრი...
მიაქვს, უცხო აქამომდის
ოცნება, ან ჯავრი.

ყოველნაირს იტანს ტეხილს
შენი გული ლოდის;
ზოგი ეტლით, ზოგი ფეხით,
ფოსტაც მიდი-მოდის.

მიაქვს, მოაქვს ბარათები
შენს სივრცეებს შარადს,
მხოლოდ ერთს რა ემართება,
ვერ ეღირსა ბარათს.

ელის, როგორც ამოხეთქვას
ელის, როგორც მადანს,
მაგრამ მცირე რამე ფეთქვა
იმამდე ვერ ატანს.

შენ აშორებ საყვარელ გულს
და მის გულსაც გზარავ —
უცხოეთის გზიდან გზამდე
მიმავალო შარავ!

1935 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვითმფრინავით

სულ შვიდი კაცი ვყოფილართ თვითმფრინავს,
მას გამოცდილი მართავს პილოტი,
ზევიდან ზეცის წიაღი გრგვინავს,
ქვეშ ევროპაა ნისლის ტილოთი.

კუპრით მოსილი არის მზე იგი,
წვიმაც სცრის თითქოს შეჰკრეს პირობა;
რომ ამ ქაოსში შექმნა წესრიგი,
აი რა არის მართლა გმირობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძირს მუქთახორა

ძირს მუქთახორა, სასახლეში
რომ დაბინავდა.
ჩვენი სიმღერა ამბოხების
მუდამ ფრინავდა—
სად ქედს არ იხრის მეომარი
მშრომელი ხალხი,
ჩვენ ვუპასუხებთ ინტერვენტებს:
ძირს მუქთახორა.

ვინ მიაფინა დახვრეტილი
გმირების გორა?
ძირს სისხლის მსმელი, ძირს იუდა,
ძირს მუქთახორა!

ძმური სალამი ხალხისათვის
მეომარ რაზმებს,
რომლებიც არა ეკლესიებს
და აიაზმებს,—

გადამტეხ დროში უუმძაფრესს
ნიჭსა და უნარს,
ახმარს მომავალს ნათელ დროშით
წმინდა კომუნას!

ძმები ერთმანეთს ვინ მოსწყვიტა
ვინ დააშორა?
ძირს სისხლისმსმელი, ძირს იუდა,
ძირს მუქთახორა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აშკარა მხეცი

არც სილაჟვირდე
    გამოჩნდა ზეცის,
არც პირინეის
    ქარის მოდება,
კაცი ყოფილა
    აშკარა მხეცი,
მხეცი, რომელიც
    არ გეცოდება!

ალარც ცრემლია,
    რომ გული დალბეს,
გზად გამოშუქდეს
    ნათელი სვეტი.
ვერ გადალეკავს
    ამდენ სიყალბეს,
ვერარა ძალა
    სიკვდილის მეტი.

დაეშვი, ფარდავ!
        დაჟარე ველი
თუ არ იბრალებს
        არვინ არავის,
ბარემ-ღა აქტი
        უკანასკნელი
დასრულდეს დრამის
        გულშემზარავის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის უფერული დღე

დღე ეუბნება ფერადი გემის
სილუეტს ზღვაზე:
განა მე მსურდა ცხოვრების ჩემის
მოწყობა ასე?

ოკეანეთა ხარ მძლავრი გემი,
ხარ ბედნიერი,
მძაფრი ქარიშხლის ტალღების ცემით,
ხარ შენ ძლიერი.

თუ უნდობლობამ გაბზარა კაჟი,
შენი დიდება —
არა ჭაობში, არამედ ზღვაში
ჩაეკიდება.

მოწმე მრავალი ხრწნისა და ლპობის,
მაცდური ფიცის —
მე უფერული დღე ვარ ევროპის,
შენ კი... ვინ იცის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქიმერა

ყომრალ ღრუბლებში,
ორიოდე წამით
მიმსგავსებული
ცისჯერ ფაიფურს.

სილრმით სინათლე
მოიჭრა ღამით,
რომ ისევ ყომრალ
ფრთით დაიბუროს.

ასეთი იყო
შუქი ნოტრ-დამის,
სად ყრუ ქიმერა
ჰგავდა კენგურუს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბრუნებისას

თოვლ-მოუწმენდი
ლექსებს ვუსმენდი —
სად მონუმენტი
სდგას დიდზე დიდი.
მიმყავდა გემი
და ნუგეშ-მცემი,
ოცნება ჩემი
ეფემერიდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მახსოვს მისი სახე

მე მახსოვს მისი სახე
ლამაზი, მიმზიდველი,
მრავალ გაჭირვებისა
და ნაღველის მტვირთველი.
შუბლი ვრცელ-განიერი
და გონიერი თავი,
მხრებს რომ უხვად დაჰყროდა
წაბლისფერი ნაწნავი.
და ცისფერი თვალები
ჰქონდა ისე წარმტაცი —
მშვიდად ვერ შეხედავდა
ვერც ერთი გულქვა კაცი.
მათში გაურკვეველი
თრთოდა ზეცის ნათელი
სულიერი სიწმინდის
უცხოდ გამომხატველი.
თითქო გარინდებულმა
სისწრაფით მოჰკრა თვალი,
თუ როგორ ირხეოდა
ალვის დიდი მწვერვალი,

დილის მზისა სხივებით,
ოქროსფერად მორთული
და მწვანე ბზის რტოებით
ლურჯად გარს შემორტყმული.
იქვე ახლო, სულ ახლო,
უცხო, გასაკვირველი
განთიადს უმღეროდა
გაზაფხულის ფრინველი.
თავისუფალს, ბედნიერს
ახარებდა მზის წვიმა,
და ქალმა, ის-ის იყო
იმედით გაიღიმა,
რომ უეცრად საბრალოს
განწირულს მოაგონდა,
წამი სასიხარულო
ბედკრულს რომ აღარ ჰქონდა,
რომ მისი გადარჩენა
ქვეყნად არავის უნდა,
და ოცნებიდან ისევ
თავის ბედს დაუბრუნდა,
ასეთი მახსოვს მისი
მე მიმზიდველი ხედვა,
ეს უცხოეთში იყო,
ეხლა სად არის, ნეტავ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესპანეთის გმირებს

აი ნამდვილი გმირთა-გმირობა
და თავდადება,
ნაყოფით მისით ქვეყანა მალე
ათავთავდება.

დრო მოვა, ძმებო, და ჩვენ მოვნახავთ
ხიდეს გადებულს.
მივესალმებით კიდევ ერს მებრძოლს,
და თავდადებულს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

აყვავილდა ყაყაჩო,
ვარდი და აკაცია,
ელისეის მინდვრებზე
მშვენიერი დარია.
ჰყვავის პარმის იები,
ჰყვავის ჩაის ვარდები,
მხოლოდ მრავალთა გულში
ისევ იანვარია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით ხეს ფოთლები

ვით ხეს ფოთლები
დაცვივდენ წლები;
შენ ამბობ: არც გზა,
არც მოგონება...

მაინც იმ გზებით
არ დაბრუნდები.
მშვიდობით, ვარდთა
ნაზო კონებო!

შენთვის ერთია—
ფოთლები, წლები,
დღეთა სიყალბე
უშთაგონებო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ბალთან ძეგლია,
ცათამდე ადის
ხელში უჭირავს
რა თავის ქალა,
განთიადიდან
განთიადამდის
სდგას. გარინდება
მან დაივალა.

მას გაზაფხული
ვარდის ღილებით
რთავს. მოწიწება
არ აქვს მონური;
მისთვის ერთია:
ეს ყვავილები
ნამდვილი არის
თუ ხელოვნური?

ის ლაპარაკობს
    დროთ საზღვარს იქით
დემონიური,--
    სასტიკი, ხმელი.
და სივრცეებში
    თანაბრად, იგი
შეშლილია და
    წინასწარმთქმელი.

მაგრამ როს ნისლი
    დაიფანტება
და ჟამი მოვა
    ალთა დანთების,
მის წინ ქუჩაზე
    გაილანდება
მთელი მდინარე
    დემონსტრანტების.

მათში მიმავალს
    ის ხელებს უწვდის.
იგი აქ არის,
    ამ გამთენიას;
ის ეხლავ ხედავს
    და აღარ უცდის
თავისუფლების
    მებრძოლ გენიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

რა მშვენიერი და კარგი ღღეა
იგი სრულია.
ჩვენი იდეა, დიდი იდეა
ხორცშესხმულია.

წითელ ვარდებით ერთვება კორძი,
მზიურ ვარდისხეს...
მისწრაფებებმა არა თუ ხორცი—
ფრთებიც შეისხეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი მილიარდი

შენ კი, ორი მილიარდი
კაცით სავსე მიწავ —
ზოგან გავსებს ია-ვარდი,
ზოგან ჭინჭარს იცავ.

ბორგავს შენი მძლავრი ზვავი
ეს სივრცე და განი —
მოყვითალო, თეთრი, შავი
და წითელი კანი.

მოიშორო, დროა, დარდი
ათას მზეს ნუ ფიცავ.
აღზდეგ, ორი მილიარდი
კაცით სავსე მიწავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

რა წარმტაცია
    მიდამო — ნიცცა
იგი ხომ გვახსოვს
    შენცა და მეცა.

ზეცა ვით ზეცა,
    და არა მიწა.
მიწა — ვით მიწა,
    და არა ზეცა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

დუმილი ფარავს
ტყეს და მდელოებს!
მდუმარებაში
შთანთქმულა არე.

ვუახლოვდებით
გზასა და შარას
სადაც იწყება
სამშობლო მხარე.

სადაც მიმზადებს
წინადი გრძნობა
ახლა ვარდებით
შემოსილ შარას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ლანკაშირში ეხლაც დგას
ერთი იმ ცაცხვთაგანი,
სად მუშების გაისმოდა
ხმადაბალი ყაყანი.

იგი ბოლმას იკავებდა,
როგორც ცრემლებს ემბაზი,
როცა მუშებს ისეც მცირე
აკლდებოდა ხელფასი.

იგი ცაცხვი ეხლაცა დგას
საშიშარი, ნაძრახი,
სად უჭერდა საზიზღარი
მოძალადის მათრახი.

სადაც ხშირად გაისმოდა
ქადაგება უვრცესი,
რომ აქ ქრისტეს მოადგილე
არის მხოლოდ ხუცესი.

საით გასწევს? მუშას სად აქვს
სათიბი, ან საყანე...
ხმამაღალ ზღვად გადაიქცა
ხმადაბალი ყაყანი.

და პოეტმა, დიდმა შელლიმ
სწრაფად იგრძნო ეგ გზები —
იგრძნეს ლანკაშირელებმაც
მშვენიერი ლექსები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

მე მახსოვს მუშა,
ის ატარებდა
გულმტკიცე კაცის
სახელწოდებას;
იმისი გულის
სხვა გამწარება
უძლებდა დროთა
გაბოროტებას.

მასში არ ჰქონდა
თუნდაც სულ მცირე
ადგილი ოხვრას
და შეცოდებას.

რაც სევდა მწველი
გულს არ სწვევია,
ცრემლები მაინც
თვალს არ სჩვევია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ერთხელ ისიც
ატირდა მწარედ
ადამიანურ
ცრემლების დენით,
ეს უეცარი
იყო იმგვარად,
რომ მეგობრები
გაშეშდენ წყენით.

მოულოდნელი
ცრემლები ღვარად
რაოდენობით
სდის ესოდენით.
ცრემლი საქმეა
ლამაზ ღვთაებად:
მეგობრებს წამსვე
ენა დაებათ.

და კანკალებდენ
მხრები იმისი
უფრო და უფრო,
ქვითინით მეტით,
რალაც სასტიკი
და უმძიმესი
არაჩვეულრ
სასოწარკვეთით.

გული, დაბმული
მაგარ სიმებით,
მგზნებარე ერთი
ნათელი სვეტით

როდიდან გახდა
ასეთი ჩვილი?
ეს ისტერია
იყო ნამდვილი.

გული თითქო მთლად,
მთლად დაიხურა.
ხელი ჰხევს გაზეთს —
წყეულ სატანას.
„წყალი“ და ქალი
გამოეშურა
ქარხნიდან წყალის
ამოსატანად.

ცხელ შუბლს რა ცივი
წვეთი ესხურა —
მოსულიერდა
და დაატანა
ჩუმი ქვითინით —
რა სიკვდილია,
იქ... წიწამურში,
მოჰკლეს ილია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ურიებს, გრდემლებს
აქვთ დაგა-დუგი
და ალთა მერნებს
იჭერს ალვირი,
რომ შეაკავოს —
გაისმის ბუკი,
ლიტავრის ცეცხლში
ყვირის საყვირი.

ბლოკის ჭრიალი
ჭიანურს უტევს,
ხმა არის მკვეთრი,
ფერი — ვით ზანგი
ყოველ მხრივ ისმის
რკინის ძგრიალი
და ჰქშინავს როგორც
ცეცხლების ჩანგი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა ორკესტრია.
რა სიმფონია,
რა შთაგონება,
რა აღმაფრენა!
გადავარდნილხარ,
ასე გგონია,
და არსად არის
ეს გაგონება!

აქ თვითეული
მღერის ხელსაწყო,
ერთის გუგუნთან
სცემს ბარაბანი
და ღელავს კვამლის
ამონაღერის
ნაპერწკლიანი
ცხელი საბანი.

არ დაჩუმდება
გრძელი ფაგოტი,
არის ქუხილი,
ჭექა, გრიგალი
შორეული ზღვის
მოისმის შფოთი,
ტყდება მინები,
კლდე და ფიქალი;

ვერცხლის თითებად
ხმოვანებს ღვედი.
მუშათ მკერდები
დგანან მთაგორად:

მძიმე გრიგალში
ავსწიოთ ბედი —
ხმა ისმის: დავძრათ,
გადავაგოროთ!

როგორ ხმოვანებს
ტალღათა სვეტი
ხან ბედნიერი,
ხან გულსაკოდი,
ომობს გობოი,
რეკავს კლარნეტი,
ოხრავს ფლეიტა,
გრგვინავს ფაგოტი.

ეს ხმაურია
დროს შესაფერი
მსოფლიო ენა
აქ იბადება:
აქ ყოველივე
და ყველაფერი
ახალი დღისთვის
არის მზადება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი ბუნება

აუწერელი გარყვნილება
და ფუფუნება —
აი რა არის, კაპიტალო,
შენი ბუნება.

აუწერელი, ბუნებიდან
გადანაშალი,
აუწერელი ცოდვები და
დანაშაული.

ასე ჩაფლული, გამოსავალს
დაეძებს ტომი
გამოსავალი შენ იპოვე
კიდეც: ჰკა! ომი!

საკუთარ მოძღვარს ეთხოვება
განა შენდობა?
ვერც საკუთარ ჯარს შენი გული
ვერ მიენდობა!

მაინც საზარი ომი კართან
არის მოსული —
ომი სასტიკი, უბადლო და
ბარბაროსული.

მის საშუალებით გზა კარგად გაქვს
გამოსახული,
განადგურება საოცარი,
ჯერ არნახული.

ურაგანულ ცეცხლს მიეცემა
გალერეები,
წიგნთსაცავებზე ავარდება
ალთა ტყეები.

მუზეუმები უმდიდრესი
და ყველაფერი,
რაც გონების და ნიჭის მიერ
არის ნაფერი.

რითაც ამაყობს კულტურული
და მტკიცე რიგი,
წინააღმდეგი არის ომის,
არ უნდა იგი!

უკეთესს პოეტს ევროპისას
სალამი ამ დროს.
მის მგზნებარე ჩანგს გაუმარჯოს,
მის ნათელ დროშას!

არა მათ, რომელთ მოქმედება
ნაქები დიდად,
ძველმა ევროპამ შეითვისა
და შეისყიდა!

რომ ექო მისი განცხრომის გზა
და ფუფუნება—
შენი სიცოცხლე, კაპიტალო,
შენი ბუნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიზისისაგან თავის დაღწევა

ის კრიზისისგან
თავის დაღწევას
იმპერიალისტურ
ომებით ფიქრობს,

თვალს არ აშორებს
საშინელ მიკრობს,
მითი მსოფლიოს
ფიქრობს წაქცევას.

დრომ დაჰკრა და გული
ამოწვა,
რას დაეუფლები?
მრისხანე ღრუბლები
ჩამოწვა,
მრისხანე ღრუბლები!

ყოველი ჩარჩის და
არამზადის.

სახსარია თუ
შესაძლებლობა
უნდება მხოლოდ ომის
სამზადისს
და მძვინვარების
ლაფში ეფლობა.

გაისმის ზარის ხმა
და ლოცვა.
შეკრულან შუბლები.
მრისხანე ღრუბლები
ჩამოწვა,
მრისხანე ღრუბლები.

მაგრამ მძლე ომის
საშიშროების
გაზრდასთან ერთად
ილვიძებს კლასი,
მუშათა რაზმი
ათას-ათასი
მტერი ომისთვის
ქმნილ მყუდროების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

იქ, კუთხეში კი
აგდია ბურთი,
უფაფარო და
უკუდო ცხენი.

დედას სურს ხელის
შეხება ქურდი:
ო, ბავშვის შუბლი
ცხელია, ცხელი!

შიმშილიც მწარე,
დაღლილი კუნთი,
და მწუხარება
განუსაზღვრელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეტი, ვინაც წრფელია გულით

პოეტი ვინაც
წრფელია გულით,
საკმარისია
ხმის ამოღება
რომ მას თან მოჰყვეს
სრული გუგუნით
აღფრთოვანება,
ან ამბოხება.

გზით გაკვალულით
მის მიერ, მიდის
ხანა, მავალი
დიდის დიდებით,
იზრდება ღელვა
კიდითი კიდის
სასწაულების
მაგალითებით.

უფრო ძლიერად
გაივლის ზოლად
და მიეცემა
ძალა სიმღერებს,
როდესაც ლექსი
დაუნდობლად სცემს
ჩარჩ-გამყიდველებს
და გაიძვერებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქრო

რაც კი ამ დიდებულ სასახლეებს
ჰფენია ოქრო,
ნუ გეგონება ის უმანკო
და უჯადოქრო.

იყო დროება, მყუდროება
და მოგროვება,
ყველა საგანის ამნაირად
მოოქროვება.

მშვენიერ ეტლთა, ქანდაკებათ
შადრევნად თოვა
დრომ შეაყენა, დაიტოვა,
მოაოქროვა.

ძვირფასი თასი, აზარფეშა
ჩქარა მოიტა!
ო, ყველაფერო, ავსებულო
ამ ოქროითა.

მოგროვდით ძველო ტილოებო,
ჰეი მოგროვდით.
კვლავ გამოცოცხლდით ჩარჩოებში,
კვლავ მოოქროვდით.

იყო დრო, ძველო ფეოდალო,
როცა მოჰქროდი
ამ გარეგნული ელვარებით,
ვერცხლით, ოქროთი.

და შემოიჭრა უეცარი
ვაჭარი, პროზა
და სხვანაირი შეფასება
მისცა ოქროსაც.

ის იყო ტლანქი, იყო სწრაფი
და მისებური—
მას ოქრო სურდა, არა რამე
ოქროსებური.

ამ სასახლეში ერთხელ მძაფრად
მოიჭრა შრომა,
რევოლიუცია სისასტიკით
იგრძნო ოქრომა.

მეფე ბრწყინვალე ქვეშ მოექცა
ტალღას ბობოქარს,
ოდეს პარიზი მიაგავდა
ცეცხლოვან ოქროს.

არა საწმისი ოქროისა
მედეას მიწის.
არც ლეგენდარულ მაძიებლის
ოქროს საწმისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არის ახალი კლონდაიკი
ოქრო ბადახში,
ოქრო მიწაში, ოქრო წყალში
ოქრო ტალახში.

ჩამავალი მზის ნაზი ქარი
ვერ დაათავებს
ჩვენი მინდვრების ალერსიან
ოქროს თავთავებს.

თანამედროვე სხვა ოქროის
შეჰქმნას კედელი—
არ დაიღლება ქალაქების
ოქრომჭედელი.

მშვენიერ ბალებს ამ ფიქრების
გაეკრა ფონი
როს ვინახულე მე ვერსალი
და ტრიანონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის დიპლომატი

რა მშვენიერი
ძაფებით ქარგავს!
ჩქეფს. მიდი-მოდის.
ხავსს არ იკიდებს.
ლამით საბანში
ეშმაკ თავს ჩარგავს
და ჩუმად, ჩუმად,
ჩუმად ხითხითებს:
ხა, ხა, ხა! წრფელი
ვგონივარ ყველას.
არ მეცინება
და ვიცინი კი
გამოცდილს, ბებერს
ვერ მგრძნობენ მელას,
არ იციან რომ
მე ვარ ცინიკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღრუბელი ამაოების

შენ ისვენებდი, მრავალის
მომსწრე, სასახლევ, დროების;
ჩემი თვალი კი იმ ღამეს
ნარნარ ტბას გადაეყურა.

უდაბურ ზეცას ეხურა
ღრუბელი ამაოების,
ამაოების ღრუბელი
უდაბურ ზეცას ეხურა.

რამდენი, მითხარ, სასახლევ
თავგანწირულად, მეხურად
დაგრიალებდა ეტლები
ხალხის გრძნობითა მგუბველი?

ამაოების ღრუბელი
უდაბურ ზეცას ეხურა,
უდაბურ ზეცას ეხურა
ამაოების ღრუბელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

პარიზი. ეს ხმა
მოისმის ისე
როგორც ხანგრძლივი
ხმა გზრიალასი.

ქერა ტიკინას
სძინავს ბალიშზე,
ბუხარში ოქრო
ელავს ხალასი.

ფრანკის დაცემის,
საუბრობს შიშზე,
უცხოელებით
სავსე პალასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ო, მაინც რომ ვერ...

მონმარტრში, შენი თვალები
ღრმა, უბოლოო, უსახო.
შენ კვნესი, შენ იმალები
არც ვინ გყავს, რომ დაუძახო.

უდაბნოდ გაჰქრა მრავალი
სიკეთე, ზნე და ზნეობა.
არავინაა მავანი
გაგიყოს მოცალეობა.

ატარებ ნილაბს და რიდეს
საოცარ გამოტარებას,
ო, სასიკვდილევ, სიმშვიდეს
ვინ მისცემს შენს მშფოთარებას?

ულევი, უანგარიშო,
შიშით და ჟრჟოლით ამტანი—
შენს არე-მარეს, პარიჟო,
აშუქებს კაფე-შანტანი.

*
* *

და მაშინ, როცა
ქანდაკებები
ხეზე შემუდრულს
გვანან ტიკინებს,
გაყაყი, მსგავსი
მქადაგებელის
ვერსალთან წყალში
ასე ყიყინებს:
ვერ მოვიმხარი
რას დაუმსგავსა
ჩემი სამშობლო,
ჩემი ჭაობი,
ერთდროს განთქმული
აბრეშუმივით
ნაზი, ყვითელი
სანახაობით.
სადაა ხავსის
სველი ხავერდი,
მასში ჩამპალი
შამბის ღეროთი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორზე წყნარად რომ
დავეყრდნობოდი
და უდარდელი
ჰანგით ვმღეროდი?
მთვარე რომ ღრუბლით
მოაშუქებდა
დაიქროლებდა
შორით ბორიო,
ჩვენი კონცერტიც
იქ იყო მაშინ
უკვდავი რამე,
საისტორიო.
და შმორი, შმორი,
შმორი ისეთი
ნაზი, მსუბუქად
დამათრობელი—
დაღლილ მიდამოს
ეფინებოდა,
როგორც თავის შვილს
მამა მშობელი.
როს კოღოები
ჩვენი ჭაობის
გაიშლებოდენ
მინდორ-ველებად,
ან მთელ პარლამენტს
მოედებოდენ
ციებ-ცხელების
საშინელებად.
თქვენ, ბაყაყებო,
ნეტა რად სდუმხართ

ხმას რად არ იღებთ
მაინც, ნეტავი?
გამოსთქვით თქვენი
გულის ნაგრძნობი
დროა! გაბედეთ
გასაბედავი,
მართებს თუ არა
აქ რომელიმეს
ურყევ ბედის წინ
თავი დახაროს.
გაშალოს თვალწინ
ახალი ფრონტი
ჩვენ აგვიკლოს და
სხვა გაახაროს?
—არას დროს!—ისმის
სხვათა პასუხი —
რისი გაშლა და
რისი თაყვანი.“
და ბაყაყების
ყოველი მხრიდან
აუტანელი
ატყდა ყაყანი.
—გასწი!—შევსძახე
მაშინვე შოფერს—
თითქო სთვლემ,
მთელი წელიწადია.
არ დაგვეწიოს
ციება, თორემ
სულს ამოგვართმევს,
ცხადზე ცხადია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

არ მინახავს შენი არე,
    გადის ბევრი წელი.
ბევრი გზები მოვიარე,
    კიდევ სხვა გზებს ველი.

მზე გავცვალო? მაგრამ ვისში?
    არა, არა, არა.
სიხარულში მარადისში
    გაწოლილა შარა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

***

შენ გამოშორდი
ავადმყოფ მხარეს,
იქ უსიცოცხლო
ფოთლების ფენას,
გაზაფხულების
დღეებს მწუხარეს,
შემოდგომების
წვიმების დენას.

იქ ხალხი მარხავს
პირველ სიყვარულს
პირველ ვარდებით,
წვიმით და მეხით...
ტყვე ციხით ცდილობს
გამოსვლას ფარულს
და საზღვარგარეულ
გაქცევას ფეხით.

შენ მოდიოდი.
        სიცოცხლე შენი
საზღვართან მხოლოდ
        ბეწვზე ეკიდა;
მაინც სიკვდილის
        და შიშის სენი
კოცონად გულს ვერ
        შემოეკიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუბარი ლირიკის შესახებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუბარი ლირიკის შესახებ

I

ვიგონებ ყრმობას;
შორს, ძლიერ შორს,
ჭალების გალმა
კავკასიონის
კლდოვანი მთის
მოჩანდა ფერდი.
საღამოობით
ვით ხომალდი
ასწიოს ნალმა—
მზით ენთებოდა
და ქრებოდა
ტიტანის მკერდი.

II

ბავშვობიდანვე
ის სიშორე
მტანჯავდა ერთი—
ლაჟვარდოვანნი
მიტაცებდნენ
ნაქერალები
და ვკითხულობდი,
ვვოცნებობდი,
ვმღერდი თუ ვსწერდი—
მდევდნენ, მეძახდნენ,
მიზიდავდნენ
ის მწვერვალები.

III

რით შეაყენა
ის ხომალდი
გრძნეულმა დალმა
შენ არ იცოდი,
ვერც გაიგე,
ისე დაბერდი.
შემოიხვია
მყუდროება
ღრუბლების ბალმა,
მოსჩანდა ხვამლი—
როგორც თრთოლა,
როგორც ხავერდი.

IV

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც უთოვლო
ყმაწვილობის
ულრუბლო ბედი,
როგორც შემდეგთა
ქარიშხალთა
ცივი ბრჭყალები,
როგორც სიცოცხლე,
როგორც კუბო,
როგორც იმედი—
მდევდნენ, მეძახდნენ,
მიზიდავდნენ
ის მწვერვალები.

V

მთლად დამიმონა
ცად ნატყორცნმა
ლურჯმა წიაღმა,
ჰაეროვნებამ,
საიდუმლომ
დაფარა ქედი.
თითქო იმ მთაზე
ისევ ისე
ვწევარ გულაღმა
და ვარსკვლავების
დიდი წიგნის
ყოველი გვერდი.

VI

არის თეთნულდი,
    არის უშბა.
        მთელი სვანეთი,
იმისი დილა
    და შუადღე,
        მზით ნაალები,
მისი საღამო
    ბინდთა ლურჯი
        ოკეანეთი...
მდევდნენ, მეძახდნენ,
    მიზიდავდნენ
        ის მწვერვალები.

VII

მოგონებანი
    იმ მთებივით
        შემოირიგა—
მწვერვალმა, რომლის
    სახელია
        ქნარი, ლირიკა.
არა ოცნებით,
    არ ზღაპარით
        მის ცისამარით—
წყარო ყრმობისა
    მარადისთა
        ნაკადთ კამარით.

VIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიედინება.
მაგრამ საით?
—სამისამხარო
ქვეყნისკენ, სადაც
პოეზიის
ბრწყინავს სამყარო,
სადაც არსებობს
პოეზიის
მარად მგზნებელი,
ლირიკის სული,
სული მისი
მაცოცხლებელი!

IX

პირველ ნაკადათ
მსურს გადაიქცეს
ჩემი მიმართვა,
მიმართ ჭარგმაგთა,
მიმართ ჭაბუკთა
სახემლიმართა.
მარად მოვითხოვ
ვით მეაბჯრეს,
როგორც მეფარეს,
მხოლოდ ცოცხალს და
მიმგებარეს,
მხოლოდ მგზნებარეს.

X

მარად დიადი
უნდა ჰქონდეს
სიტყვის მიზანი,
მარადის სიბრძნის
აშუქებდნენ
სხივნი მზისანი.
მიზანი ჩემი
აქ გამოსვლის
მხოლოდ ის არის,
რომ სიმართლისთვის
მოგრიალე
ჩანგის ფიცარის—

XI

გამოძახილი
ახალგაზრდა
გულში გაღვივდეს,
რომ პოეზია
მის სასურველ
წვერვალს აღვიდეს.
მოზარდი—იგივ
მოცარტია!
მუდამ მოსავდა
თანაბრად ზვავი
ქარიშხალთა
და მიმოზათა!

XII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ პოეზიაც
იყვეს საგნად
ახალ თაობის
აღფრთოვანების,
დაფიქრების
და მოძრაობის
რომ სვას ანკარა
პოეზიის
მზე დაწურვილი
აი მიზანი!
აი ერთად—
ერთი სურვილი!

XIII

დასაბამიდან
მოლივლივებს
ლირიკის შუქი,
იგი არ არის
უბრალო რამ,
რამე მსუბუქი.
ზენა-ნიჭს გარდა—
გემოვნება,
მისას ეწნება
თავისებური
გამოსახვა
და შემეცნება.

XIV

მისი ტექნიკა
    მრავალფერი
        ხალის მქსოვარი
მიღწეულ იქნას
    ურყეველი,
        შეუპოვარი,
გულდადებული
    მუშაობით
        შემდეგ სიტყვაზე.
ლირიკა ასე
    იქედება,
        და მხოლოდ ასე!

XV

მართალი არის,
    როს პოეტი
        ამბობს თაობის:
„გრამი შოვნისა
    ნაყოფია
        წელთ მუშაობის,
მოლებულ იქნას
    და ერთ სიტყვად
        უნდა გადადნეს
ათასეული
    ტონა მთელი
        სიტყვიერ მადნის“.

XVI

ზეშთაგონება—
აწევაა
შემომქმედ ძალის
შედეგი ხანგრძლივ
აღტყინების
შრომის სიალის.
მონგრევა გულში
ნაგუბარის,
გახსნა, კრიზისი,
დიდი ხნით გულში
შენახულის
რამე მიზეზი.

XVII

იდეები და
სახეები
თითქმის მზადქმნილი
ერთბაშად მხატვრულ
სიძლიერით
გადმოხეთქილი.
ფიქრი, ოცნება,
გრძნობა, სმენა
და გაგონება
აი ლირიკა!
აი მგოსნის
ზეშთაგონება!

XVIII

ზეშთაგონებას
მოიშველებს—
მათი სიმია—
პოეზიაა,
ისტორია,
ანუ ქიმია.
ზეშთაგონება
ასულდგმულებს
და აძლევს იმედს
თანაბრად—როგორც
რუსთაველსა
ისე არქიმედს.

XIX

მეცნიერება
როდესაც მას
თან ახლავს ვნება—
თანაბრად არის
პოეზიის
ზეშთაგონება!
სრულუნაკლობას
და სრულყოფას
მოითხოვს მგოსნის
შეგნება შრომის
უმაღლესის
და პატიოსნის.

XX

პოეტს, რომელსაც
სურს იპოვოს
გამოძახილი —
უნდა შეეძლოს
სიტყვას მისცეს
გრძნობის მახვილი.
უნდა იცოდეს
აზრისა და
ხმის შეხამება,
ერთგვარ წესრიგში
მოიყვანოს
დღე, შეღამება.

XXI

რათა სიტყვათა
მათ ცოცხალთა
თანაბგერება
თან სდევდეს და შიგ
გაისმოდეს
ის ძლიერება,
რაიც აცოცხლებს
და აღელვებს
მკითხველს და მსმენელს:
ის მიუთითებს,
მოქმედების
არეს უჩვენებს,

XXII

ის წამყვანია,
    მებრძოლია
        ან და-პირიქით
ის ანუგეშებს,
    და ამშვიდებს
        იმავ ლირიკით.
აზრთ შინაგანი
    მოძრაობა,
        ბუნება გრძნობად—
უნდა გაიხსნას
    გარეგანად
        იმ მოძრაობად,

XXIII

რასაც იძლევა
    სიტყვათ რიტმი
        და ჰარმონია;
ხელმარჯვეობა
    უმრავლესთა
        ყვავილთ მკონია.
მრავალნაირი
    მოძრაობით
        შექმნილი ძეგლი
მრავალფერობა
    ხმათა—როგორც
        ამბობს ჰეგელი,

XXIV

ისე შექსპირი
    და ვირგილი
        ისე ვოლფანგი,
და უფრო გზნებით—
    რუსთაველის
        უკვდავი ჩანგი.
მძლე ჰარმონიის
    კანონების
        დაცვის გარეშე
ჩნდეს პოეზია
    სიბნელეში
        და სიმცდარეში.

XXV

დამარცხებულა—
    ვისაც ენის
        გზა შეუცვლია!
მაგრამ გონებას
    არასოდეს
        არ შეუძლია
დაკმაყოფილდეს
    ჰარმონიის
        მხოლოდ თამაშით,—
კვლავ პოეზია
    იდგეს ბნელში,
        ცივ აკლდამაში.

XXVI

მთავარი ძარღვი
    პოეზიის
        ზომაა, რითმა.
მისით მარადის
    გაიელვოს
        შუქმა ბედითმა.
მაინც იმაზე
    უმთავრესი
        სხვა დედა-არსი
არის მშვენიერ
    პოეზიის
        იდეა, აზრი.

XXVII

მათში იხსნება
    მგოსნის ძალა
        და მოქმედება
ისეთი, ყველას
    სიხარულად
        რომ მოედება
და მოფარავს გზებს
    ვარდით, დაფნით
        და ალოეთი.
იდეა, აზრი,
    ზომა, რითმა,—
        აი პოეტი!

XXVIII

ის იდეურით
უნდა იყოს
მადლით ფენილი.
მისით სულდგმული,
შთაგონებით
ალმოჩენილი,
ტემპერამენტის
სიდიადით
არეს ავსებდეს,
ალგვამაღლებდეს,
გვიტაცებდეს,
მოგვათავსებდეს.

XXIX

სხვა გზით იქნება
ეს ისეთი
„შედევრი წმინდა“—
რომელიც პოეტს
ირონიულ
ღიმილსა ჰგვრიდა:
„ლექსებში ხშირად
ყველაფერი
თავის რიგზეა
სახე და ფორმა,
რიტმიც თითქო
საკმარისია,

XXX

მხოლოდ ერთი რამ
არის ცუდი:
ყოველი წესით
თითქო ლექსია,
მაგრამ მაინც
არ არის ლექსი“!
მრავალთან ერთად
პოეზიას
თვალი იხილავს,
როგორც ცხოვრების
სახეობას,
როგორც მის დილას,

XXXI

გამოსახებას—
ამ შეცნობის
ვრცელი გაგებით,
რაიც შეიცავს
მთელს მსოფლიოს
მასზე ნაგებით
მთელ სხეულებრივ
და ზნეობრივ
სამყარო-არეს,
მის მწვერვალისკენ
მისწრაფებას
ჩანგით მოარეს.

XXXII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და საზოგადო
ცხოვრება ქმნის
ჩანგის გარემოს,
ჩანგის ხასიათს,
საარეოს,
სამდგომარეოს.
საზოგადოთა
ფორმაციას
თვითოს თავისი
იდეოლოგის
უმძაფრესი
და უმწვავესი,

XXXIII

მიჰყვება რწმენა,
გზის ჩვენება
მსოფლმხედველობა
რევოლუციის
ფაზისები
და წინმსვლელობა,
უარმყოფელი
დრომოჭმულთა
შემეცნებათა,
ყოველნაირთა
შემეცნებათ,
რაც ძველს ებადა,

XXXIV

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცობრიობის
ანუსაზღვრელ
წინსვლის სახელით
სრულყოფილობის
მიზნისაკენ
თვალის გახელით.
სიყვარული და
კლასთა ბრძოლა
იდეა, შრომა
ურომელთოდაც
დღეს მსოფლიოს
არა აქვს ცხრომა,

XXXV

რომელთ გარეშე
არ არსებობს
კაცობრიობა
ვიდრემდის მათში
ისახება
აზრი და გრძნობა,
მეცნიერება,
უმაღლესი
ფილოსოფია —
დაძაბულობის,
გამძაფრების
წინათმგრძნობია

XXXVI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ლირიკით,
    მისი ღელვით
        და აზვირთებით
ტრიუმფალური
    და უბრალო
        ყვავილთ ტვირთებით.
ეხლა განვიცდით
    ქარიშხლიან
        შფოთიან ხანას,
მოუსვენარს და
    მოგანგაშეს
        ვხედავთ ქვეყანას,

XXXVII

კაცთა უკეთეს
    ნაწილის წინ
        სდგას ამოცანა
უუდიდესი
    ამოცანა:
        შესძრას ქვეყანა,
რევოლიუციის
    შეაერთოს
        ყველა ძალები,
წარმართოს იგი
    სასიცოცხლო
        აგრიალებით.

XXXVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რათა მან შესძლოს
კაპიტალის
დასამარება,
მისი სახელით
კაცთა სისხლის
აკამარება.
და ჩვენ, პოეტებს,
ხალხთან ერთად
ვით არ გვახსოვდეს,
რომ ჩვენს სამშობლოს
ვემსახუროთ—
ვით არასოდეს.

XXXIX

სიმებო, ჩანგებს
უკვდავების
ძალად ექნებით—
მოვალეობის,
სიყვარულის
მტკიცე შეგნებით.
მაშ ვემსახუროთ
კვლავ სამშობლოს
მის დაძახებას
მის ბორკილამყრელ
მისწრაფებას,
მხნე მისწრაფებას.

XL

პოეტის ჩანგი
არასოდეს
არ მდუმარებდა;
ადამიანურ
გაღვიძების
პირველ კარებთან,
ისევ ადრინდელ
საფეხურთან,
როდესაც ბასრი
ადამიანის
ალმოცენდა
გრძნობა და აზრი,

XLI

ალმოცენების
წამიდანვე
გაჩნდა ლირიკა,
ხალხმა ის იგრძნო,
შეიყვარა
და შეირიგა.
მას აქეთია,
რა კი გულის
კარი გაიღო
ყოველ ხანაში
და ყოველ დროს
ლირიკა იყო.

XLII

ხალხის სულიერ,
პოლიტიკურ,
შრომითი ალის,
ცხოვრების ალის
უდიდესი
სიმხნე და ძალა.
ორთეოსს ხალხი
მიაწერდა
მაგიერ ძალას,
ის სიმღერებით
სძრავდა კლდეებს,
ტყესა და ჭალას.

XLIII

აჯადოებდა
თვით უგულოთ,
ღმერთებს ძლიერებს.
ლირიკა მისი
მხეცებსაც კი
ათვინიერებს.
თვით ლირიული
პოეზიის
მამამთავარი—
იყო არხილოს,
მისი ფუძე,
მისი ჯავარი.

XLIV

მას იამბებით
ემხრობოდა
ჩანგის აწყობა,
ვერ აიტანა—
რა ლირსების
შეურაცხყოფა...
ვიგონებთ—როგორც—
გარდასული
დროით და ჟამით—
დაფარულ ძალას
ატარებდა
ლირიკის შხამი!

XLV

ლირიკის წინსვლას
სივრცეებში
რა შეანელებს.
მცირე რიცხოვანს,
უმწეობად
მყოფ სპარტანელებს
მრავალრიცხოვან
მესსინელთა
მოერტყა ალყა.
სპარტანელებმა
მაინც სძლიეს
მძვინვარე ტალღა.

XLVI

ტირტეს მგზნებარე
სიმღერების
სძლიეს წყალობით,
პოეტი ჰკრებდა
თავის ჩანგის
დაუმცხრალობით
ხალხის საომარ
ენერგიას
და ნებისყოფას,
გამამხნევებლად
უმღეროდა
მეომართ წყობას!

XLVII

მეგერიანთა—
მიერ ბრძოლის
დროს წართმეული,
არათანასწორ
ომის შემდეგ
ცეცხლში ხვეული,
ათინელებმა
დაიბრუნეს
კვლავ სალამინი,
ოდეს სოლონის
სიმღერების
გაისმა ჟინი,

XLVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისმა სამხედრო
სიმღერებმა
დაიგუგუნა
და მსწრაფლ ათინამ
სალამინი
კვლავ დაიბრუნა.
ჟამთა სიავემ
ფერფლად ქნარი
რომ ვერ აქცია
გამოსცდა წარსულს
და ჩვენემდეც
კი მოაღწია

XLIX

ელეგიებმა,
რომელშიაც
სოლონი ხვევდა
ფილოსოფიურ,
სოციალურ
შეხედვათ სევდას.
თავის კანონებს,
ძეგლისდებას
წერილს, ბრძანებას
ლექსს უკავშირებს,
პოეზიის
ახმოვანებას.

L

სამშობლოსადმი
სიყვარულსა
და მის დიდებას
მღეროდა მძაფრი
პოეზია
სიმონიდისა
და მერე როგორ!
მიუწდომლად
ნათელ—მკაფიოს
მის მიერ შექმნილს,
მრავალთ-მრავალ
ეპიტაფიას.

LI

საშვილიშვილოდ
გადასცემდნენ
გმირთ საფლავები,
თუმც სამუდამოდ
დამცხრალია
ის მხარ-მკლავები,
უკვდავმყოფელი
სჩანს წარწერა
გრძნობის თბილისა,
იმ ადგილს, სადაც
ხეობაა
თერმოპილისა:

LII

„ლაკედემონელთ
ამცნე მგზავრო,
და გადაეცით—
ყველა—ერთგულნი
სამშობლოის
ჩვენ აქ დავეცით“.
რაოდენ ბრწყინვით
მიდიოდა
ძველი ელადა
ლირიკა მისი
ეროვნული
იყო და სადა.

LIII

რა ძლიერია
უბრალობით
ქნარი იმდარი,
რა საოცარი
ხმით მღეროდა
მაშინ პინდარი.
ბრწყინვალესი და
მშვენიერის —
მქონე იერის
მღერდა ელადის
სიდიადეს
და სიძლიერეს.

LIV

მისი ოდები
      და ჰიმნები
            რა აღტაცებით
შეჯიბრებებზე
      გამარჯვებულთ
            პატივსაცემად
ოლიმპიისა
      და პითიის
            ხატავდა სახეს
იმ ხალხის რწმენას,
      იმ სიმაღლეს
            და სიამაყეს

LV

გენიის კართან,
      მოწოდების
            მგრგვინავ ზარებთან
პოეტის ჩანგი
      არასოდეს
            არ მდუმარებდა
სტროფიკა უხვი
      და სახეთა
            სიმშვენიერე
მსახველი ძალა,
      მჭერმეტყველი
            და მოსიმღერე

LVI

უპირველესი
    პირველ შორის
        არის პინდარი—
ელინურ ჩანგის
    სიმახვილე
        და საწინდარი!
თავისუფლების
    მისწრაფებას
        რომ გაჰყოლია
სახელგანთქმული
    მრავალია
        ძველი სხოლია.

LVII

ლექსი თავისი
    სიმახვილით
        ხანჯალის მსგავსი
სამშობლოსადმი
    თავდადების
        გრძნობებით სავსე.
„მინდა მახვილი
    მოვრთო ტვიით
        მათ მსგავსად, ოდეს
არისტოგიტონ
    გამბედავი
        და მხნე ჰარმოდეს—

LVIII

მიერ ტირანის
    მოკვლით ხალხის
        მონობა კვდება,
კვლავ დაუბრუნეთ
    ათინელებს
        თავისუფლება
არა, ჰარმოდი,
    შენ არა ხარ
        • არასდროს მკვდარი
იმ უნეტარეს
    კუნძულებზე
        გიპოვით ქნარი,

LIX

სად უსწრაფესი
    აქილესი
        და დიომედი
ძე ტიდეასი—
    რომ ცხოვრობენ
        გიპოვისთ ბედი.
მახვილი ჩემი
    მსურს ვატარო
        ტვიით და ხავსით
არისტოგიტენ
    და ჰარმოლის
        დღეების მსგავსად

LX

ოდეს თქვენ მიერ—
პალლადის დღეს—
მოკლული იქნა
იპარხი, მხეცი
და ტირანი
მხარე გარდიქმნა.
სახელი თქვენი
საუკუნეთ
ხსოვნისთვის ზიდონ
ძვირფასო წყვილო,
ჰარმოდი და
არისტოგიტონ!

LXI

მისთვის—ტირანის
მოკვლის შემდეგ
ათინა სდგება.
ისევ შეჰქმენით
ათინისთვის
თავისუფლება".
თავისუფლების,
ხალხისათვის
მებრძოლ კარებთან
პოეტის ჩანგი
არასოდეს
არ მდუმარებდა!

LXII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად უწოდებენ
საქართველოს
მგოსანთა მხარეს?
—მის მთებს და ჭალებს,
ულრან ტყეებს
ლამაზ ხეობებს
მის ძველ ნანგრევებს,
ციხე-კოშკებს,
შემოგარეებს,
მის ჯირითობას,
ბურთაობას,
ხალხურ დღეობებს

LXIII

უძველეს ხნიდან
პოეზია
სდევდა ზეპირი
(ადრე—სანამდის
შეუყვარდა
ხალხს პერგამენტი),
მძლავრი—ვით ქარი,
ნაზი—როგორც
მთების ზეფირი,
ომის დრო იყო,
თუ ულრუბლო
იყო ამინდი.

LXIV

უძველეს ხნიდან
    დაწყებული
        რუსთაველამდე
რუსთაველიდან
    ჩვენამდე—რეკს
        ივერთა ჩანგი.
მასთან უძლური
    იყო ცეცხლი
        ასული ცამდე,
ათასი ჩინგის,
    მაჰმადხანი
        და თემურლანგი.

LXV

ეხლა კი, ჩემთვის
    ნათელია
        თუ ივერიის
მცირეზე მცირე
    რიცხვობრივად,
        პატარა ერი,
მარად, ყოველმხრივ
    შემორტყმული
        უამრავ მტერით
მაინც გადარჩა,
    და გადარჩა
        ის, როგორც ერი.

LXVI

აქ პოეზია იყო მისი
შემჭიდროება,
ანკარა წყარო მომჩქეფარე
იმ ხალხის გულით,
მის სასიცოცხლო ძალათა-ძალა,
და საზრდოება
აი ლირიკა,
მთელი მისი დიდი წარსულით,
აი რად უყვართ საქართველო
მსოფლიო ქნარებს,
რად უწოდებენ საქართველოს
მგოსანთა მხარეს.

LXVII

სამხრეთის მზის ქვეშ,
მთის ჰაერში
ჰყვავიან ვარდნი—
ფერად-ფერადნი,
მშვენიერნი,
სურნელით წმინდა.
არ ეშინიათ
არც გრიგალის
და არც თოვლვარდნის,
მთაში ძალა და
სიხარული
მოსჭვივის მზიდან.

LXVIII

უძველეს მიწას,
    უძველეს ერს
        ლაჟვარდი ცის ქვეშ—
მძლავრი, გმირული
    პოეზია
        უნათებს თვალებს,
წარსულისადმი
    უდიდესი
        მადლობის გრძნობით
რუსთაველისას
    კვლავ ვახსენებთ
        სახელს ბრწყინვალეს.

LXIX

პოემა ვეფხის—
    პოემაა
        გრძნობის მზიურის,
სიყვარულისა,
    თავდადების
        გმირობის, სიბრძნის!
მას იმეორებს
    მკაცრი სვანი,
        გმირი ხევსური—
მთლად საქართველო,
    როდესაც ის
        შრომობს ან იბრძვის.

LXX

თუმც ბევრი სისხლი,
ჩვენო მიწავ,
მიმოიღვარა,
მაინც როგორც შენ,
ვერამცდენმა
სიმწრის ფიალის,
ამაყი ქედი
პოეზიამ
არ მოიხარა
შემოსეულთა,
და მპყრობელთა
წინაშე ძალის,

LXXI

ღრმა მწუხარება
მშობელ მხარის
და მისი შვილის
იყო გულწრფელი
მელოდია
გურამიშვილის.
ვით ახალგაზრდა
ჭავჭავაძის
რომანტიულ სულს
სამშობლო მხარის
დამპყრობელის
სივერაგე სძულს.

LXXII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ თვით ჯალათებს,
    გადაქცეულს
        სმენად და ჭვრეტად
მცოდნეთ: რა ძალა,
    რა სიმტკიცე
        ჰღვივის გზნებისთვის
შიშის ზარს სცემდა
    პოეზია
        უფრორე მეტად
ვინემ ფერმკრთალი
    შეთქმულობა
        აჯანყებისთვის.

LXXIII

როგორ მიჰქროდა
    ის მერანი
        ფაფარგაშლილი
სავსე პათოსით
    და გრძნეული
        ვით კორმორანი,
იკაწრებოდა
    ხალხის ბედით
        გარათაშვილი,
ის ხალხის, რომელს
    თვალბედითი
        სდევდა ყორანი.

LXXIV

ცხარე ბრძოლის ხმა,
ეპოქასთან
გადაზრდილია
ხმა სიყვარულის,
ხმა მონობის
წინააღმდეგი,
ცეცხლი—აკაკი,
გმირი—ვაჟა,
ბრძენი—ილია,
რამდენი გმირი
და რამდენი
კიდევ ყაზბეგი.

LXXV

მათი ხმით ზარი
გალვიძების
კვლავ დაირეკა.
ხალხის ზრახვებს და
წინათგრძნობებს
მათ მისცეს მხარი.
აი რა მიზნებს
ისახავდა
ჩვენი ლირიკა,
რად ეწოდება
საქართველოს
მგოსანთა მხარე!

LXXVI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ბრწყინავდა,
საქართველოვ,
ის შენი ლექსი.
შენი ლირიკა
უმდიდრესი
უსაყვარლესი.
მრავალ სხვადასხვა
სიმღერების
წყობად წყობილი,
კეთილშობილი,
ხალხის გულით
წარმოშობილი,

LXXVII

ისტორიული
სინამდვილის
ხმით დატვირთული,
გარემოცვათა
უმრავლესთა
განცდათ სირთულით
ლირიკა იყო
ჭეშმარიტად
ღრმა, ეროვნული;
ლირიკა იყო
ხალხის სული
და ხალხის გული.

LXXVIII

ის არ მოემწყვდა
პიროვნულ და
ინტიმურ სფეროს
ის ასახავდა
უურთულეს,
ულრმესს, საეროს.
ადამიანის
საეროსთან
დამოკიდებას
საგმირო საქმეთ,
სამშობლოის
მისის დიდებას.

LXXIX

მოუწოდებდა
ბრძოლისაკენ,
სძრავდა მშვიდობას,
ნიღაბს აცლიდა,
დასცინოდა
პიროობითობას.
ებრძოდა, სთხრიდა
კაცთა ყოფნის
დრომოჭმულ ფესვებს
უუმძაფრესი
გულის ყურით
ისმენდა ლექსებს

LXXX

ვით მოწინავე,
ისე მისი
წინაალმდეგი
ჩანგის, ჩონგურის
და კალამის
იყო დამდეგი
პრასოდიები,
ელეგია,
ოდა და ჰიმნი
იმღერებოდა,
ითქმებოდა
ღელავდენ სიმნი

LXXXI

გაღვიძებულნი
სხვა საგანთან
შეჯახების დროს.
არ მდუმარებდა
პოეტების
ჩანგი არასდროს.
იყო ხან ნაზი,
ხანაც მძაფრი
ხანაც მქუხარე,
აი რად ჰქვია
საქართველოს
მგოსანთა მხარე.

LXXXII

ლირიკა ჩვენგან
    დაშორებულ
        ივერთა დროის
ისევ გვაოცებს,
    გვათრობს, როგორც
        სუნთქვა ალოეს.
იმ ხანებიდან
    უშორეს და
        დიდი ხნის შემდეგ
რად არ დაჰკარგა
    მან თავისი
        სიახლე დღემდე?

LXXXIII

რისთვის გვაღელვებს
    მისი ძალა
        ცხოველმყოფელი,
რისთვის გვანიჭებს
    მხატვრულ შვებას
        განუქრობელი?
რისთვის, სახელდობრ,
    ჩვენს მხარეში
        აყლერდა ქნარი
მომჯადოები,
    მშვენიერი,
        დაუვიწყარი?

LXXXIV

ვისგან მიიღო
ამნაირი
ქმედითი ძალი
რომ თვით შეიქმნა
მოძრაობათ
ძლიერი ალი?
იგი ლირიკა
არის ძალა
და ვერავის უთქვამს
მარადისობით
და სიცოცხლით
რომ ის არ სუნთქავს.

LXXXV

გადაქცეული
გულის შთამტევ
მეომარ მკერდათ.
საქართველოის
ვითარებას
და სვლასთან ერთად.
ლირიკას ჩვენსას
უყვარდა და
უყვარს ბუნება
იგი ხალხის გულს
სიხარულით
ესალბუნება.

LXXXVI

ლირიკა იჭერს ქარის ქუხილს
    და მერნის ჭიხვინს
        ლირიკას ხიბლავს
სილუეტი მთაზე მდგარ ჯიხვის:
    წვიმამ გადიღო
        მთლად გაბრწყინდა ხე და ხეხილი
მუხლი მგზავრისა
    სჭრის კიბეებს მთისას, კეცებრივს.
        ტყე, ბილიკები და ლატფარის
ულელტეხილი
    მხოლოდ ხევის ხმა,
        ანუ ყეფა მწევარ-მეძებრის.

LXXXVII

უეცრად კლდეზე
    შვენებასა
        ხედავ ზეცებრივს
სდგას—როგორც ჯილა
    კავკასიის
        მთების მჭეხარის,
იგი ჯიხვია
    სიმბოლო აზრთა
        გაასკეცების.
თავისუფლებას,
    სიამაყეს
        იგი შეჰხარის.

LXXXVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვიყვარს ბუნება.
ცისარტყელა
მოსჩანს ტეხილი,
ნაზი საგანი
არე-მარეთ
თვალმიცეცების.
ჯიხვს ცისარტყელა
მწყობრ რქებზე აქვს
გადაგრეხილი
დიდი იმედი
მას შვიდფერდა
ზედ ეკეცების.

LXXXIX

ჰაეროვანი
სიდიადე
ფერად ლერწების!
სიმაღლე სალკლდის,
თმათეთრის და
ქიმნამეხარის,
თავისუფლებას,
სიამაყეს
ჯიხვი შეჰხარის.
გვიყვარს ბუნება,
მთა გუგუნებს
გულგაღეღილი,
მარადი მტერი
დაცემის და
დანამცეცების

მალალი კოშკი
      და ისევ ტყე
            გაუჩეხელი.
თავშესაფარი
      და ბუნაგი
            დაღლილ მხეცების.

XC

ჯიხვი სჯის: არა,
      ბუნებისგზა
            არ ილეწება
ვერც წარსულისთვის
      სჭრიდეს ძალა
            ვერვის, ვეღარის.
სალამოვდება,
      მთებს ირიბი
            ჩრდილი ეცემა.
თავისუფლებას,
      სიამაყეს
            ჯიხვი შეხარის.

XCI

ჩამოჰკარ ჩანგებს,
      ჭუნირისა
            ხმა უყვართ ლექსებს,
იმღერე ჯიხვზე
      სიმღერები
            გულუტეხარი,
ჯიხვი ღირსია
      დათმობის და
            მიალერსების:

თავისუფლებას,
სიამაყეს
იგი შეჰხარის!

XCII

ეხლა ეპოსი
თუ რომანი
დრამა მრავალი.
ლირიკა როგორც
ნაწილი რამ
შიგ შემავალი
თავის სიმძაფრით,
თავის ვნებით
სიტყვის ამ დარგებს
ამოუწურავ
ენერგიით
უფრო აკარგებს,

XCIII

ალრმავებს განცდებს,
აცხოველებს
გრძნობებს და მოსავს
აფრთოვანებულს,
მუდამ ასე
საჭირო პროზას.
რაც უფრო მაღლა
მიდის აზრი
ესევითარი,
ლირიკა ხდება
უფრო მძლავრი,
უფრო მდიდარი.

XCIV

ის შინაარსით
ისვეა, რაც
ფილოსოფია.
ხმათა შერჩევით
კი მუსიკის
ჰანგთან მყოფია.
როგორ სარკეობს
იმისი ხმა
და როგორ ბროლობს
ბევრი რამ გვითხრას,
შეუძლია
ფაუსტის პროლოგს:

XCV

ალტაცებული
მომღერალი
გულთ რით აჩვილებს,
მარქვით, სტიქიონთ
იმ მომღერალს
ვინ უმორჩილებს—
თუ არ აკორდი,
შემოქმედის
უმძლავრეს მწველი,
გულით ნახეთქი,
მსოფლიოის
მთელის შემცველი.

XCVI

სული პოეტის
    სარკე არის
        სივრცის, დროისა,
სული პოეტის
    არის ცენტრი
        მსოფლიოსა.
სული პოეტის
    არის მისი
        ყოფნის დღეები
არის ფოკუსი,
    ერთდებიან
        სად იდეები

XCVII

ყოფნის ერთობის
    შემცველი და
        შემთვისებელი,
რაც უფრო ღრმაა
    შემეცნება—
        წარმოდგენაში
ყოველი ერის
    ღრმად ჩანერგილ
        რამე რწმენაში
რაოდენ გრძნობით
    სამყარო წინ
        არ შეჩერდება
მხოლოდ და მხოლოდ
    ლირიკაში
        სახიერდება.

XCVIII

სული პოეტის—
ჰეგელის თქმით—
წარმოადგენდეს--
უნდა გარემოს.
იგი სული
უნდა ადგენდეს
ვნებათ, იდეათ,
შეჯახებათ
მთელ სიავკარგეს,
ყველაფერისას
ხელთ გვაძლევდეს
ერთ მთლიან სარკეს,

XCIX

რაიც კი ძალუძს
დაიტიოს
ადამიანთ გულს;
სხვანაირი გზით
პოეზიას
წინსვლა არ ძალუძს.
ხსნის რა ლირიკის
არსს, ბუნებას—
ჰეგელი ამბობს:
შთაბეჭდილებათ
და იდეათ
რომლითაც ლამობს

C

შექმნას პოეტმა,
ენდა ჰქონდეს
მას ნიშნადობა
საერთო. რათა
ჭეშმარიტი
იყოს ის გრძნობა
რომლისათვისაც
პოეზიის
ცოცხალი ქნარიც
ჰქმნის სახეობას
და აგრეთვე
ისევ ჭეშმარიტს.

CI

ასე: ლირიკა
გვევლინება
ღრმა აზროვნების
ერთ მხარედ,
რომლის მიზანია
კაცთა ხსოვნება.
ჭეშმარიტებათ
ძიება და
გამოვლინება,
გამოცხადება,
ამ ცხოვრების
მხარეს დინება.

CII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რათა მთესველი—
უდაბურსაც
ნედლით შეთესდეს—
გაუმჯობესდეს
ეს ცხოვრება,
გაუკეთესდეს!
„თუ რომ ცხოვრება
ჩამოვკვეთოთ
ვით ქანდაკება
და ცხოვრებითვე
რომ ავავსოთ
აზრი, გაგება—

CIII

ძალას, რომელსაც
ჩვენ ცხოვრება
გვაძლევს—მჭედელი
მიეცი ნება
იყოს მქნელი,
ჩამომკვეთელი.“
რაკი არსებობს
ხალხის ვნება
ყოველდღიური,
რა კი მოითხოვს—
იყოს მძლავრი,
ტიტანიური,

CIV

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისი ტრიბუნი,
მოციქული,
მისი მესია—
მოვალე არის
რომ ცხოვრება
და პოეზია
ერთმანეთისგან
არ გათიშოს
არ დააშოროს—
არამედ უფრო
განამტკიცოს
და დააშუროს.

CV

თორემ რა მიზნით,
რა იმედით
ვისთვის და რისთვის
ხმა გაისმოდა:
პოეზია—
პოეზიისთვის?
რად მდინარებდა
პოეზია
რაღაც თვითმიზნად
დაშორებულად
ხალხისაგან
უცხო გულთმისნად?

CVI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რად ესწრაფოდენ
ცხოვრებისგან
განცალკევებას,
ჩამოშორებას,
განზე დგომას
და განტევებას?
რად ივიწყებენ,
რომ პოეტი
ხალხის წინ მდეგი,
თვით პოეზიაც—
ამ ცხოვრების
არის შედეგი.

CVII

მაინც რა მიზნით,
რა იმედით
ვისთვის და რისთვის
გაიძახოდნენ:
ხელოვნება—
ხელოვნებისთვის!
რისთვის ფანტავდენ
ამ ლოზუნგით
სიტყვათ შედევრებს—
რისთვის ეძებდენ
საამისოდ
ერთგულ მიმდევრებს?

CVIII

სხვა სიამეთა
    მაძღარ წყურვილს,
        ვნებათა წყურვილს
და პოეზიას —
    საუცხოვოდ
        ჩაცმა-დახურვის
შნოიან, მორთულ
    და დახვეწილ
        განცდების მორევს
გრძნობიერებათ
    სიმახვილეს,
        ბურუსთ სიშორეს?

CIX

თორემ რა მიზნით,
    რა იმედით
        ვისთვის და რისთვის,
აქანდაკებდა
    მოყმე ვინმე
        სიტყვას-სიტყვისთვის?
განირჩეოდა
    ჩამოკვეთით
        ვით სარკე თქმულთა
ზოგიერთის ხმა
    თავის წმინდა
        შვენების კულტით.

CX

ლრმა კონცეპციით—
მხედველობის
დიდი სინათლით.
რა მოხდა შემდგომ?
ან რომელი
პარნასის მადლით
მიმართეს ეფექტს,
უცნობლობას,
უვალობის ხევს—
გრძნობიერებათ
სახეებში—
პოეზია ხვევს.

CXI

და მათში ხედავს
უმაღლესი
იდუმალების—
გამოვლინებას;
დიდი ტანჯვის,
დიდი წვალების,
მარადისობის
სიმბოლოებს,
ნიშნებს გვიანებს,
ნიშანი, რაიც
ყველა იმათ
აერთიანებს

CXII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომლის ქვეშ ყველას
ილუმალი
გზა ეგულება:
წმინდა, უმწიკვლო
ფორმისადმი
ბრმა ერთგულება!
არ შეიძლება
სილამაზე
პლასტიურ ლექსის
ვინმემ უარყოს:
სილამაზე —
თან უკეთესის

CXIII

დასდევს მშვენიერ
გარეგნობის
ნორჩი რტოები
რალაც ახალით
და ძვირფასით
მომჯადოები!
არ შეიძლება!
უარყავი
და არ იახლე
მუსიკალური
აკორდების
მძლავრი სიახლე!

CXIV

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმნაირ
ემოციით
პოეტის ქნარი,
იმ აკორდებით
შეიქმნება
ნაზი და მყარი.
არ შეიძლება
რომ უარყო:
სწორედ ამ ბგერამ
მიმომღერების,
მრისხანების,
სინაზის ჟღერამ

CXV

არც ისე დიდი
ხანი არის—
რაც ოსტატურად
მსოფლიოისა
პოეზიას
მიემსახურა
„ვეფხვის ტყაოსნის“
სტრიქონების
კარგ თარგმანებით.
რაც უნდა საქმე
არა ჰქონდეს
უცხო ზმანებით.

CXVI

სავსე ლირიკას,
    სხვა იდეურ
        უნაყოფობას—
ქსელში, რომელიც
    აქ გაუბამს
        ცბიერ ობობას,
კართან, რომელიც
    ასე გულქვად
        მათთვის ჩაჰკეტეს—
არვინ უარყოფს:
    ძლიერ ბევრი
        რამ გააკეთეს;

CXVII

მარტო პოეტურ
    ეფექტისთვის
        მსვლელი როდია
ზომიერება,
    მკაფიო ხმა
        და მელოდია.
სხვა გარემოით
    მიიმართვის
        ჩვენი მსვლელობა.
მრავალ ლოზუნგებს
    აღარა აქვთ
        ის მნიშვნელობა

CXVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას ესთეტიურ
მანიფესტთა
ითხოვდა ღალა—
არ შეიძლება
ჩვენთვის ჰქონდეს
რაიმე ძალა—
მაგრამ იშვიათ
ყურადღებით
ყოველდღეობა
ყველაფერს—რასაც
ეწოდება
მემკვიდრეობა

CXIX

თვალწინ იყენებს და
თვის მიზნებს
უქვემდებარებს,
მიზნებს მშობლიურს,
წინდახედულს,
მიზნებს მგზნებარეს.
ჩვენ გამოვშორდით
იმ ბურუსებს,
იმ თვალახვევას
და არ ვეძლევით
უსარგებლო
თავბრუდახვევას

CXX

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ეს არის:
    უსარგებლო
        როდი იქნება,
თუ პოეზიით
    განიცდება
        და შეიგნება,
თუ მიეჩვევა
    სმენა კეთილ—
        ახმოვანებას,
ამით ლექსს ვერც დრო
    დააბერებს,
        ვერც ხნოვანება.

CXXI

უნდა იშრომოს
    ახალგაზრდამ,
        უნდა ილონოს,
იმ ხმოვანების
    ძლიერება
        რომ შეიგონოს.
მაშინ გადმოშლის
    ლირიკისთვის
        რაც ეგულება,
ჩვენი ეპოქა,
    მისი დიდი
        ლირეპულება.

CXXII

ამხანაგებო!
მე ვსაუბრობ
როგორც პოეტი
აკადემიურ
აზრთა მარად
დამჭერი მხარის,
მაგრამ მე მინდა
მოგაგონოთ
ის უცხოეთი,
სადაც მოკვდავზე
იძახიან:
„უკვდავი არის“.

CXXIII

ჩვენს იქ ყოფნაში
საფრანგეთის
აკადემიას
უსრულდებოდა
ანგარიშის
წელი სამასი
და დღესასწაულს,
ფერად-ფერად
ნაკადებიანს
მოგონებათა
ედებოდა
ფერი ლამაზი.

CXXIV

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ მე ფრანგი
პოეტები
არ მეცოდება
წმინდა ფრანგული
მოწიწებით
ეძლევა ოდეს—
აკადემიის წევრს
უკვდავის
სახელწოდება,
და მომაკვდავის
უბრალოსი
ბალზაკს და დოდეს.

CXXV

არც მოპასანი,
არც ფლობერი,
არც მოლიერი
უკვდავთა შორის
არ იქნება
დაფნით მავალი,
სამაგიეროდ
იქ ჰერცოგი
შედის ძლიერი
დე-რიშელიე,
კარდინალთა
შთამომავალი.

CXXVI

ის რიგიანად
თუ ვერ დასწერს
უბრალო წერილს,
არის სამშობლო
საფრანგეთის
ძველი დიდების.
აქ ხმის მქონე სდუმს
გაოცებით,
უხმო კი მღერის,
თავდავიწყებით,
ხრინწიანად
გაბედითებით.

CXXVII

კათოლიკეებს,
ფეოდალებს,
სარდლებს, პრელატებს
იმ დარბაზებში
ვერვინ ეტყვის
„დაფნა ჩემია“
ძალმომრეობის
და დაცინვის
ფერადებს მატებს
ეხლაც, წინადაც,
ამნაირი
აკადემია.

CXXVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზაზედ მუნდირი
შემხვდა მწვანე
ქცეული ამბად
(აკადემიკოსს
ამ მუნდირში
ვინ არ ადიდებს)
მხოლოდ კონგრესზე
ვისწრაფოდი
მოვშორდი სწრაფად
აკადემიას,
ლუვრის დარბაზს
კარიატიდებს.

CXXIX

თუნდაც სხვა მხარე.
ხედავთ პოეტს
როგორ სდევნიან,
შეხედეთ მხეცი,
რამდენს აღრჩობს
აწვალებს, ბორკავს,
თუმცა ამგვარად
შებორკილი,
ხალხს ურჩევნია.
მაინც თავისი
ფრედერიკო,
გარსია ლორკა.

CXXX

ფუჭია ლრენა
მის სახელთან
ქვეყნის ბებერის,
ის მღერდა ვით გმირს,
როგორც ნამდვილ
პოეტს შეჰფერის.
მაგრამ სახელი
მისი მკვლელის
კაპიტალია.
აი პატარა,
უსულგულო,
ვიწრო გალია.

CXXXI

სადმე ევროპის
შუაგულში,
მყუდრო ბინაში,
ადამიანი
მარტო დარჩა
თავის წინაშე.
მრავალ კითხვებში
ის მარტოა,
ის პოეტია.
ის მსოფლიოში
არ იქნა და
ვერ დაეტია.

CXXXII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აქ შენს ფრთებს ქვეშ
შემუდრულა
მწარედ ნასეტყვი.
მის მარტოობას,-
კაპიტალო,
ვნახოთ რას ეტყვი.
რამენაირად
დაიმკვიდროს
სურს, თავისთავი
შენ ბურუსში ხვევ
და ხარ მისი
სულთამხუთავი.

CXXXIII

აწუხებს მწარე
ბედისწერა,
ღმერთი, ღრუბელი
არა ბუნებრივ
გადალაქული
და დამღუპველი,
ჩანგის სიმები
ჩამოქნილი
დროთ სათარეშოდ
სუნთქავს ბუტბუტებს,
და ხმაურობს
უანგარიშოდ.

CXXXIV

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მარტოობა,
    მარტოობა
        ფარავს მის სიტყვებს
მსოფლიო თითქო
    არ პასუხობს
        პირად შეკითხვებს.
მარტოობაში
    ცხოვრობს იგი
        ოქროს სიზმრებით
თავის მტანჯველი,
    საშინელი
        გამოლვიძებით.

CXXXV

მითხარით ეხლა,
    პოეტია
        კაცი ამგვარი?
არა და არა,
    ის მკვდარია
        სიცოცხლით მკვდარი.
პოეტი არის—
    ვისიც მარად
        მასას ედება
მდიდარი, რთული,
    ფრთამახვილი
        შემოქმედება.

CXXXVI

ვინც ესპანეთი
სასიცოცხლო
ვარდებით მორგა.
დიდი პოეტი:
ფრედერიკო,
გარსია ლორკა!
ვინც უანგაროდ
ხალხს შესწირა
მგზნებარე ქნარი.
ის მოჰკლეს მაგრამ
ის არასდროს
არ არის მკვდარი!

CXXXVII

მრავალი რამე
შეიძლება
ამ ქვეყნად გაჰქრეს
დრო ვერ სძლევს
მხოლოდ ამღერების
ციხე-სიმაგრეს.
იყო სვანეთში
მშვენიერი
სოფელი მხარის
სახელად ერქვა
ლალავერი.
ეხლა არ არის.

CXXXVIII

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით რომ ლილეს,
ჰანგ-ბობოქარს,
მღეროდა ჩანგი
მზის რომ ათრობდა
მოგონება
ათას-ათასი,
შორი ღრუბლების
ჩერდებოდა
ფერადი ჟანგი,
მშვენიერ ქალთა,
ხორუმელთა,
როკავდა დასი.

CXXXIX

შუქი თეთნულდის
ელვარესი,
შუქი უშბასი
რომ ეხვეოდა
ღრუბელს, როგორც
სახლს ტალავერი,
სიზმარებრ გაჰქრა
აღნაგობათ
რიგი ძვირფასი,
სიზმარებრ გაჰქრა
მშვენიერი
ის ლალავერი!

CXL

ხან სანადიროდ,
ან ნადიმად
წასული, ხან კი
მაჩუბის ჭერქვეშ
მომღერალი
ვაჟი კისკასი,
ზეცა მოთეთრო
როგორც ქულა,
ჭერი—ვით ზანგი,
მკაცრი—ვით მთები
მშობლიური,
ნაზი, ვით საზი,

CXLI

ხელში რომ ლხინის
მოელვარე
ეჭირა თასი—
უტკბესი უფრო,
ვინემ შორი
ბარის ჩხავერი,
სიზმარებრ გაჰქრა
მშვენიერი
ის ლალავერი.
მოაწყდა როსმე
უეცარი
სისხლის ღვართქაფი

CXLII

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შხამი რამე
    უნდობარის—
        გველის,—წარბასი,
იქნებ მოვარდა
    ამომწყვეტი
        სნება და მანკი,
ან ცეცხლმა შთანთქა
    ნაკრად იქცა
        —ეზო—დარბაზი,
დალეწა კოშკი
    უმაღლესი,
        ჩალეკა ვაზი,

CXLIII

დასძრა ფიქალი
    ფიქალებზე
        როგორც ყავარი,
ვინ უწყის, როგორც
    მძლავრი მუხა
        თუ უსურვაზი,
სიზმარებრ გაჰქრა
    მშვენიერი
        ის ლალავერი!
ვდგევარ და ვფიქრობ,
    თუ რა მოხდა
        რად არის ასე?

CXLIV

აქ ხომ არც ქვაა,
    არც ნაფოტი,
        არც ბალავერი.
არავინ იცის,
    თუ ვის მიერ
        როდის ან რაზედ—
სიზმარებრ გაჰქრა
    მშვენიერი
        ის ლალავერი.
მაგრამ სიმღერა
    გაიგონა
        მეორე მთამა,
როგორც შვილს ანდერძს
    დაუტოვებს
        მოხუცი მამა—

CXLV

ისე დასტოვა
    ლალავერმა
        სიმღერა ლილე.
თვით სამუდამოდ
    შეერია
        წარსულის ჩრდილებს
მრავალი რამე
    შეიძლება
        ამ ქვეყნად გაჰქრეს—
ვერვინ გააქროს
    ამღერების
        ციხე-სიმაგრეს!

CXLVI

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის ქნარის
    დუმილისთვის
        რამე მიზეზი
მხარეში, სადაც
    მშენებლობა
        გვაქვს უდიდესი.
რა დიადია,
    რა მაღალი
        ეს მშენებლობა.
რა მრავალია
    კიდევ მეტი
        შესაძლებლობა!

CXLVII

რომ აწამებდა
    მოწინავეთ
        მრავალ ხანაში
ხორციელდება
    იდეალი
        ერთ ქვეყანაში.
ჩვენ პოეტები
    საუკუნით
        ვართ მოვალენი
რომ მის ნათებას
    მოწიწებით
        მივაპყრათ თვალნი

CXLVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გზა გავუკაფოთ
    სხვებთან ერთად
        დიად იდეებს,
იმათ დროშებს და
    სიმაღლეებს,
        მათ სიდიდეებს.
ვიპოვოთ წყარო,
    უწმინდესის
        მისის სათავით,
უბრალოებით,
    მარტივობით
        და სისადავით!

CXLIX

ლირიკა თრთოდა,
    მძლავრდებოდა,
        რეკდა საერთოდ
კაცობრიობის
    სვლასთან ერთად,
        მასასთან ერთად!
რევოლიუციით
    ვიდოდა წინ—
        როს უახლესი
კაცთა ცხოვრების
    იდეალი
        ჩნდა უმაღლესი.

CL

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდატეხები
    მსახურებდნენ
        რა ნიადაგად
ძვრები წინ სწევდნენ
    პოეზიის
        ცეცხლოვან ნაკადს—
ჯერეთ მდინარედ,
    მერე ზღვებად
        რომ გასწვდენია
იბადებოდა
    ბუმბერაზი
        მაშინ გენია

CLI

და მომავალი
    თაობისთვის
        სწყვეტავდა ძლიერ
დიდ ამოცანებს,
    დასმულთ წინა
        თაობის მიერ.
მისწრაფებანი,
    ქმნილნი რყევად
        და ამბოხადა,
თუ არ შექსპირმა,
    თავის დროის,
        ვინ გამოხატა?

CLII

ჰამლეტის ეჭვში
უმრავლესი
წინასწარ სჭვივის—
ფილოსოფიის
მონათებათ
შემდგომი სხივი.
აგრეთვე წიგნი
და ეპოქა
ალიგიერის
ანარეკლია
შეჯახების
ძლიერ-ძლიერის.

CLIII

რუსოს გენიას
ქარიშხლიანს
შეეძლო რისთვის
შეეწყო ხელი
ახალგაზრდა
გიოტეს ხმისთვის
თანაბრად ხმისთვის,
რომელმაც ვით
ცეცხლის გზრიალა
მარსელიეზად
საფრანგეთზე
გადიგრიალა.

CLIV

ლირიკად ყველა,
უმთავრესი
რაც სიმაგრეა,
რევოლიუციის
ქარიშხალში
წინარ დაჰქრიან.
რამდენი ერთი
როგორნაირს
მისდევდა ვნებას
მკაცრ ეპოქაში
რომ აქებდა
თავისუფლებას!

CLV

ლექსი ცოცხალი
მოწამეა
როგორც დღე-ღამე,
საბედისწერო
ქარიშხალთა
დიდი მოწამე!
ოდეს მომწიფდა
აღელვებულ
ხალხში ნათესი
აზრით და საქმით
ოქტომბერი
უდიადესი,

CLVI

კაცობრიობის
ჯერარნახულ
მზის ამონთებით—
თვალუწვდენელი
გაიშალა
ჰორიზონტები
უკეთესთ შორის
უკეთესი
ამ ხნით იქმნება
ლირიკის სული,
მისი ხალხთან
გადაწიგნება.

CLVII

შემარყეველი
ნებისყოფა
და მრისხანება,
ძლევის პათოსით,
სიყვარულით
მიექანება
ლექსით, რომელსაც
ჰქვია ინტერ-
ნაციონალი
ერთაშორისად
მოკვეთილი
და ეროვნული.

CLVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მილიონების
მისწრაფების
თანაზიარად
იგი გენიის
უმძაფრესად
გადიქცა ქნარად.
ერმა თავისი
უშიშარი
მონახა ბინა:
ბელორუსია,
საქართველო
თუ უკრაინა,

CLIX

ერთმანეთს შეხვდა
პოეზიით
მოგიზგიზეთი
ადერბაიჯანი,
ტაჯიკეთი
და ყირგიზეთი
სიმღერით მოდის.
ის სომხეთი
იგი რუსეთი
არ არის ძველი
ჯოჯოხეთი
და ბურუსეთი—

CLX

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არამედ, ვრცელი,
    მშვენიერი
        გადასახედი.
თურქმენეთია,
    უზბეკეთი
        თუ ყაზახეთი
მომლერალია
    უძლეველი
        თორმეტი დროშის,
ყველა თავის ხმით,
    ისე როგორც
        საქართველოში.

CLXI

ამ მეგობრობას
    სამუდამოდ
        გამქრალ ღრუბელით
ახალ ქალაქით,
    ახალ სოფლით
        ახალ ყანებით
ვგრძნობდი და ვიგრძნობ
    ჩემის ჩანგის
        თავისუფალის
თავისუფალზე
    თავისუფალ
        აღფრთოვანებით.

CLXII

ყოფნა კავშირში,
ყოფნა ძმობა—
მეგობრობაში,
ურყეველ გრძნობად
ყველას გულში
გვქონდეს წრთობილი
და საბოლოოდ
მიღწეული
იქნება მაშინ
მიზანი ლექსის,
გულწრფელი და
კეთილშობილი.

CLXIII

თუ საზღვარს იქით
ბოროტებამ
გაამნათობა
და დაათოვა
არე-მარეს
ბრმა ძლიერება
თუ უმართლობა,
სიბეჩავე
და ძალადობა
გაუტანლობა,
სიხარბე და
ბიწიერება.

CLXIV

ანებივრებს და
ამოძრავებს
დიდ ფუფუნებით,
ოქროთი მოსილ
უსირცხვილო
დარბაზთ ზნეობას,
თუ ეკლესია
კვლავ აგუგუნებს
ვით გუგუნებდა
კაპიტალს, მდიდართ
მორჩილებას,
პირმოთნეობას.

CLXV

თუ მონას, ვისაც
ჯოჯოხეთით
ამწუხარებდა
ჩაგრულ მხარეთა
მძიმე შრომის
და მონობის გზა,
არ ახარებს კვლავ,
ვით არასდროს
არ ახარებდა
არც გაზაფხულის,
არც ზაფხულის
მშვენიერი ცა.

CLXVI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ხეთ სიგრილეს
    სიყრმიდანვე
        გადაჩვეული,
შემოხვეული
    ქართა ქროლვით,
        ნისლთა ობობით,
ხალხი სნეული,
    უსახლკარო
        და დამშეული
ხელ დაცარული,
    მოკლული დგას
        შემოდგომობით.

CLXVII

თუ ვერ გრძნობს ისე,
    ვით ვერ გრძნობდა
        სითბო—სიმშვიდეს
როცა ზამთარის
    დაიქროლებს
        სიცივე ავი
თუ ცით დასცქერის,
    ვით დასცქერდა
        კიდითი—კიდეს
საბედისწერო,
    ულმობელი
        შავი ვარსკვლავი—

CLXVIII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი ხანია
    რაც ვარსკვლავი
        ჩვენში გაბრწყინდა,
დიდი ვარსკვლავი
    მეგობრობის,
        ძმურ სიყვარულის.
ფრიალებს დროშა
    ქვეყნის მხსნელი,
        გრძნობათა წმინდა
ზვავით აზვინდა
    პოეზიის
        ცეცხლის ფარულის.

CLXIX

დროა, სიმღერით
    რომ მოსავლის
        ზღვა მოაქუჩო,
დროა სიმღერით
    რომ დაზგები
        ააკანკალო,
გულმხიარულად
    და სიმღერით
        დაჰკარ ჩაქუჩო,
გულმხიარულად
    და სიმღერით
        მიდი ნამგალო.

CLXX

ოქროს თავთავი,
მეგობრებო,
ავართვათ სამკალს
და სამკაულად
ეპოქისთვის
დავწნათ გვირგვინი.
გვირგვინი იგი
გარს მოვავლოთ
ჩაქუჩს და ნამგალს,
რომ გზა შეამკოს
პოეზიის
ნათელი ბრწყინვით.

CLXXI

გზებით, გაშლილით
მომავლისთვის
მეომარ ლექსით
აქეთ, ადიდეთ
ჰუმანიზმით
გატანა კვალის
გზებით—წარსულში
ანთებულით
მარქსით, ენგელსით,
მომავლისაკენ
მივყევართ ჩვენ
ლენინს და სტალინს.

CLXXII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქეთ, ადიდეთ
    სამშობლოის
        ბედნიერების
მეცნიერებათ
    სასწაულნი,
        მზე და კანდელი.
გმირთ სიმამაცეთ
    მარადისი
        ჩანგი იქნერებს
რომ სძლიეს ყინულთ
    და ღრუბელთა
        კორიანტელი.

CLXXIII

ახალი ერა,
    მისი ახლად
        ამეტყველება
თან გდევდეს ოდეს
    სამოძრაოდ
        ცად შევარდები;
იყვნენ დღეგრძელნი,
    ჰე მამულო,
        შენი მცველები
მგოსნებთან ერთად,
    დევგმირები
        და შევარდნები,

CLXXIV

ახალგაზრდობა,
ყვავილები,
და მწვერვალები,
შენი ქალები,
მშვენიერი
შენი ქალები.
ჯარი დუშმანით
არასოდეს
არ კმაყოფილი,
მტრის უნდობელი,
მტერთან მტერი,
ძმასთან კეთილი,
რევოლიუციის
მოგუგუნე
ცეცხლში შობილი,

CLXXV

ცხარე ომების
ქარიშხალში
გამობრძმედილი,
სასო, იმედი
მსოფლიოის
ყოველი ერის,
ყოველი ერის
მოერთგულე
ფარ-მუზარადი,

შემსრულებელი
    გარდუვალი
        და საღვთო ვალის,
თავისუფლების
    დიდებულის—
        მცველი მარადი—

CLXXVI

სიმღერით მოდის.
    არ გადუხვევს
        რჩეულ გზისაგან,
სხვა გზა—უცნობი—
    ვერასოდეს
        ვერ შეირიგოს...
იგი ისწრაფვის
    კომუნიზმის
        გამარჯვებისკენ.
მაშ გაუმარჯოს
    სიმართლისთვის
        მებრძოლ ლირიკას!

1940 წ.
25—27 იანვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

I

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

	გვ.
ჩემი სიმღერა	7
*** (დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი)	8
ლენინისა და სტალინის გზით	12
მთვარის ნაამბობიდან	15
მთებში	17
ეს წელიწადი	22
გორი	24
*** (საბჭოთა ხალხის გმირული)	32
*** (ფერი მზესა და ქარს მოჰყავს	33
პოეზიის ინტეგრალები	35
სამშობლოს	37
შრომა და მოსვენება	39
გამხიარულდი ბუხარო	41
ახალი მეკვლე	42
აწმყოს დიდება დიდი	43
*** (წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო)	45
*** (ნიავი, ია. ნარგიზი)	46
*** (მე ხომ სხვა ვარ, დღე ცისმარე)	48
*** (მთაგორების ზემო)	49
ოქტომბრის გემი	50
*** (ჰქუხდა ხმოვანი ქარი მრავალი)	53
სალამი ახალგაზრდობას	56
სადღაც, ყინულზე	58
*** (ოდეს იყრების ომად ლაშქარი)	59
სამშობლო	60
ჩანგო, ბევრი კარგი დრო	61

II

ძველი მოტივებიდან

	გვ.
გამძლეობა	65
ქარი	66
ტბა ალპიურ ზონაზე	68
წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“	70
*** (ჩამავალო მზის ფერადო კიდევ)	72
ავდარი	73
სადაც ალპებია, ველად	75
იერი	77
*** (ცაზე მიდის ერთად-ერთი)	79
სანატორიუმში	81
მგზავრის სიმღერა	82
ფარგმენტი	84
*** (ზღვა წყნარია ნამეტანი)	85
გამოცოცხლება	87
აღემატება ყოველგვარ ძალას	88
ალპები	89
მატარებლიდან	90
ზღვაზე	91
სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა	93
გამონაკლისი	94
დიდი ქალაქი	96
*** (ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი)	97
*** (ალბად, იმიტომ—ხომალდის აფრით)	99
ავტო-მოტო-ველო	100
*** (ულრმეს, ურთულესს)	101

III

მოგონებები ევროპაზე

რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ	105
მოგონება მშობლიურ მხარის	107
ფიქრები სამშობლოზე	109
იმ დღეს რომ იყო	111
ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე	113
ვეზუვი	117
*** (უცვლელად საერთო)	119

უცხოელი პოეტი 123
წარწერა ანატოლ ფრანსის სუოათზე 124
უმუშევარი. 126
*** (ვერ გიხსნის გენიალობა) 127
ტირიფი 128
მოდის 130
პატარა პიერი 132
*** (აგერ შემოდგომობის) 134
ვოლტერის ძეგლთან 135
ბარელიეფი 136
გოტიეს რომანიდან 137
მელანქოლიური მოსიმღერე 140
ხმოვანი კინო 142
რუსთაველი პარიზში 144
პუშკინი პარიზში 146
*** (მზადა ვარ მარად) 148
*** (ვით მეომარმა) 149
*** (ვით პაპის-პაპა გოლიათია) 150
*** (რაც ბედმა გითხრა): 151
მოხუცი მწიგნობარი 152
ლუმანიტე 153
ქალაქისაკენ 155
სიკვდილი უმუშევრისა 159
უცხოელი ბავშვი 161
ქუჩის მომღერალი 163
უბინაო დედა 164
მისტერია წვიმაში 165
*** (საღამო, ჩვენს სუფრას) 168
მონ-პარნასი 170
*** (შუქი ღრუბელთა შორის) 171
მონმარტრზე 172
ერთხელ დილით 173
*** (ეხლა, ძვირფასო მოგონებავ) 174
ეიფელის კოშკზე 175
მკვლელების კაფე 177
ბანანები 179
ამ არე-მარეზე 180

ბ3-
რური 181
რეინი 183
უცხოელ პოეტს 184
ჰეინეს სტრიქონის გამო 185
მგელი და ცხვარი 187
ნეაპოლში 190
აბისინელი ჯარისკაცი 191
იბარური 193
სევილია 194
გზა ბარსელონის და ვალენსიის 195
გვადალკვივირი 197
TABES D'ORSALIS 199
ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს 201
*** (მეგონა) 203
*** (მეტყვი: როგორც ეს გრიგალი) 204
ფონ-ბლანი 205
*** (სადღაც დარჩა, შორს სტოკჰოლმი) 206
მუშის სიტყვა 208
რეიმსი 209
იოველიადა 210
ორი ძალა 213
*** (შენ აღარ ხარ) 215
დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ 216
*** (უცხოეთის გზიდან) 218
თვითმფრინავით 220
ძირს მუქთახორა 221
აშკარა მხეცი 223
ევროპის უფერული ტყე 225
ქიმერა 226
დაბრუნებისას 227
მე მახსოვს მისი სახე 228
ესპანეთის გმირებს 230
*** (აყვავილდა ყაყაჩო) 231
ვით ხეს ფოთლები 232
*** (ბაღთან ძეგლია) 233
*** (რა მშვენიერი და კარგი დღეა) 235
ორი მილიარდი 236

*** (რა წარმტაცია) 237
*** (დუმილი ფარავს) 238
*** (ლანკაშირში ეხლაც დგას) 239
*** (მე მახსოვს მუშა) 241
*** (ურووებს, გრდემლებს) 244
მისი ბუნება 247
კრიზისისაგან თავის დაღწევა 250
*** (იქ, კუთხეში კი) 252
პოეტი, ვინაც წრფელია გულით 253
ოქრო 255
ევროპის დიპლომატი 258
ღრუბელი ამაოების 259
*** (პარიზი. ეს ხმა) 260
ო, მაინც რომ ვერ... 292
*** (და მაშინ, როცა) 262
*** (არ მინახავს შენი არე) 265
*** (შენ გამოშორდი ავადმყოფ მხარეს) 266

IV

საუბარი ლირიკის შესახებ 271

ტექრედაქტორი ვ. კაკუშაძე. გამომშვები-კორექ-
ტორი გ. იამანიძე; კონტროლიორ-კორექტორი
ვ. მახარაძე.

გადაეცა წარმოებას 15/I²—40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭ. 9/VII-40 წ.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 22³/₄ /16. გვ. აწაწყობია ზომა 5×8.
ქაღალდის ზომა 70×105. მთავლიტის № ა—1502. შეკვეთის № 110.
ტირაჟი 3000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 23.217/2